

თენგიზ ვერულავა “გრანელი”

თბილისი. 2009

გამომცემლობა „საუნჯე“

რედაქტორები: ნ. ყიფიანი, მ. ივანიშვილი, ე. ელიავა

ISBN 978-9941-0-1250-1

კვდება ეს მდელო და ეს ქარია
და საქართველო ეხლა მკვდარია

ტერენტი გრანელი

ეს სიტყვები მან 1921 წელს დაწერა, იმ ავბედით დროს, როდესაც საქართველოს ისევ დაადეს მონობის ბორკილები. მას შემდეგ ვერსად ნახავთ სიხარულის სტრიქონებს. იგი სამუდამოდ დარჩება როგორც მგლოვიარე, ჭირისუფალი მკვდარი საქართველოსი, როგორც შავჩოხოსანი, როგორც სხვა ჭეშმარიტი მამულიშვილები და აღარასოდეს გაუხდია გლოვის შავი.

იმ უნდობარ დღეს, როდესაც მტერი მოადგა ტფილისს, დიდი ივანე ჯავახიშვილი მოუწოდებდა სტუდენტობას: დამდგარიყვნენ სამშობლოს დასაცავად. ტერენტი იმ დღესვე ჩაეწერება წვევამდელთა ჯარში, მოხალისე მეომრად და ტაბახმელა-კოჯორისკენ მიმავალი ჭაბუკების მწყობრს შეუერთდება.

შემდგომ თავისი თვალით ნახავს ურიცხვ ურდოთა მიერ იავარქმნილ სამშობლოს და იტყვის:

საქართველო ეს ის მხარეა,
სადაც ცოცხალი მარხია ხალხი.

იგი არ ჩერდება გაწითლებულ ტფილისში და თან გაჰყვება გვარდიას. ჩადის ბათუმში და იქაც იარაღით ხელში იბრძვის თურქი ასკერების წინააღმდეგ, როცა ისევ დადგა საქართველოს ძირძველი მიწის – აჭარის დაკარგვის საშიშროება. მისი ბიოგრაფიის ეს შტრიხებიც კმარა მისი, როგორც პატრიოტი, ჭეშმარიტი მამულიშვილის წარმოსაჩენად.

წიგნი "გრანელი" აგვისტოს ომს მივუძღვენი. დღევანდელი ჩვენი ავბედითი ყოფის ფონზე ამეხსნა მისი მისტიური პოეზიის მიზეზები. ახსნა მხოლოდ ერთი აქვს – მკვდარი, დამონებული საქართველო და, ისევე როგორც ტატოს "ბედი ქართლისა", ტერენტის შეუგუებლობა ამ უნდობარ დროისადმი.

საქართველოს გარდაცვალების წლისთავს, 1922 წელს მიუძღვნა "სულიდან საფლავები". ამ ყვითელი წიგნის გარე ყდა სამგლოვიარო ჩუქურთმაში იყო ჩასმული. თითქოს ყდის შავარშიანი ჩუქურთმიდან გადმოდიოდა მგლოვიარედ წვერმოშვებული, ხამის შავი პერანგით. მოდიოდა სისხლიანი სამარიდან წამომდგარი უტყვი ჩონჩხი და ფეხქვეშ ეგებოდა მკვდარი საქართველოს ჭირისუფალი, ძაძით მოსილი ტფილისი.

მოდიოდა დაკარგული საქართველოთი მგლოვიარე, სისხლიანი სამარიდან სისხლისფერ სატუსაღოში.

შემდეგ იყო 1924 წელი – დახვრეტილი საქართველო, რომელსაც მიუძღვნა ტერენტი გრანელმა მემენტო მორი – როგორც გაფრთხილება მომავალი თაობებისადმი – გახსოვდეთ სიკვდილი! გახსოვდეთ სამშობლოს შეწირული, დახვრეტილი ქართველობის ზვარაკად გაღებული სისხლი.

ამის შემდეგ მის ლექსებს არც ბეჭდავდნენ. ან რა უნდა დაებეჭდათ წითელ კომისრებს.

ახლა უფრო ხშირია შეცდომების დაშვება.
ახლა უფრო ხშირია კუდის აქიცინება.
და ძნელია გარჩევა…

იგი ერთადერთი პოეტია, ვისაც შეცდომა არ დაუშვია და არცერთი სტრიქონი არ დაუწერია გაწითლებულ საქართველოზე. ქედი არასოდეს მოუდრეკია და ამისათვის დათმო ყველაფერი ამქვეყნიური და დაქორწინდა სიღარიბეზე, ისევე როგორც ფრანცისკ ასიზელის ქორწილი სიღარიბესთან, რადგან “მის გარშემო ციხეა – მწუხარების სავანე”.

ტერენტი გრანელის პოეზიაში მხოლოდ ერთგან იპოვით იმედიან სიტყვებს და ეს იმედი მხოლოდ სამშობლოს ეკუთნის, რამეთუ ვერ გაიმეტა იგი საბოლოოდ სიკვდილისათვის.

ლაზარე აღსდგება მკვდრეთით
აღსდგება როგორც ღვთის სიყვარული!
მას ვამბობ, როგორც ვამბობდი. კმარა!
მზეო ამოდი. ამოდი ჩქარა!

და რაოდენ სჭირდება მისი მოუდრეკელი სული დღევანდელ საქართველოს, როდესაც ნიღაბახდილი მტერი ისევ მოგვდგომია კარს, როდესაც ისევ ჰყავს მტერს გამზადებული ახალი ორჯონიკიძეები და ჯუღაშვილები.

და როგორც არასდროს სწორედ დღეს დადგა დრო, დრო მისი გაგების!

თენგიზ ვერულავა

განმაცდევინე

თენდებოდა.

სოფლის გაღმა, მდინარის იქით, მთები გაყურსული ხვდებოდნენ დილის რიჟრაჟს. თავი წამოყო ლასტის საწოლიდან. მიმოიხედა. ჯარგვალში ეძინათ. ფანჯრის ჩარჩოს შემოერკალა დილა. ნედლი სუნი შემოდიოდა ძველი ოდის ნასვრეტებიდან.

მოკლე, გაცვეთილი ახალუხი გადაიცვა, სირმიანი ყაბალახი წაიკრა თავზე და ხანჯლის წვერებით გაემართა კარისაკენ. ურდული გადასწია. ფრთხილად გამოაღო. პარვით გაიტანა გარეთ ნახევარი ტანი, ზღურბლთან შეყუჩდა მცირე ხანს და დაელოდა. როცა დარწმუნდა, რომ ისევ ძილქუშში იყვნენ, უჩუმრად გაიპარა.

მწვანე მინდორი ცივი ნამით სუნთქავდა. სოველი კოინდარი სუსხავდა შიშველ ფეხებზე. დილის ცვარს დაეფიფქა ალუბლის თეთრი ყვავილები. ტოტებზე შეხიზნული ჩიტები დაფრთხნენ.

სიმინდის მაღალი ყანა გადაიარა, თავყვითელა იელის ღობეში გაძვრა და ჭანისწყალში გადაეშვა. მდინარეში ცხენები იდგნენ ყურებჩამოყრილები. თვალი მოიჩრდილა და მდინარის მეორე მხარეს გამოსცურა. განიერი, ხელისგულივით თეთრი ლოდები ეყარნენ ნაპირზე.

ცას მოჭუტული თვალებით ახედა. მშვენიერ დღეს უწინასწარმეტყველებდა ტაროსი. მდინარის პირას ჩამოჯდა, ლოდზე დააწყო მზისგან შერუჯული მკლავები.

სხივები თამაშობდნენ წყლის ლილისფერ ზედაპირზე.

ექვსღეროვანი ლარჭემი ამოაძრო წელზე შემორტყმული თოკიდან. ბლის თხელი ქერქით შეკრულ ლერწმის ღეროებს შემოუჭირა. ხმიანობა გაუსინჯა და ჩაჰბერა.

ლარჭემის ხმაზე ქვის სამალავებში შეცურდნენ წყალში მოსრიალე ღორჯოები და კანჩხალები. ღამის სიცივე მოყვებოდა წყალს, მზეს ჯერაც ვერ გაეთბო.

მდინარეში ხელი ჩაჰყო, ზევით-ზევით შეჰყვა, ჯოხით შეუჩიჩხინა დარანებში და გაუქშია თევზებს. დაფეთებული თევზები გარეთ გამოსრიალდნენ.

ლიპის და ცივის შეხება იგრძნო. კუდს სტაცა, ეხერხებოდა ხელდახელ თევზის ჭერა. ხელისგულზე დაისვა და თვალიერება დაუწყო. ლაყუჩებს ბერავდა თევზი უწყლობისაგან.

“ღმერთმა ყველას თანაბრად გვაჩუქა მზიანი დილა, განმაცდევინე!”

წყლის აქაფებული ჭავლები ხტოდნენ ხავსმოდებულ ლოდებზე. ქვის სამალავებთან დასრიალებდნენ ღორჯოები.

ხელები გაშალა და წყალს მისცა თევზი.

ყუნწზე დაკიდული

მწველი მზე აჭერდა წითლად შეფერილ ვენახებს. ვაზის მწკრივები მთის ძირას იწყებოდა, იშლებოდა დაქანებულ ფერდობზე და მაღლა, წვერამდე აღწევდა. ყვითლად შეფერილი ფოთლები ეყარნენ ვაზის ფოსოებთან.

რთველი იდგა. მთელი სახლეულით წასულიყვნენ ვენახში. დედას თხილის ტკეცით დაწნული კალათი მოეკიდა ზურგზე. მამას ყურძნით სავსე კალათები მოჰქონდა და დიდ გოდრებში ცლიდა.

კამეჩებშებმული ურმები იცდიდნენ ფერდობის ძირას. ურმებს პირამდე სავსე გოდრები მიჰქონდა და იცლებოდა გარეცხილ, მოკრიალებულ საწნახელში.

ჭვიტლურმა მაგარი ყუნწი იცოდა. პატარა, მჭრელი დანით აჭრიდნენ მტევანს და ყრიდნენ კალათებში.

მიწა მშრალი იყო, ცვარი უკვე კარგა ხანია შეეშრო მზეს.

ტერენტი აკიდოებს ჭრიდა ჭიგოებზე გადაწვენილ ვაზზე, აბამდა ერთმანეთს, აკეთებდა ჯაგნებს. სქელ რქას სისველე ჟონავდა, წვეთები ეკიდნენ, წვეთი წვეთს მისდევდა და ცვიოდნენ მიწაზე.

- მსხვილყუნწიანი დატოვე, – უთხრა მამამ.

- აღარ მოვჭრით?

- არა. იანვრამდე დავტოვოთ.

- იანვარშიც რომ არ მოვჭრათ? – ჰკითხა ტერენტიმ.

მამამ გადმოხედა, ერთხანს იყუჩა, მდუმარედ იდგნენ პირისპირ, მერე მხარზე დაადო ხელი.

- ცოდვაა.

- ეკიდოს თავისთვის, ბოლომდე ეკიდოს, ვის რაში უშლის?!

- არა, – უპასუხა მამამ, – დაბერდება და ცოდვაა ყუნწზე ჩამოკიდებული მტევანი.

ტერენტის არაფერი უპასუხნია, თავი დაეხარა და მამის მსხვილ, დაკოჟრილ ხელებს მიშტერებოდა.

სისველე ჟონავდა ვაზის სქელ რქას. წვეთი წვეთს ეკიდა და ცვიოდა მშრალ მიწაზე.

ახლობელი ვარსკვლავი

ეზოს შუაგულს წამომდგარ ბებერ კაკლის ხეს განზე გაეშვა ტოტები. ზედ დაჰყურებდა თხმელის წკნელის ღობემდე გაშვებულ მწვანე კოინდარს. იისფერი ზამბახები ყვაოდნენ ალუბლებთან.

დედას ჩრდილქვეშ გაეშალა ფარდაგი. ნაწნავებს უწნავდა მაშოს. ფარტენასავით კამკამა სითეთრე ცვიოდა აკაციის ხიდან. ატმისფერი ცხენები ძოვდნენ დაქანებულ მინდორზე. წაბლის მორზე წითელბაფთიანი ჩონგური იდო. ლერწმის თეფშზე ელაგა იისფერი ყურძენი, ყვითელი ბიები, წითელი ატმები. დედა ყვებოდა ზღაპარს ტყაშიმაფას ოქროსფერ თმებზე.

ლურჯ ხეებს მოგვებივით აეწიათ მსხვილმაგარი, ბებერი ტოტები. თეთრი ცვიოდა ციდან.

ტერენტი ცაცხვის ხეს ამოეფარა, ღობე-ღობე მიჰყვა თასმასავით წვრილ ბილიკს. მაღალ გვიმრებში მიიმალა და ჭანისწყლისკენ უჩუმრად გაიპარა.

გუგუ! გუგუ! – გუგული ხმიანობდა მაგნოლიის ფართო ფოთლებიდან.

ფეხაკრეფით შემოეპარა ბინდი ცას, გაიისფრდა. მიწყნარდა სამყარო, გაიჩქურა, ვარსკვლავები აციმციმდნენ.

იგი იწვა მდინარეში, ხელები ამოედო თავქვეშ და ვარსკვლავურ სიჩუმეში ცის ლურჯ სიშორეს გასცქეროდა. თითქოს ლოკოკინას საბურველი ედგა თავზე, ესმოდა სამყაროს იდუმალი ჩურჩულის. სამყაროც გატვრინული მისჩერებოდა და ბედნიერი ღიმით მიყურადებოდა მის სუნთქვას.

თვალი გააყოლა ნაცნობ ვარსკვლავს, რომელსაც ყოველღამე უმზერდა, რომელთანაც მიბმული იყო უთვლადი სიგრძის ჯაჭვით და მახლობლად თვლიდა.

ღრუბლები მოცურდნენ, გადაეფარნენ მნათობს. აინთებოდა, ისევ ჩაქრებოდა ვარსკვლავი ღამის ბინდბუნდში.

ასე ჩათვალა: იმ სიშორიდან მიხმობსო ვიღაც, თვალები ჩაუპაჭუნა და ახლობელივით ხელი დაუქნია.

ციმციმს უმატა ვარსკვლავმა, თითქოს უცინისო, დაუფახულა თვალები.

აბრუნებდა მდინარის მორევი, ატრიალებდა წრიულად წყლის ზედაპირზე გაწოლილს, ისევ და ისევ, შეუჩერებლივ.

ბრუნავდა ვარსკვლავებით მოჭიქული ცა, ბრუნავდა მწუხრი სამყარო.

ქვების ცივი ხმა

ჭოტი შემოფრენილიყო ეზოში. “ჭოტ.....ჭოტ”, ყიოდა ცაცხვით გადმობურულ ბნელში.

ცუდად ენიშნათ მისი გულსაკლავი კვნესა მთვარიან ღამეს.

- შენიანი ამოიჭამეო! – სწყევლიდნენ ცაცხვის ხეს შემოჯარული მოკეთენი, ანთებულ მუგუზალს ესროდნენ.

დილიდან თოვლი წამოვიდა, ცრემლებად დაედო სველ მიწას. გაიჩქურა სოფელი, აცივდა უცებ, ხეებმა იცვალეს ფერი.

ბორგავდა მწოლიარე, სულთმობრძავი დედა. უცნაურად დამანჭვოდა ცვილისფერი სახე, ძარღვები დალურჯებოდა საფეთქელთან. ჩამოშლილი თმები ცივი ლოლუებივით ეკიდა საწოლზე.

იგი ლოგინის თავთან იდგა და ცრემლები თოვლის ნემსებივით წიწკნიდნენ გულ-გვამს.

სიკვდილი იმზირებოდა დედის სისველედაკარგული თვალებიდან. დროდადრო დამძიმებულ ქუთუთოებს შეარხევდა, მიაშტერდებოდა სიშორეს, ხელს წამოსწევდა, თითქოს ეფერებოდა ვიღაცას.

ნაშუაღამევს სუნთქვა შესუსტდა, და ის იყო სული უნდა გაჰყროდა, გაქვავებულ ხელში თაფლის ანთებული სანთელი დააკავეს. კარი გააღო ვიღაცამ, სული გავიდესო გარეთ.

მამას მკლავში გაუყარეს ხელი, აბარწასთან გაიყვანეს. მოთქმით ტიროდა გულხელდაკრეფილი მამა, უთავბოლოდ დადიოდა წინ და უკან, შუბლში ხელს იცემდა.

მიცვალებულს თვალები დაუხუჭეს, პირისახე გაუსწორეს, დარბაზში ტახტზე დაასვენეს.

გათავდაო, იკივლეს ქალებმა და თმების გლეჯით გამოვარდნენ ეზოში.

თმები გაეშალა მაშოს, ვერ აკავებდნენ გვერდში მდგომი ჭირისუფლები. ვერავინ პოულობდა სანუგეშო სიტყვას.

- დედა, ნანა! – მოთქვამდა მაშო.

მეორე დღეს, უთენია ჩამოვიდნენ ლუკავები დედულეთიდან, სოფელ ფუქიდან, პირუკუღმა ჩაეცვათ ძაძა.

ორმწკრივად შემოსხდომოდნენ კუბოს თმაგაშლილი მოტირალები, მოთქმით თანაუგრძნობდნენ ცხედარზე თავდამხობილ მაშოს. ჩოხაზე შავ ძაძით მოსილი მოზარენი გალობდნენ დაბალი ხმით.

ტერენტი თავთან ედგა დედის ცხედარს. ღამით, როცა ყველას ეძინა, სუდარავ ასწია, შინ ჩამოქნილი სეფესანთლის შუქზე გაშეშებულ სახეს მიაშტერდა.

ერთბაშად მოასკდა ცრემლები, ასველებდა დედის გალურსულ სახეს.

გასვენების დღეს დაფიფქული თუთის ხე მოთხარეს ფესვიანად, მოთქმითა და ზარით სამჯერ შემოატარეს ცხედარს და ახალგათხრილ საფლავთან დარგეს.

ათოვდა სამარესავით ცივ არემარეს. მოდიოდა ციდან გულცივი სითეთრე.

ჩაქუჩი არახუნდა კუბოს ფიცრებზე. სახურავი მოარგეს, დაჭედეს, თოკები ამოსდეს და სამარეში ჩაუშვეს.

გათხრილ მიწაზე მოიყარა მუხლი, პირჯვარი გადაიწერა და მოზრდილი ბელტი მოისროლა საფლავისკენ.

თითქოს მძიმე ქვა მოხვდაო ხის კუბოს, რკინასავით ცივი ხმა გამოსცა დედის სამარემ.

ცრემლად მოდიოდა თეთრი თოვლი. თეთრი ცრემლები წვავდნენ ხმაგაკმენდილ მდუმარებას. მერე წავიდა თეთრი, ისე ჩუმად, როგორც ანთებული სანთელი საფლავის ქვაზე.

დადგა შავით მოსილი ღამე, კუპრივით შავი თოვლი და სიშავისაგან უკვე აღარ იყო საშველი.

მოხრილი ჯეჯილი

ღომის შემაღლებულ ჯეჯილებს მწვანედ გაჰქონდათ ღაღანი. უთენია მიჰყვებოდა მამას სამარგლავად. მზის ამოწვერამდე, დილის სიგრილეში უკვე ნახევარი ყანა გათოხნილი ჰქონდათ. მხიარულად, მხარშეწყობით აჰქონდათ სვე.

- მასე ბაბაია, სადილობამდე როგორმე უნდა მოვრჩეთ, – გადასძახა მამამ.

ტერენტი თოხის ტარზე დაეყრდნო, შუბლზე ხელი მიიჩრდილა და მზეს ახედა. მოკრიალებულ ცაზე უჩუმრად მოიწევდა მნათობი.

- ბჟოლის ხემდე მოვასწრებთ, ბაბა, – მიუგო მან, ხელით მოიწურა შუბლზე გადმომსკდარი ოფლი და მარჯვედ მოიქნია თოხი.

- აბა, ჩემო თოლიგე, ეს სვე როგორმე და მერე ცოტა შევისვენოთ. ვაი, ახავაი! დასწყევლოს ღმერთმა გლეხი კაცის ბედი, თორემ აქ უნდა გაკლავდე თავს!?

აჩქარებით იქნევდნენ თოხებს. გაბმული ჩახა-ჩუხი ჰკვეთდა დილის უწყინარ სივრცეს. მზეზე ლაპლაპებდნენ ალესილი თოხები. ჭანისწყლიდან ჰქროდა ბორია, აშრიალებდა გაშლილ ტაფობზე მწვანედ მობიბინე ჯეჯილს.

მწყერების ჭყავჭყავი გაისმა შორიახლო.

- ფრთხილად, თოხი არ გამოსდო. უპატრონოდ არიან. დედა არ ჰყავთ ალბათ. - ჯეჯილში იქნება მიმალული, – თქვა მამამ და ისევ განაგრძო თოხის ქნევა.

საყანურას მღერა წამოიწყო მამამ. ტერენტიმ ბანი მისცა და სიმღერის ხმაზე ააყოლეს თოხები.

მზე ორი ცულის ტარზე იყო მისული, როცა მაშო გამოჩნდა მხარზე კალათგადებული.

- ჰე, აბა, სადილობის დროა თოლიგე, – უთხრა მამამ, – მზე საშუადღეოზეა.

საჩრდილობელ ხესთან კალათი მოიხსნა მაშომ. საკაკალო გააწყო ფართო, მწვანე ფოთლებით დაფენილ მიწაზე. ზედ დაგებულ ჯერ კიდევ თბილ ღომზე სულგუნის თხელი ნაჭრები ჩაარჭო. ტყემლის წვენი ჩაასხა ხის ჯამებზე.

- მაშო, ბაბაია, როგორაა ჩემი შური, ჩემი პატარა ზოზია? – ჰკითხა მამამ.

- ზოზია ეკაიას დავუტოვე. კამეჩების მოწველა ვეღარ მოვასწარი, საკაკალოს ამოტანაც ამიტომ დამაგვიანდა ბაბა.

- მოითმინე, ცოტაც მოითმინე ბაბაია, – უთხრა მამამ, – სულ ასე კი არ იქნება, ჰო, შურიგე, მალე მოგიყვანთ ვინმე დედაკაცს სახლში, ზოზიას მაინც მიმიხედავს.

დოქი ხელიდან გაუვარდა მაშოს. გადმოღვრილი ღვინო წითლად ღებავდა მიწას.

- რა იყო ბაბა! – წაქცეულ დოქს ხელი სტაცა მამამ.

მაშოს ხმა არ გაუღია, თავი დაეხარა და სველ მიწას ჩასჩერებოდა.

მონაქროლი სიო მსუბუქ ტალღებად აქოჩრებდა ყანას, რკალად ხრიდა მობიბინე ჯეჯილის თაველებს.

ნანა

კერიაზე ნელი ცეცხლი ენთო. მაღლიდან ჩამოშვებულ ნაჭაზე თუჯის ქვაბი ეკიდა ღომის ღომის მოსახარშად.

ტერენტი აბარწასთან იდგა, კარებს ატუზული, მსხვილნაწნავებიან ქალს მიჩერებოდა, რომელიც აგერ უკვე მერამდენე დღეა მამას ჩამოეყვანა სოფელ ლიიდან.

ტაბაკზე ახლადმოკრეფილი მსხლები ეწყო, მოყვითანო, მსხვილი ბიები და წითელი ვაშლები.

სითბო იგრძნო სამზადში. ხმაგაკმენდილს რაღაც ქენჯნიდა, ვერ წარმოედგინა, როგორ შეეხედა სახეში ამ სათნო ქალისთვის.

დარია ჩოგანით ურევდა მდუღარე წყალში გაღვივებულ ღომს. მაშო გვერდით ედგა და ჭყინტ ყველს აჭრიდა ქვაბში.

- მაშო, ნანა, დროა უკვე, აგერ-აგერ მამაც შემოგვისწრებს.

- ახლავე ქალბატონო, – მიუგო მაშომ და ქვაბიდან გასქელებული ღომის ამოღებას შეუდგა. ჩოგანით ტაბაკზე დააგო ერთი-მეორეზე.

დარიამ სინანულით გააქნია თავი. ნელი ნაბიჯებით გაემართა მაშოსაკენ, თავზე გადაუსვა ხელი, მკერდზე მიიხუტა.

- მაშო, ნანა, ნანა დამიძახე!

სიჩუმე ჩამოვარდა სამზადში.

სდუმდა მაშო, პირისახეს არიდებდა და ამ სიჩუმით პირველად იგრძნო რომ ამ დღეების განმავლობაში ისე არასოდეს ყოფილა დედინაცვალთან ახლოს, როგორც ახლა. აილანძა. ბოლოს თავს ძალა დაატანა და თავით მკერდზე მიეკონა.

- მაპატიე, ნანა! – მცირე ხნის დუმილის შემდეგ მიუგო მაშომ.

ტერენტი კარებს მოშორდა, ფართოდ გამოაღო სამზადი და უსიტყვო მიგებებით წინ დაუდგა მორცხვად თავდახრილი. უკვე ესმოდა დედინაცვლის სუნთქვა, სურდა შებრუნებულიყო და გაქცეულიყო სადმე. მერე იგრძნო მისი შეხება შუბლზე და გაიგონა ჩუმი ჩურჩული:

- ნანა, შვილო!

- ნანა! – დაბალი ხმით უპასუხა და თითქოს თავისივე ხმამ შეაკრთოო, კალთაში ჩამოდო თავი. დარიამ ხელები მოჰხვია და უფრო ძალუმად მიიკრა მკერდზე.

მიმწუხრს, როცა შავი საბანი აიფარა ცამ, დედა გამოესახა ვარსკვლავებს შორის, ქარში მოფრიალე თეთრი მანდილით.

ტერენტი იდგა აბარწასთან, ხის ძელს მიყრდნობილი და უჩვეულოდ გარდასახულ ცას გაჰყურებდა.

ხელები გამოეწვდინა დედას. ახლოს იყო, ძალიან ახლოს, ისე ახლოს, რომ შეეძლო ფერება.

- ნანა! – მოესმა ჩურჩული, ისეთი ხმით, რომელიც მხოლოდ დედას შეეძლო ეთქვა.

- ნანა! – წართქვა მან და იგრძნო ხელის ნაცნობი შეხება, ისეთი, რომელიც მხოლოდ ერთს შეეძლო და რომელიც ასე მონატრებოდა.

ხელები გაიწვდინა ცისკენ.

- ნანა!

ჯერ მანდილი აკრიფა ვარსკვლავებით აფახულებულმა ცამ. ბოლოს საერთოდ გაქრა.

- ნანა! ნანა! – გაეკიდა ღამეს.

ნაცრისფერი მანდილი ეფარებოდა ღრუბლებში მიმქრალ ვარსკვლავებს.

მწიფე ვაშლები

გლეხის ქალიშვილებისთვის სწავლა დიდ ფუფუნებად ითვლებოდა და მაშოს და ზოზიას სკოლაში არ უვლიათ. ხელმოკლეობის გამო მამას ტერენტის გაგზავნაც ეძნელებოდა, მაგრამ მეზობლების, ზუგდიდის მაზრის ცნობილი მწიგნობრების, პავლე და იაკობ შანავების რჩევით გაუშვეს სასწავლებლად.

ოდას განიერი, რიკულებიანი აივანი ჰქონდა. თიხის წითელი კრამიტები ლაპლაპებდნენ მოყვითანო მზეზე. უკან მოჩანდა შორეული წაბლისფერი მთები და ბამბის ქულასავით ღრუბლები. შარაზე კამეჩებშებმული ურემი მოიზლაზნებოდა. კოფოზე თავი ჩაექინდრა წელში მოხრილ მეურმეს. ძაღლები აყეფდებოდნენ ჭიშკრებთან, გადაახტებოდნენ ეკლების ღობეს.

იაკობ შანავა მოაჯირს მისჯდომოდა და გაზეთს კითხულობდა. ვაშლის დაბურული ფოთლები ჩრდილავდა აივნის ნაწილს.

ბიბლიოთეკა ცალკე ოთახში მოეწყოთ. ბებერი ვაშლის ხე ეტმასნებოდა ვიწრო სარკმელს. ჩიტებს გაჰქონდათ ჟივილ-ხივილი. ტერენტი უშველებელ თაროებთან მიდგმულ კიბეზე იდგა და წიგნებს ათვალიერებდა. იხსნებოდა სამყაროს შვიდბეჭდიანი წიგნი და სქელტანიანი ფოლიანტების უჩვეულო სუნს გრძნობდა.

თაროდან ნიკო დადიანის "ქართველთ ცხოვრება" ჩამოიღო. ხელნაწერი ტყავგადაკრული ხის ტვიფრულ ყდაში იყო ჩასმული. ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდას მიუჯდა და წიგნის ფურცვლას შეუდგა.

ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ღია ფანჯრიდან ვაშლის ფოთოლთცვენის ჩქამი ისმოდა, დროდადრო ვაშლებით დახუნძლული ტოტები აკაკუნებდნენ მინაზე.

არც გაუგია, ისე წაადგა თავს იაკობი. როცა შემოხედა, სახე მთვარით განათებულს უგავდა.

ღია სარკმელში ტოტი საცთუნებლად შემოეყო მწიფე, წითელი ვაშლებით გავსილ ხეს.

დილის თეთრი ნისლი

ბედს მოეძულებინა მამა, ფეხი მოიტეხა, დახეიბრდა. ყანაში აღარ შეეძლო დიდხანს გასვლა, პატარა სახარაზო აიშენა ეზოში და წუღა-მესტების კერვაში ათენებდა მოსაწყენ ღამეებს.

სასწავლებლიდან მობრუნებული ტერენტი სახარაზოში იჯდა და ეხმარებოდა მამას. ტაბლაზე შანავასაგან ნათხოვარი წიგნი იდო და ერთი სული ჰქონდა ჩანიშნულ ადგილას განეგრძო კითხვა. საღამოჟამს, როცა სიღამე დაივანებდა, სანთლებს აანთებდნენ, მამა წაადგებოდა თავზე, გამოართმევდა წაღებს.

- ყოჩაღ თოლიგე! გეყოფა ახლა წაღების კერვა, – ეტყოდა მამა, ხელისგულებს დაუკოცნიდა, იხუტებდა მკერდზე.

ხმაში ეტყობოდა შეკავებული ცრემლები, შემდეგ სისველეს იგრძნობდა თავზე, შემოხედავდა მამას, იგი კი, მის დიდ, ხვეულ თმებს აფარებდა აწითლებულ თვალებს.

ანთებულ კვართან სიახლოვეს, კედელთან მიდგმულ ტახტზე მოკალათდებოდა, იდაყვებით დაეყრდნობოდა მუთაქას და გვიან ღამემდე კითხულობდა წიგნს. მამას ჩაეძინებოდა და მერე დიდხანს, დიდხანს ესმოდა მისი ხვრინვა.

რიჟრაჟზე ნათელი შემოაღწევდა ჯარგვალის ჭუჭრუტანებს. ახრჩოლებული კერიის კვამლი იისფრად აიტალღებოდა და იწყებოდა ლიცლიცი ფერთა.

კარებს შემოაღებდა დედა, თეთრ აბრეშუმის კაბაში, მსხვილი, წაბლისფერი ნაწნავებით მხრებზე, მოდიოდა ფეხაკრებით, ნათლით გამტყდარ ბნელში ეძებდა, უხმობდა მას.

- ნანა! ნანა!

წამოდგებოდა საწოლიდან, მივარდებოდა კარებს, ხელს აჰკრავდა რაზას, ფართოდ გამოაღებდა.

- ნანა! ნანა! სადა ხარ ნანა!

თითქოს პირი აეკრა დამუნჯებულ არემარეს, არავინ იყო მოპასუხე.

მერე დიდხანს იდგა აივანზე, მოაჯირზე გადაწოლილი, დილის ნისლში გახვეული უკაცრიელი ეზოს შემყურე.

ჩქამი არ ისმოდა არსაიდან. ალუბლის ყვავილებში იმალებოდა უწყინარი მთვარე.

უსახლკაროდ

ღამე აწვებოდა სახარაზოს მტვრიან კარებს. ტურების წკავწკავი ხმიანობდა ბნელი ტყეებიდან. მამა მიაყურებდა, ჩაღუნავდა თავს და ისევ განაგრძობდა წუღა-მესტების კერვას.

ნაკვერჩხალი ბჟუტავდა მინავლულ ნაცარში. ჭრაქი ხრჩოლავდა კედელთან მიდგმულ ტაბლაზე. შავი კვამლი მიიპარებოდა ხის ძელებს შორის დატანებული ღრიჭოებისაკენ.

შუაღამე უკვე კარგახანს იყო გადასული. საცაა მამლები იყივლებდნენ, თვალებს რული მაინც არ ეკარებოდა. უნაგირა მწვერვალიდან მზე ამოეწვერა და მაშინ ძლივს ჩაეძინა, იქვე, მიწურზე გდებულ კუნძზე.

მაგიდაზე ჭრაქი დარჩა ანთებული. მწველმა სიმხურვალემ გამოაღვიძა.

ჭერს წვდებოდა ცეცხლის ალი. შიშით გადაეძაგრა სახე. შველას ითხოვდა, მაგრამ თითქოს კრიჭა შეეკრა, ხმა არ ამოსდიოდა, გაშეშებული იდგა ერთ ადგილას.

სახარაზოდან ცეცხლი ჯარგვალსაც გადაედო. მერე გვერდითა მეზობლის ოდასაც. ყველაფერი დაიწვა.

- ქარბორია, ქარბორია! ღმერთო! ცოდვა ტრიალებს ამ ფუძეზე. ვინ შეიფარებს უსახლკაროებს?! – წუხდნენ მეზობლები.

- რაღა ჩემს სიმწრით ნაგებ ოდასაც გადაედო ამათი ცეცხლი! – იწყევლებოდა კარის მეზობელი.

მამაკაცები ჭისკენ გარბოდნენ, წყალს ეზიდებოდნენ.

- ვავა ბაბა! – სხრიალებდნენ ფეხშიშველა, პერანგისამარა ბავშვები.

- ღმერთო! რა შეგცოდე ასეთი? – ამბობდა მამა, დანახშირებულ ნასახლარზე დიდხანს ეძებდა თუნუქის ყუთს, სადაც ოქროს რამდენიმე ათმანეთიანი ჰქონდა გადანახული შავი დღისთვის.

ნახშირი იფშვნებოდა ფეხებქვეშ, იფერფლებოდა ძველი ოდის საუკუნოვანი ხსოვნა, ნაცრის კორიანტელს მოეტაცნა იგი.

“სამსონი იძულებული გახდა ტერენტი მე-6 კლასიდან გამოეყვანა და ამოეყენებინა გვერდზე. მეტი რა საშველი იყო, ტერენტი დაემორჩილა ამ მდგომარეობას, ხოლო მამას გამოართვა მტკიცე პირობა, რომ ის მალე დაუბრუნდებოდა სწავლას. სკოლის გარეშე ყოფნამ გასტანა 3 წელიწადი”.

მაშოს წერილებიდან

საუკუნე წითელი

“ო, საუკუნე წითელია და მიმზიდველი”

სოფლის განაპირას, ფერდობზე შეფენილ ცაცხვნარში ხეს ჭრიდნენ მამა და შვილი. უშველებელი ცაცხვი აერჩიათ, გარეშემო სამ კაცს რომ გაუჭირდებოდა შემოწვდენა ისეთი. ამაყად გაბარჯღულს მზემდე მიეწვდინა კენწერო.

შეუსვენებლივ იქნევდა ნაჯახს. გაოფლილი ახალუხი ეკვროდა ზურგზე. ხის მოპირდაპირე, მეორე მხარეს მამა იდგა და თითქოს ერთმანეთს აუწყვესო, რიგ-რიგობით სცემდნენ ცულს ცაცხვის ნუჟრიან ძირს.

მკლავის სიმსხო ნაფოტები ცვიოდნენ. როგორც იქნა დაიყვანეს დიდროვანი ცაცხვი. მეხივით გაიტკაცუნა ხემ, თითქოს ხერხემალში გადატყდაო. შექანდა ხე, დაიძრა. ატყდა ტეხა. ვეება ტოტებმა მილეწ-მოლეწეს გზა-გზა ყველაფერი. დაენარცხა მიწაზე დევივით ცაცხვი. შეინძრა ნიადაგი. შეზანზარდა ტყე.

ნაჯახი მოისროლა ბარდში. შორიახლოს, განზე გადგა. მიწაზე მკვდარივით გართხმულ ხეს მიაშტერდა.

თითქოს ტყეც შეკრთა, ყოველივე მიყუჩდა, უფსკრულივით სიჩუმე ჩამოვარდა. ხმაგაკმენდილი დაჰყურებდნენ ირგვლივ მდგომი ცაცხვები წაქცეულს. შიშისაგან სული გაენაბათ.

ტერენტიმ ფრჩხილებით სუროს გრძელი ყლორტი მოაცილა ხის ტანს.

მოიღრუბლა. გრგვინვამ გაირახრახა თებერვლის ცივ ცაზე. თავი აიშვა დაბმულმა ქარმა, თან მოიტანა სუსხი და ხოშკაკალივით მშხეპრი წვიმა. აიქოჩრა ტყე, აიშალა, ზღვასავით აიტალღა.

- ამ თქეშს კარგი პირი არ უჩანს. დათლა და დაჭრა ხვალისთვის გადავდოთ, – უთხრა მამამ. გადმობურულ ცაცხვის ქვეშ შეეფარა თავი. ალქაჯივით აწყვეტილ ცას გაჰყურებდა ტოტებს შორის.

ჯაგნარზე გამავალ ბილიკს რომ დაუყვნენ, მამას ჩამორჩა, უკან მოიხედა. საცოდავად ეგდო წაქცეული ხე. ლურსმნებივით ასკდებოდა წვიმა.

ტყე მოკლეთი გადაჭრეს, გვიმრიანი ფერდი გადაიარეს, სოფლის გზას გაუპირდაპირდნენ. თავზე წამოემხოთ დაძონძილი ძველი ნაბადი. არ წყდებოდა თავსხმა. წარღვნის წყალი დადინდა.

- ასე რამ გადარია ტაროსი, – ჩაილაპარაკა მამამ და ის იყო ნაბიჯს უმატეს, რომ გაჭენებული ცხენის ფეხის ხმა და ყიჟინა შემოესმათ.

თავზე წითელ ყაბალახწაკრულ უცნობს ავარდნილი თოხარიკით მოჰყავდა მოწითური ცხენი. ზურგთან თოფის ლულა მოუჩანდა გვერდზე მოგდებული ნაბდის კუთხიდან.

- მეფე ჩამოაგდეს! – სულს ძლივს ითქვამდა მხედარი, ქშინავდა, ეს ეს არის გაცხარებული ბრძოლიდან წამოსულაო.

- ვინ ჩამოაგდეს?

- მეფე, ჩემო სამსონ, აღარ გვყავს მეფე!

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

- მერე რა გაყვირებს ბაბაია! ერთს ჩამოაგდებენ, დასვამენ მეორეს, აბა!

- ეჰ, რა გესმის შენ რევოლუციის. აღარ გვეყოლება მეფე აწი, თოლიგე, აღარ! – უპასუხა ცხენზე ამხედრებულმა და სამჯერ დასცალა დაჟანგებული ძველებური დამბაჩა.

ისევ იგრგვინა. ელვის ისრებმა სისხლისფრად დასერეს წაშლილი ცა. აღარ თავდებოდა წარღვნის წვიმა.

განშორება

კუთხეში, გრძელ მორზე ჭრაქი ანათებდა ჯარგვალს. წინა კარი ღია იყო და მთვარის სუსტი ნათელი შემოდიოდა ოთახში. საიდანღაც, შორიდან, მოისმოდა ძაღლების გაუთავებელი წკავწკავი.

შუაცეცხლს შემოსხდომოდნენ ახალუხამარა, მკერდზე ღილებშეხსნილი მამა და იაკობ შანავა. ტერენტი კედელზე მიკეთებულ ტახტზე იწვა და ჩაფუთნული საბნიდან უსმენდა საუბარს.

- შენ ხარ ჩემი ბატონი და რა ჩვენი საქმეა წიგნი, ახლა ხელობაა საჭირო, – თქვა მამამ, ულვაშები აიგრიხა და ხელისგულებით მაღალი შუბლი მოისრისა.

- უნაგირების და წუღების მკერავად გინდა აბა ეს ანგელოზივით ბიჭი? – ჰკითხა იაკობმა, – ცოდვაა ახლა ამის დატოვება აქ.

- კი, მარა, მე სად მაქვს, ბატონო, თავი, ბიჭი ქალაქად ვარჩინო. ან მარტო როგორ გავუშვა ამხელა ქალაქში, ნაცნობიც არავინ მყავს, ბავშვს რომ მიმიხედოს. ბევრი ფარა უნდა სწავლას ჩემო იაკობ, ბევრი.

- სამსონ ფირცხალავას გავუგზავნი წერილს, ჟორდანიას მთავრობაში მიღებული კაცია, ქვეყანა იცნობს. ვიცი, ხათრს არ გამიტეხს, დაგვეხმარება.

მამას აღარ უპასუხია. დიდხანს იჯდა თავჩაღუნული, ფიქრებს მისცემოდა, განუწყვეტლივ აბოლებდა თუთუნს. მინავლებული ცეცხლის კვამლი სწვავდა თვალებს.

- ჩემი ხეიბრობა რომ არა, შვილს როგორ დავაკავებდი - მიუგო მამამ, - შენც კარგად იცი, როგორ მშველის, ჩემი მარჯვენა ხელია. აწი ვიღა ამომიდგება გვერდში. დიდხანს სიცოცხლე არც მე მიწერია.

- მერწმუნე, სამსონ, შენზე ნაკლებად არც მე განვიცდი ამ ამბავს. ისღა მალაპარაკებს, რომ სწავლას მოწყურებულია და თავისას მიაღწევს. მაგის შემხედვარე, ასე რომ არ გირჩიო, ღმერთი დამსჯის, – უპასუხა შანავამ და თვალი აარიდა.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

- მაშ, კარგი! – ამოიოხრა მამამ კარგა ხნის შემდეგ, ყავარჯენს დაყრდნობილი მივიდა შანავასთან, ხელი ხელში მოუჭირა, – რახან ასეა, ჰქენი შენი საქმე, შენ იცი ჩემი ტერენტი!

შეჰყურებდა მამას და სინანულით ივსებოდა. მისი მზერა რომ აეცილებინა, თავზე წაიხურა საბანი. მალე ძილმა წაართვა თავი. შემდეგ იგრძნო მამის სიახლოვე, ხეშეშმა ხელებმა როგორ გაუსწორეს საბანი. საწოლის წინ მუხლებზე დაშვებული მამა თვალებს უკოცნიდა.

- რამხელა გაზრდილხარ, თოლიგე, მიდიხარ, აბა, ბაბა? რატომ პატარა არა ხარ ჩემი თოლი...

ძილქუშიდან სურდა ხმა მიეწვდინა მამისთვის, რომ აღარსად წავიდოდა სოფლიდან შორს, არასდროს მიატოვებდა მარტო.

წიფელის ტოტი გადაწვა ქარში და გაყვა ქარიშხალს შიშველი ტოტი.

უცნობი შარა

ახალსენაკის სადგურისკენ წასასვლელად გამზადებული ურემი ეზოს გადაღმა, ჭიშკართან იცდიდა. უღელშებმული ხარები კუდით იგერიებდნენ ბუზებს. ლეკვი წამოჰყოლოდა ძაღლს, ურმის ჩრდილში გაწოლილიყო და ძუძუებს უჩუჩქნიდა.

სამგზავროდ გამოწყობილიყო, წაღების ყელში ჩაეტანებინა შარვალი, მაღალყელიანი პაჭიჭები ეცვა, წვრილი ღვედის ქამარი შემოეჭირა შალის ჩოხაზე.

- წინ დიდი შარა გიდევთ, იჩქარეთ ბაბა! მატარებელი არ მოიცდის, – თქვა მამამ.

- მოვასწრებთ სამსონ! – უპასუხა მეურმემ, ხარებს ყელზე მიუალერსა, დაუყვავა, – მადლი უფალს, კარგი ტაროსი დაგვიდგა.

დარიამ ხელი შემოავლო თავზე, სამჯერ მარჯვნივ შემოატრიალა, პირჯვარი გადაწერა.

- აბა შენ იცი სქან სანთელო, დიდ ქალაქში მიდიხარ, მაშოს დაუჯერე! – მკერდში იხუტებდა დედინაცვალი, კაბის კალთით იმშრალებდა ცრემლებს.

- კაი, გეყოფათ ახლა, ღმერთს ეწყინება, სასწავლებლად ვუშვებ, რუსის ჯარში ხომ არ მიდის, – ჩაილაპარაკა მამამ.

- შენი გზით იარე. იარე ისე, რომ გზას არ ასცდე, – უთხრა იაკობ შანავამ. სარეკომენდაციო წერილები გადასცა მიხაკო და ალექსანდრე წერეთლების, ზაქარია ჭიჭინაძის, სამსონ ფირცხალავას სახელებზე.

ერთხელაც ვერ გაბედა მამისთვის შეეხედა. გამოსამშვიდობებლად ისე ჩამოართვა ხელი, თვალი არ გაუსწორებია.

- მემდური თოლიგე? – უთხრა მამამ, ახლოს მოიზიდა, მკერდში ჩაიკრა, – მხოლოდ ღმერთმა იცის შევხვდებით თუ არა ისევ.

იგრძნო თუ როგორ მოუჭირა ყელში რაღაცამ, შეეშინდა არ დამხრჩვალიყო. იდგა მდუმარედ, მამის მკერდს მიყრდნობილი და ლოყაზე მომდგარ ცრემლებს ყლაპავდა.

- რა გატირებს თოლიგე! – უთხრა მამამ, – მე კაცი მეგონე, შენ კი გლახა ყოფილხარ! ჩვენზე ნუ იდარდებ, ღმერთი იყოს შენი მფარველი!

ერთხანს მდუმარედ იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, მერე ურემზე ავიდა და გადებულ მორზე დაიკავა უკანა ადგილი, მაშოს გვერდით. მათრახი გადაუჭირა ჭილისქუდიანმა მეურმემ ხარებს, ადგილიდან დაძრა.

რახრახით მიდიოდა ურემი და სულ უფრო აშორებდა მამას, დარიას, ზოზიას. შარაზე რომ გავიდნენ, დაინახა სერზე გადმომდგარი დაღვრემილი მამა, თავსაფრიანი დედინაცვალი და აცრემლებული ზოზია, ხელში თეთრ ცხვირსახოცს რომ აფრიალებდა.

ისევ მოეძალა ცრემლი. ხელები მოუჭირა მაშომ, ახლოს მიიხუტა და საღდაც, შიგ, მკერდის სიღრმეში იგრძნო, როგორ იკავებდა სლუკუნს.

მიჯაყჯაყებდა ურემი ოღრო-ჩოღრო გზებზე, აღმართ-დაღმართ, უკან იტოვებდა ნაცნობ ადგილებს. მდინარის გაღმა თავდებოდა სოფელი, თავისი პატარა შუკებით, იწყებოდა ფართო, გრძელი, მანამდე გაუვლელი შარა.

წმინდა თავშესაფარი

მთაწმინდის ფერდობზე გადმომდგარ ერთ დაბალჭერიან სახლში იქირავეს პატარა ოთახი. თუთებით და ფშატით გარშემორტყმული ბანიდან ხელისგულივით მოჩანდა მთელი ტფილისი. დილიდანვე ისმოდა მხარზე ხურჯინგადაკიდებული მცხეთელი მემაწვნეების ძახილი ქუჩებსა და ეზოებში. წვეროსანი თულუხჩები პატარა კასრებით დაატარებდნენ ცივ წყალს.

გული არ უჩერდებოდა შინ. უთენია მიაშურებდა ქუჩებს და დაღამებულზე ბრუნდებოდა. ყველაფერი აოცებდა: მოკირწყლულ გზებზე ავტოების გრუხუნი, ცხენებშებმული მწვანე კონკები, დუქნები სირაჯხანაში, აქლემთა ქარავნები შეითანბაზარში, აქლემებივით დინჯი, ჩალმიანი სპარსელები, ვაჭრები შორეული ტიბეტიდან, ბულვარებში მოსეირნე გიმნაზიელები, ქოლგები, კორსეტებიანი ქალები, აბრეშუმის სამოსლის შრიალი, მანჟეტებიანი მაღალი საყელოები.

აბანოების მხრიდან ბაზაზხანას ჩაუარა. ეტლების ქარავანი მოდიოდა სიონის ტაძრისაკენ. მექორწილეები იყვნენ თავისი მაყრებით და სტუმრებით.

ანჩისხატის ტაძარს გასცდა და ბაგრატიონთა ნასახლარის წინ, დუქანთან ჩამოჯდა. გადმოფარებული ჩარდახის ქვეშ ჭრელი ხალიჩები ეფინა, კუდდაკეცილი ფარშევანგი დააბოტებდა ზედ. თეთრჩალმიანი სპარსელი გამოვიდა და ჭიქით დარიჩინიანი ჩაი მოართვა. ინით შეეღება გრძელი წვერები და ხელისგულები, მზეს უფრო გაერუჯა აგურისფერი სახე.

- ბეფარმე! – ღიმილით მიესალმა სპარსელი.

- თქვენის ნებართვით მცირე ხანს ჩამოვჯდები, – უთხრა ტერენტიმ.

- ხოშბაშ!

მადლობის ნიშნად თავი დაუკრა და თბილი ჩაი მოსვა. მაგიდაზე ხონჩით ელაგა ბროწეული, კიტრი და შინდი.

- ჩიბუხს ხომ არ ინებებთ? – ჰკითხა სპარსელმა.

- მადლობთ! ჩაიც საკმარისია.

- ბეფარმე! – გაუღიმა სპარსელმა. ასანთს გაჰკრა, ანთებული წუმწუმა მიიტანა ჩიბუხთან, მოუკიდა. მცირე ხანს იდგა ჩიბუხგაჩრილი. სიტყვა არ გაუღია ისე შებრუნდა დუქანში.

თავი მიადო ქვითკირის გრილ კედელს და სქელი ტილოთი გადმობურულ ჩარდახს ახედა. შუადღის მწველი მზე აჭერდა. ალმური ასდიოდა შუაბაზრის ვიწრო ქუჩას. მხოლოდ ჩარდახქვეშ შეიძლებოდა სულის მოთქმა.

“ესაა ჩემი თავშესაფარი, თბილისი – წმინდა თავშესაფარი”, – გაიფიქრა მან და თავი ჩამოდო მაგიდაზე, რული მოეკიდა.

როცა გამოეღვიძა, ნამგალა მთვარე დაჰნათოდა ლილისფერ ცას. გრილი ნიავი ქროდა ჩარდახის ქვეშ. სპარსელს დუქანი დაეკეტა, ხალიჩები აღარ ეფინა ქვაფენილზე, არც ფარშავანგი ჩანდა სადმე. მაგიდაზე ისევ იდო ხილით გაწყობილი ხონჩა და ჩაით პირამდე სავსე ჭიქა.

მეძველწიგნე ზაქარია

გრაფის ქუჩაზე ყასბების და ოქრომჭედლების სავაჭროების მწკრივს ჩაუარა. კვირა დღე იყო და ალექსანდრეს ბაღის ქვემო ნაწილში, ხაზინის წინ გაშლილ სალდათის ბაზარს ხალხი დახვეოდა. ყარაჩოღელები იდგნენ მეთევზეთა დუქანთან, ლორ მელიქოვზე. ჩინურ ჯამიდან სვამდნენ ღვინოს და მწვანე ბაღდადის ფრიალით საბახუსოდ ეპატიჟებოდნენ გამვლელთ.

“გამიფრინდა სიხარულის ფრინველი” – მიიმღეროდნენ ყარაჩოღელები, მეარღნეები მოჰყვებოდნენ უკან. კინტო ადევნებოდა ცოცხალი თევზით ხელში.

ხაზინასთან, ქუჩის ორივე მხარეს, ბუკინისტებს მაგიდები დაედგათ და წიგნებს ჰყიდდნენ.

“იქნებ აქ შევხვდე ზაქარია ჭიჭინაძეს”, – გაიფიქრა ტერენტიმ და წიგნებით, რვეულ-წიგნებით დახვავებულ დახლს მიაშურა. თვალში მოხვდა “ყარამანიანის” ძველი, გაცრეცილი სურათები. ერთ-ერთი აიღო ხელში და თვალიერება დაუწყო.

- როგორ ყიდით ყარამანიანის სურათებს? – ჰკითხა მან.

- ერთ შაურად წაიღე, – უპასუხა მაგიდასთან მდგარმა მოხუცმა.

- თითო თუ?

- ჰო თითო.

- ძვირია.

- ჰა, ორი წაიღე თითო შაურად.

- მაინც ძვირია.

- ბატონი ბრძანდები, – ამოიჩიფჩიფა მოხუცმა.

- ზაქარია ჭიჭინაძეს ხომ არ მიმასწავლით? – ჰკითხა მან.

- კვირაობით აქ დადის, მაგრამ დღეს არ გამოჩენილა, – უპასუხა მოხუცმა, – ამხანაგობაში შეიარე, იქ დაგხვდება, აქვეა, ბაღის ზედა კუთხეში.

ალექსანდოვის ბაღის პირდაპირ, ქაშვეთის ეკლესიის გასწვრივ თავდაღმართზე პატარა ქოხმახები იყო ჩამწკრივებული. ქოხმახებში ისხდნენ ბუკინისტები და ძველი წიგნებით ვაჭრობდნენ.

გეორგიევსკის ქუჩა გადაჭრა და ბაღთან, რკინის რიკულების წინ პატარა ჯიხურს მოჰკრა თვალი. სუროთი ნახევრად დაფარულ აბრაზე წარწერა გაარჩია –

“ქართველ გამომცემელთა ამხანაგობა”. გარეთ გამართულ დახლზე ჟურნალ-გაზეთები, ძველი ალბომები და ხელნაწერები ელაგა.

ჯიხურთან ტანმორჩილი, შაგვრემანი მოხუცი იჯდა, თავზე ცილინდრა ქუდი ეხურა. ხელში წებო და ფუნჯი ეჭირა, წიგნიდან ამოცვენილ სიყვითლეშეპარულ ფურცლებს ყდაში აწებებდა.

- ეძებთ რამეს? – ჰკითხა მოხუცმა. წიგნის გაწებვას თავი გაანება, სათვალე მოიხსნა და შემოხედა.

- თქვენ ბრძანდებით, ბატონი ზაქარია?

- მე გახლავართ, – მიუგო მოხუცმა ღიმილით.

წიგნი დახლზე დადო, მოხუცს შეაცქერდა.

- ღმერთო დიდებულო, ბატონო ზაქარია!

- გამარჯობა, ყმაწვილო!

- ბევრი მსმენია თქვენზე, თქვენი წიგნებიც მაქვს წაკითხული.

- შემობრძანდით შიგნით, – უთხრა ზაქარიამ, ფარდა გადასწია და შიგ შეიპატიჟა.

ოთახი პატარა იყო, იატაკიდან ჭერამდე წიგნებით სავსე ფართო თაროებით. მაგიდაზე უწესრიგოდ ეწყო ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები და სამელნე. ერთფეროვან ხმაზე სცემდა კედელზე ჩამოკიდებული ხის ძველი საათი.

- აარჩიეთ? – ჰკითხა მოხუცმა მცირე ხნის შემდეგ.

- ცისფერყანწელების “ოქროს ვერძი”, 1913 წლის გამოცემა – უპასუხა მან.

მოხუცმა თავი ასწია და შემოხედა.

- ოჰო, ლექსებს ხომ არ წერთ?

- ვწერ, ბატონო ზაქარია.

- ჰო, ეს კარგია, ძალიან კარგი, ძალიან კარგი! – უპასუხა ზაქარიამ, – მაინც სად გაქვს ეს ლექსები, ან თუ დაგიბეჭდავს რამე?

- კი, დავბეჭდე, – მიუგო მან და ქუთაისის გაზეთში დაბეჭდილი ლექსი მიაწოდა ზაქარიას.

ზაქარიამ გაზეთი გადაშალა, ლექსი გადაიკითხა.

- ტერენტი წალენჯიხელი, – ისეთი ტონით თქვა ზაქარიამ, თითქოს გაეგონოს კიდეც ეს გვარი და სახელი.

- კვირკველია ვარ მე, წალენჯიხელი ისე...

- სწავლობთ თუ მუშაობთ სადმე?

- ახლახან ჩამოვედი სოფლიდან, უნივერსიტეტში ვაპირებ სწავლას.

- დიდებულია, ყმაწვილო, – მიუგო ზაქარიამ, – მაშ ცისფერყანწელები აირჩიეთ, არა?

- დიახ, მაგრამ ხვალ წავიღებ.

- ხვალ რად?

- ფული არ წამომიღია თან.

- წაიღეთ წიგნი, ფული მერე გადამიხადეთ.

- მერე? არა, ფული რომ მექნება მაშინ წავიღებ.

- წაიღე, წაიღე, – უთხრა ზაქარიამ.

- ხვალ რომ ვერ გამოგიაროთ?

ზაქარიამ თავი გააქნია, თუთუნი გაახვია, გააბოლა.

- წაიღე, ფული არაა საჭირო, – უთხრა მან და წიგნი ძალათი მიაჩეჩა.

უცებ მოასკდა გულ-გვამში რაღაც თბილი ჭავლივით. ისევ ამოუტივტივდა იაკობ შანავა და მისი ბიბლიოთეკა, ვაშლის ბებერი ხე ფანჯრებს მიღმა.

- გამოიარეთ როცა მოგესურვებათ, – უთხრა ზაქარიამ, – თუ ბინა არა გაქვთ, ჭავჭავაძის ქუჩის თავში მიკითხეთ, მთაწმინდაზე,

დამშვიდობებისას ერთხელ კიდევ შემობრუნდა და როცა მოხუცის თანამგრძნობი ღიმილი იხილა, ისევ იგრძნო კეთილისმყოფელი მოძღვრის სიახლოვე.

მოკლული შვილი

სწავლა ვეღარ განაგრძო, ვერც ხეირიანი სამსახური იშოვა სადმე. მაშო მკერავად მოეწყო სამკერვალო ატელიეში, როგორც შეეძლო ხელს უმართავდა უმუშევრად დარჩენილ ძმას.

მამამ ნაცნობის პირით შემოუთვალა ტერენტის – დაბრუნდიო შინ, მოენატრეო ზოზიას, შენს მზეს ფიცულობს, რა გაგაჩერებს მაგ უცხო ქალაქში, მეც დავბერდიო, მალე წავალო ალბათ ამქვეყნიდან, ნუღარ ჩააქრობო კერას, შეიბრალეო შენი უბედური მამა!...

არ გასულა დიდი ხანი, ზუგდიდში ჩასულმა შემთხვევით შეიტყო მამის გარდაცვალება.

ასე ეჩვენა, ცა შეიჭმუხნა, თანდათან დაპატარავდა, მერე წერტილად იქცა და ცა აღარ იყო ცა, შესაფარი სახურავი.

დაბაში რომ ჩავიდა, მამის ცხედარი უკვე წაეღოთ სასაფლაოზე. კუბო დაეხურათ, სამარეში ჩასაშვებად თოკებით კრავდნენ მამაკაცები.

ლოყებს იხოკდა დედინაცვალი, თავში იცემდა ხელებს: მოგვიკვდაო მამა, ნანა! ხმა ვერ მოგაწვდინეთ, ვერ მოგძებნეთ ტფილისს.

ტიროდნენ მაშო და ზოზია: სიკვდილის პირს მხოლოდ შენ გნატრობდაო მამა.

დახურულ კუბოს ისევ ახადეს თავი. მოწყვეტით გადაემხო ცხედარს.

ღამე საფლავს მიაკითხა. ნაძვის ჩრდილები იწვნენ მთვარის შუქით განათებულ ყრუ სასაფლაოზე, სდუმდნენ ბრინჯაოს ჯვრები, ჯუჯუმკალებს გაებათ გალობა მწუხრში და მათ მონოტონურ ხმაზე ირღვეოდა მწუხარე ფიქრი.

თითქოს მოვიდა შორეული ქალაქით მოკლული შვილი, დამნაშავესავით თავჩაქინდრული და მამამ მის წინ მომნანიე ცრემლი გადმოანთხია.

შინისკენ მომავალი შორი გზა, ძალით გაწელილი სივრცეები. მამის გარეშე ცარიელი და მკვდარი სახლი.

სასაფლაო – დროთა ცელით აჭრილი და ხავსიანი ქვებით დამძიმებული სულები. ერთმანეთის მსგავსი საფლავების რიგი, მიწის მოსწორებული ზედაპირი, არსად ტეხილი.

დასრულებული ომი, სადაც გამარჯვებული არავინაა. ძლეული დასასრული, განუყრელი სიყრუე, სიჩუმე.

სონეტი დედინაცვალს

ცრემლი მიჰყვება ცრემლს, ცრემლი ცრემლებს დაეხვევა როგორც ბაწარი. წლისთავს მამის ცრემლს მიჰყვა დედინაცვლის ცრემლი.

საფლავზე აიწია ბორცვი.

დადგა უიმედო საღამოები. მდინარეში შეგდებული ობოლი ტივები თავახდილი კუბოებივით მიირწევიან უმთვარო ღამეს.

რამე ხმას მაინც გამოსცემდეს ეს უტყვი სამარე?!. სიჩუმე, ისეთი, როგორიც უდაბურ ადგილებში იცის ხოლმე. ტივივით ტორტმანებს დათალხული ღამე.

ტირილი ღამით. იგი – დატოვებული მათგან და ისინი – მიტოვებულები მისგან.

გაწვა საფლავებს შორის, ნაძვების ჩრდილში. თავზე მცველივით ადგა ფერწასული მთვარის ნათება.

ბუდე მოენატრა და თითქოს კალთა ყოფილიყო, საფლავის ახალმიყრილ მიწაზე ჩამოდო თავი. ჩუმად იწვოდა ერთმანეთს მიყოლებული მწუხარების კორიანტელი.

იწვნენ ერთ საწოლში, სამყაროთა გამყოფი კედლის სხვადასხვა მხარეს.

მოპატიჟება დაისისკენ

თბილისი მინდა როგორც საფლავი

მწუხრს მელნად შეეღება ჩუმი ცა. ჭირისუფლისგან მიტოვებულ, დაჭედილ კუბოსავით ადგა ტფილისს არსენალის უდაბური გორები. მოყვითანო მთვარის სხივებიც ვერ აღწევდა და რჩებოდა სიღამეში.

ფარნები მკრთალად ანათებდნენ კახეთის გრძელ ქუჩას. წვრილი, მაღალი ხეები იისფრად შეფარებოდნენ ბნელს. იისფერ ჩრდილებს ტოვებდნენ სწორ, გრძელ გზაზე.

ზაქათალის ქუჩით აუყვა პეტრე-პავლეს სასაფლაოსკენ მიმავალ აღმართს. უსინათლოთა სკოლასთან ხელჯოხებით მოსეირნენი შემოხვდა. ქვაზე კაკუნით მიიკვლევდნენ ღამიან გზას.

მოციქულთა თავთა წმინდა პეტრე-პავლეს ეკლესიის გუმბათზე ესვენა მთვარის ციკლოპური თვალი. კვიპაროსების გრძელი ჩრდილები ირწეოდნენ სილურჯეში. ყვავები შესეოდნენ ჩაშავებულ ტოტებს, და მაინც, ყველგან უწყინარი ქალწულივით იდგა უნაზესი და – სიჩუმე, სამარეთა სამუდამო დარაჯი.

ჩაუარა მდუმარე საფლავებს, იდუმალი ბინდით ჩაძინებულთ. რკინის კარი აჭრიალდა სადღაც, დაარღვია დავანებული სიჩუმე.

ქვაზე ჩამოჯდა და ყური მიუგდო შავი თითისტარებივით ალანძულ კვიპაროსების რხევას, თითქოს მათგან სურდა მოესმინა სასაფლაოს ბინადართა უტყვი სევდა.

ნელი ფეხის ხმა გაისმა. მიიხედ-მოიხედა. არავინ ჩანდა. კვიპაროსები ირხეოდნენ ბნელში. ასე ეჩვენა, თვით სიკვდილი მოუხმობდა ჩრდილების სამეფოდან.

ისევ შემოესმა უჩვეულო ხმები. ვიღაც გამოეყო ბნელს, კუნაპეტ ცასავით უშავესი. ვერც გამოარჩევდი სიღამისგან, თითქოს შერწყმოდა ჩამოწოლილ მრუმეს, როგორც თავად დახშულ ბნელეთის სიცარიელე.

მიიწევდა ღამეს შერთული სიშავე წყვდიადის ლაბირინთებში. სერზე დადგა ლანდი და უკუნ ღამეში გაუჩინარებული უშავესი ხელები გაიწვდინა მძინარე ტფილისისკენ:

“ყველას გეპატიჟებით დაისისკენ”, – გაისმა ნელი ჩურჩული, და ისევ შეერია, შეერწყა ბნელს.

სურდა მისულიყო და ეთქვა, რომ იგი აქაა ყოველღამე მოწვეული და მწუხრზე აქედან ელოდება დაისს, რომ სასაფლაოს სიმრუმეა მისთვის ყველაზე სანუკველი ადგილი და ტფილისი ასეთი სასაფლაოა.

ღმერთების სიცილი

მალაკნის ქუჩით ვაგზლისაკენ გაემართა. ეტლები და ურმები იცდიდნენ ვაგზლის შენობის წინ, ფართო მოედანზე.

გზად ლოყებდაბერილი მედუდუკეები შემოხვდნენ, სამიკიტნოებთან იდგნენ, მუშტრებს ეპატიჟებოდნენ. მაშარაბიანი სუკის მწვადების სუნი ეცა. გაახსენდა, რომ ნისიად რამდენჯერმე ასადილეს და ახლა ისე არავინ შეუშვებდა.

გზაზე მაწვნით დატვირთულმა შავმა სახედრებმა ჩაიარეს.

- მაწონი, მაწონიი, – გაჰყვიროდა მემაწვნე.

მემწვანილეებს გარეთ გამოეტანათ ახალი მწვანილი, ცივი წყლით ნამავდნენ ქუჩის კუთხეში მუშამბაზე დაფენილ მწვანილებს.

ასე ფიქრობდა, შიმშილს როგორმე გავუძლებო, პოეზიის პარნასზე თუ შედგი ფეხი, არ აგცდებაო გოლგოთის გზა. არცთუ იოლი აღმოჩნდა გეჰენიის ცეცხლში სიარული. რკინიგზის სადგურზე დაიწყო მუშაობა, ჯერ ვაგონების გადამბმელად, შემდეგ კონდუქტორად.

ჩათვალა, რომ დამარცხდა. უნებლიე შური იგრძნო დემონიურ გზაზე მავალთა მიმართ. ახლა ისინი, მშიერნი და მწყურვალნი საუფლო მწვერვალზე იდგნენ.

თვითონ კი... თვითონ კონდუქტორის ფორმაშია გამოწყობილი და მესამე კლასის ვაგონიდან მიშტერებია სქელ სარკეებზე წკვარამად ჩამოქცეულ ღამეს.

მოშორებით ეულად იდგა ბნელით გაშავებული კვიპაროსი. თითქოს მიქვავებოდა სივრცეს, ვეღარ გამოარჩევდი სიმრუმისგან, აღარ ირხეოდა.

სადგურის თავზე ეკიდა დაჟანგული დიდი საათი. ისრები მოეტვრია ჟამს. მიტოვებული ფეხსაცმელი ეგდო რელსებზე. უკაცრიელი ჩანდა უძრაო სადგური.

სასტვენის ხმა გაისმა, მატარებელი შეძაგძაგდა და ნელა დაიძრა, სვლას უმატა. უკან დარჩა ბაქანი. ფანჯრის მიღმა ჩაიქროლეს ერთმანეთზე მიჯრილი სახლების სახურავებმა. მწუხრში ჩაძირული, ტიტველი გორაკები გამოჩნდა. შორს სივრცეში აქა-იქ ბჟუტავდა სინათლე.

ორივე ხელი შემოიჭდო შუბლზე, თავი სარკმლის ჩარჩოს მიაყრდნო, თავჩაქინდრული უსმენდა მატარებლის მძიმე ბორბლების რახრახს რელსებზე, თითქოს ღმერთების სიცილი ჩაესმოდა მათ გულისგამაწვრილებელ ხმაზე.

ნიკალა კონდუქტორი

მოსაღამოვდა, დღე ღამეს ეყრებოდა და ბინდბუნდი იყო, სადღაც, ცის კიდურს კიდევ აჩნდა მზის ნათელი. ფარნები აანთეს ქუჩებში.

მურუჟღ სინათლეზე დუქნების რიგი გამოჩნდა მალაკნების უბანში. მუშტრის მოსაზიდად ფართოდ გაეღოთ სამიკიტნოები და ყველგან ზურნისა და ხრინწიანი არღნის ხმა მოისმოდა. ფართოშარვლიანი კინტოები რხევით დადიოდნენ ეზო-ეზო, თავზე ხილით სავსე დიდი თაბახი ედგათ. მოჰკრავდნენ თვალს ვინმეს და ბოხი ხმით დაიწყებდნენ გაგრძელებულ ძახილს:

- აბა, კაი ხილი! პაჰ-პაჰ-პაჰ, აბა, სამოთხის ხილი!

ფოსტის ბაკენბარდებიანი მოხელე მიბარბაცებდა ფეხარევით. ქუჩის ბავშვები მოსდევდნენ უკან და დაცინვით უძახდნენ.

ღვინით სავსე რუმბები ეწყო დუქან “ვარიაგთან”. ყარაჩოხელებს ლხინი გაემართათ. ულვაშებგადაგრეხილი მიკიტანი დარბოდა მაგიდებს შორის, განიერი, შავი სატინის შარვალი ეცვა, წელზე შემოჭიმული შავი სატინისავე ხალათი ვერცხლის დიდბალთიანი ქამრით შეეკრა.

სარკმელთან ახლოს დაჯდა და მღებავი ნიკალას მოხატულ ყარაჩოხელებსა და ორთაჭალის მოქეიფეებს მიშტერებოდა.

კარებთან, რკინის რაზებს მაღალი, პირხმელი კაცი მიყრდნობოდა. ძველი პიჯაკი ეცვა. ფართო, ნაღვლიანი თვალებიდან ბავშვი იმზირებოდა. მედუქნემ ჩამოუსხა ჭიქა ღვინო.

უცნაური ხატება გამოეცხადა. ეზმანა თითქოს ნიკალა იდგა მის წინ, გამხდარი და დუქან-დუქან ხეტიალისგან ფერმიხდილი, ძილგატეხილი. მაგიდასთან მიიპატიჟა, არყით სავსე ჭიქა მიუჭახუნა.

- მეც შენსავით კონდუქტორად ვმუშაობდი, – ეუბნება ნიკალა, – საბარგო მატარებლის მემუხრუჭე კონდუქტორად.

- კონდუქტორებს გაგვიმარჯოს! – უპასუხა ტერენტიმ, ჭიქა ასწია და ერთი მოსმით დალია თლაშო არაყი.

- სადგურის უფროსის სურათიც მაქვს დახატული, – თქვა ნიკალამ, - ვიფიქრე ჯამაგირს მომიმატებს მეთქი, არ მომიწონა და სამსახურიდან გამომაგდო.

- ისევ მიწაზე ვრჩები, ისევ მიწაზე მივალ.

წვიმდა გარეთ და წვიმის ხმა ყალბი არღნებივით აწვრილებდა სულს. სარკმელზე შხაპუნებდა წვიმა, ტიროდნენ კედელზე მოხატული ფარული კოშმარები სევდის მინაში.

ნიკალა წამოდგა, მთვრალი იყო და რომ არ წაქცეულიყო, კედელ-კედელ, ხელის ცეცებით აჰყვა კიბეს, ფრთხილად მოიხურა სარდაფის ჭრიალა კარები და გარეთ, უჩვეულოდ გადმობრუნებულ ცის ქვეშ, ღამის ლოთებს დაეძებდა ღვინის თასებით.

დაბრუნება

თბილისი-ფოთის მატარებელს ჩამოჰყვა ახალსენაკში. ჯერ კარგად არც გათენებულიყო. მიმავალი ღამის ლურჯი სხივები ადგა ყვითელ სადგურს. ღია ფანჯრის რაფაზე ბერიკაცს ჩამოედო თავი, ჩასძინებოდა. იისფერი კვიპაროსების ჩუმი შრიალი არღვევდა ჩამოწოლილ მდუმარებას.

სადგურზე წალენჯიხისკენ მიმავალი მეურმე შემოხვდა, მგზავრობა შემოსთავაზა. მარილი მიჰქონდა გასაყიდად. ურემზე ფქვილით და მარილით სავსე ტომრები ეწყო.

მჭადა ქვებით მოყრილ უსწორმასწორო გზაზე რახრახით მიდიოდა ურემი. შედგებოდა ურმის თვალი დაუმტვრეველ ქვაზე, თითქოს აღმართს აუყვაო და მერე ეშვებოდა თავქვე. უნდომრად ერეკებოდა მეხრე ხარ-კამეჩებს.

ინათა. სიმინდით, ღომითა და ფეტვით დათესილი მინდვრები მისდევდნენ ერთმანეთს. აქა-იქ გლეხები გამოსულიყვნენ ყანებში.

ისლით დახურული სახლები იდგნენ გზის პირას. ფეხშიშველა, პერანგისამარა ბავშვები გამორბოდნენ თხემლის წკნელის ღობესთან. ცნობისმოყვარე თვალებით მოაშტერდებოდნენ გზაზე მომავალთ. ძაღლები გადმოდიოდნენ შარაზე, ურემზე შებმულ ცხენებს უყეფდნენ. სადღაც ზმუოდა ძროხა.

“რა ვუთხრა მაშოს და ზოზიას?” – ფიქრობდა და რაც უფრო უახლოვდებოდა სოფელს, მით მეტად ეძალებოდა ხელმოცარულობის გრძნობა.

ეზოში შესვლისას ძველი ცაცხვის სუნი ეცა. არსად არაფერი ეგულებოდა უფრო სანატრელი. დაბმული ძაღლები აყეფდნენ ჯარგვალთან, გარეთ არავინ გამოსულა.

ცაცხვის ჩრდილში, კოინდარზე გაწვა, სასიამოდ გრილი ეჩვენა ნაადრევად ჩამოცვენილ ფოთლების ქვეშ მიწა. თავქვეშ ამოიდო ხელები და ტოტებს შორის მოწმენდილ ცას გახედა.

“ეს ცა მაშინ სხვა იყო”, გაიფიქრა და თვალწინ წარმოუდგა ბავშვობა. ფოთოლივით სულში აკანკალდა მოგონებების ქსელი. გაახსენდა, ზუგდიდიდან ცხენით რომ მოჰქონდათ ფოსტა. ზოგჯერ დააგვიანებდა და მოსვენებას კარგავდა. შემდეგ მაღლობზე გადაიტანა მზერა, საიდანაც ყოველდღე ელოდა ქრისტეს გამოცხადებას. მერე *თეთრმა სიჩუმემ ის იმედი წაიღო.*

ფიქრებში გართულს, მოულოდნელად ზოზია წაადგა თავზე. თითქოს ზმანებებმა მოსტაცეს თავი, მფარველ ანგელოზად მოეჩვენა ცის მოსარკულ ფონზე ასვეტილი ქალის სახე.

ზოზიამ პირჯვარი გადაიწერა, მოეხვია და კარგახანს აღარ მოშორებია, უხმოდ ქვითინებდა. არც მას გაუღია ხმა. სატინის პერანგზე ზოზიას ცრემლების სისველეს გრძნობდა.

- აღარ გამოჩნდი, ყოველცისმარე სუჯუნის წმინდა გიორგის ვავედრებ შენს თავს.

თავი აიღო ზოზიამ, ჩუმი ცრემლი მოიწმინდა და თვალები მიაშტერა, დიდი ხნის უნახავივით აათვალიერ-ჩაათვალიერა.

- ეს რა გაცვია? ალბათ სწავლობ სადმე? შენი ამბავი რომ ვიცი, თავს არ დაიკარგავდი.

- ეჰ, ჩემო ზოზია! ეგ რკინიგზელის ფორმა აბა რა ჩემი საქმეა.

- რკინიგზელის? – გაკვირვებით შემოხედა ზოზიამ.

- სწავლა ვეღარ გავაგრძელე, ვერც ხეირიანი სამსახური ვიშოვე სადმე, – უპასუხა მან დაბალი ხმით და თავი ჩაღუნა.

ზოზიამ თავი მიადო მკერდს. მხრებზე მოხვია ხელები. სიჩუმე ჩამოვარდა. ვაზის ფოთლები გაფაჩუნდნენ ვენახში.

- ჩავალ თბილისში და მაშინათვე გავიხდი, – უთხრა მან დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ და ზოზიას მზერა მოარიდა.

სოფელი წყალივით ჩუმი

აყივლდნენ აკაციის ხეებზე შემომსხდარი მამლები. ძაღლი აწკმუტუნდა ეკლის ღობესთან. აწვიმდა მაისის წვიმა ისლის სახლს. წვიმის წვეთების ნელი სრიალი ისმოდა გარეთ. იღვიძებდა სოფელი.

უთენია გაემართა სოფლის სასაფლაოსკენ. მიდიოდა ქვიან შარაზე, ნაწვიმარ გუბურებს ახტებოდა. ზანზალაკებიანი საქონელი ზლაზვნით მიუყვებოდა ორღობეებს. ხშირ დაფნარს დაეფარა მთის კალთა. შარამდე მოდიოდა მისი სუნი.

სასაფლაოსკენ მიმავალი გზა შუკაზე გადიოდა. შარას გადაუხვია და ალვის ხეივანს გაუყვა. ფოთლები ცვიოდა ალვის ხეებს. ღელე მოდიოდა ჩუმი და წყნარი, როგორც ცრემლი. ფოთლები ეწყო ღელესთან როგორც ცხედარი.

სასაფლაოს თეთრი ქვის გალავანი გამოჩნდა. ტანდაყურსული ხეები გადაჰფარებოდა ჯვრებს, მორცხვად ეფერებოდნენ საფლავებს. ისმოდა ბებერი ცაცხვის ნელი შრიალი.

ტოტებგადაგრაგნილი ცაცხვის ქვეშ ძელსკამზე ჩამოჯდა. საფლავის ქვების სურნელი ეცა.

საფლავის ქვაზე დნებოდა ყვითელი სანთელი.

ძაღლი ტიროდა სოფელს. მამლები აღვიძებდნენ მიდამოს. *სოფელი წყალივით ჩუმი, სოფელი მიტოვებული სამარე.*

მე წავალ სხვანაირ სახით

ჭითაგვალას მთა მაღალ, მწვანე კედლად შემოსალტოდა დაბას. მთის გაღმა ეგრისის გრძელ ქედს გადაეჭიმა მხრები.

კოინდარზე გაფენილ ფარდაგზე თიხის აგურისფერი თეფში იდო, მწიფე ვაშლებით და ყვითელი ბიებით.

ხელები თავქვეშ ამოედო და შორეთს გასცქეროდა. წეროები მიფრინავდნენ თვალმიუწვდენ სიმაღლეზე, ზღვისკენ აეღოთ გეზი.

“ჩემი კოცონი მხოლოდ ცაზე იწვის. წვიმით გალუმპულ ნესტიან მიწაზე ყველაფერი სველია, კოცონს ვერ დაანთებ, ჩაგიქრება უმალვე”.

ზოზია წაადგა თავზე, თუნგით რძე მოეტანა.

თუნგი მოიყუდა, რძე პირს უსველებდა, მკერდზე ესხმებოდა.

სიმინდის ყანები შრიალებდნენ დილის ნიავზე. აკაციის ჩრდილი დაცოცავდა მხრებზე.

- დარჩი აქ.

- არ შემიძლია. აქ რა უნდა გავაკეთო. აგერ ვწევარ და ცას ვუყურებ.

ზოზიამ თავი გააქნია.

- ვიქნებით ძველებურად, როგორც მანამდე ვიყავით. ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. ეს სახლიც, ეს ეზოც. ყველაფერი ძველებურად იქნება. აქ საფლავებია და მერე ყველა ერთად ვიქნებით.

აშრიალდა აკაცია და მამა წარმოუდგა თვალწინ, სოფლის ბოლოს, ბარდებს იქით მიწამიყრილი, გაცივებული მამა.

“სადღაც, ყველასგან მოშორებით მთავრდება ყველაფერი. ისე, რომ არავის აწუხებ, მარტო, სოფლის განაპირას, ბებერი ხეების ქვეშ”.

- არა, მე წავალ სხვანაირ სახით, – თქვა ტერენტიმ, - ეს ჩემი ლექსების რვეულია, ტფილისიდან ჩამოვიტანე, რომ მოვკვდე, უპატრონე.

- ასე როგორ თქვი, ნანა, შენ ერთი დაგვრჩი მე და მაშოს.

- ყველა კვდება იმ სიკვდილით, რომელსაც თვითონ მოიფიქრებს, ეძებს და თავად პოულობს.

ზოზიას არაფერი უპასუხნია. გაცრეცილ, წარწერებით აჭრელებულ რვეულს მისჩერებოდა და უხმოდ ტიროდა.

წეროები მიფრინავდნენ ცაზე. თითის გაწვდენაზე ეჩვენა ცა, ისე რომ სიახლოვისაგან თვალები ასტკივდა.

მხოლოდ ცაზე ენთო დიდი წითელი კოცონი.

შიკრიკი

სამსონ ფირცხალავა იაკობ შანავას მეგობარი აღმოჩნდა. მისი დახმარებით ნაციონალ-ფედერალისტების გაზეთ “სახალხო საქმის” რედაქციაში მოეწყო შიკრიკად. სარედაქციო მასალები დაჰქონდა სტამბაში. რამდენიმე წერილიც დაბეჭდა. ერთ ასეთ წერილში ოჩამჩირეში ქართული ენის სწავლებას შეეხო:

“ამ დაბაში იშვიათად ნახავთ ქართულის მცოდნე პირებს... თვითმპყრობელობის დროს ქართული ენის უციდინრობას ნიკოლოზის მთავრობას ვაბრალებდით, დღეს ვის უნდა დავაბრალოთ?!”

სიშიშვლე

დიდხანს ჭოჭმანობდა, ვეღარ გადაეწყვიტა, გაზეთ “სახალხო საქმისთვის” გადაეცა თუ არა საკუთარი ლექსები. ბევრი ფიქრის შემდეგ რედაქციაში წაიღო ხელთნაწერები.

სიმონ ყაუხჩიშვილის კარებთან მცირე ხნით შეყოვნდა. შესვლას ვერ ბედავდა. რამდენიმეჯერ ასწია ხელი დასაკაკუნებლად. ბოლოს რკინის რგოლს მიაწვა. კარი გაიღო და დიდსა და ნათელ ოთახში შევიდა.

სიმონი საწერ მაგიდასთან იდგა, ჩანაწერებს ახარისხებდა. წინ მთად ედგა ერთიმეორეზე დაწყობილი, ახლახან დაბეჭდილი ჟურნალები. ჟურნალები ელაგა იატაკზეც.

- გამარჯობათ ბატონო სიმონ.

- დაბრძანდით, – მიუგო სიმონმა

მაგიდაზე მარმარილოს მძიმე საფერფლე იდგა. თიხის თასში წვერწამახული ფანქრები ეწყო. კედელზე საათი წიკწიკებდა ერთფეროვან, მჟღერ ხმაზე. გვერდით ილიასა და აკაკის პორტრეტები ეკიდა. სურათები რომელიღაც ჟურნალიდან იყო ამოჭრილი.

- რა ამბებია სტამბაში? – ჰკითხა სიმონმა. თავი არ აუღია, ისევ თავის ქაღალდებს ჩასჩერებოდა. კითხულობდა, ზოგს ცალკე ალაგებდა, ზოგს ხევდა და საქაღალდეში ჰყრიდა.

- ბატონო სიმონ! – თქვა მან, ხელში შუაზე გადაკეცილ ქაღალდს ატრიალებდა, – ბატონო სიმონ, ჩემი...

სიტყვა არც დაუმთავრებია, ქაღალდი მაგიდაზე დადო და ოთახიდან გავარდა.

სიმონი დაკვირვებით დააცქერდა გადაკეცილ ქაღალდს, გახსნა და კითხვას შეუდგა.

“მშვენიერი ლექსია, არ მეგონა თუ ტერენტი ლექსებს წერდა, მე ვიქნები ამ ყმაწვილის დამლოცველი”.

სიმონს არავისთვის შეუთანხმებია, ისე წააწერა ხელნაწერს თანხმობა.

იგი კი გარეთ, ცარცით თეთრად შეფეთქილ კედელს მიყრდნობოდა.

“დრო – შავი ბადე. წამი – სამოცი. მე გავიხადე ტანისამოსი”, – ჩურჩულებდა და პირველად იგრძნო დამთრგუნველი სიშიშვლე. თითქოს სამოსი ახადა სულის ყველაზე იდუმალ ნაწილს, გარეთ გამოიტანა ის, რისი მესაკუთრეც მხოლოდ თვითონ იყო.

მეორე დღეს მთელი ტფილისი კითხულობდა უცნობი პოეტის სულიდან გამომტვრეულ საფლავებს.

ყოფნა ყველგან

მთაწმინდაზე, კონსულის ქუჩას მიუყვებოდა. აღმავალი, ქვიანი გზა ვიწროვდებოდა და იკარგებოდა მოსახვევში, ხეებს მიღმა. ტეხილი ზეგანი მაღალ ზღუდედ წამოსდგომოდა ქალაქს. მოტიტვლებულ ფერდობზე გედივით მოჩანდა მამადავითის თეთრი ეკლესია.

გაზეთ “სახალხო საქმეში” ლექსები დაუბეჭდეს. ეს მისი პირველი გამოქვეყნებული ლექსები იყო და ახლა, როგორც არასდროს, სურდა ამ სიმაღლეზე, ღირსეულ წინაპართა საძვალედან კიდევ ერთხელ გადაეხედა ტფილისისათვის.

ცა მოჩანდა როგორც შიშველი სარკე. ადიოდა აღმართზე და მიჰყვებოდა ფიქრის ნავებს.

“ახლა სადღაც დუმილია უფრო, ახლა სადღაც საუბრობენ ჩემზე”, – გაიფიქრა მან და მამადავითის ეკლესიის ბაღში გაუხვია.

ხეები ირწეოდნენ გისოსებს მიღმა. რეკავდა სიჩუმე.

“ჩემო კალამო რად გინდა ტაში”, – ჩაილაპარაკა და უბიდან ისევ ამოიღო ახლადგამოცემული გაზეთი და მთიდან მონაქროლ ნიავს გაატანა.

თბილისი იწვა როგორც მორიელი. ძირს ასანთივით ეყარნენ სახლები. ვერის ხიდთან აბოლებდა მილი. შორს, მადათოვთან, წყლის წისქვილები მოჩანდნენ. მეტივეები ირეოდნენ რიყესთან, ბზის მოედნის გასწვრივ. შინდისფერი დროშა ფრიალებდა მეფისნაცვლის შენობის თავზე.

“ახლა, მინდა ვიყო ყველგან“.

26 მაისი – ია

“ჩვენ გვწყურია თავისუფალი ცხოვრება, და არავის მივცემთ ნებას აბუჩად აიგდოს ჩვენი უზენაესი უფლებები”.

ტერენტი გრანელი

გაზეთი “ია”, 1919 წ.

გაზაფხულის თბილი დღე იდგა, ჭადრები ყვაოდნენ რუსთაველზე, თავისუფლებას ზეიმობდა ტფილისი. სადღესასწაულოდ მორთული ხალხი ქუჩებში გამოსულიყო.

26 მაისს სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი „ია“ გამოსცა.

სტამბიდან გამოსულს გობრონ აგარელი შემოხვდა. რესტორან “კაფე-პარიზ”-ში დაპატიჟა აპერატივის დასალევად.

მკერდზე იები მიეხუტებინა და რესტორნის სარკის მიღმა, სასახლის ქუჩაზე მოსეირნე ხალხს გაჰყურებდა, აივნებზე გამოფენილ შინდისფერ დროშებს, ეტლების გრძელ მწკრივს.

გობრონი შემთვრალი იყო და ლაპარაკი ეხალისებოდა.

- გაზაფხულით მთვრალ იას არ ჰგავს დღეს ტფილისი? – თქვა გობრონმა.

- დღეს მთელი საქართველოა მთვრალი, – უპასუხა ტერენტიმ.

გვერდით მაგიდაზე გერმანელები და ავსტრიელები ისხდნენ. ყანწებით სვამდნენ წითელ ღვინოს.

სასახლის შენობის წინ არ წყდებოდა ხალხის ნაკადი. აივანზე ჟორდანია გადმომდგარიყო. სიტყვით მიმართავდა მოზეიმე საზოგადოებას.

ბაკენბარდებიანი ოფიციანტი მოვიდა, ხურდა არ ეყოთ და ტერენტიმ ია დაუტოვა მაგიდაზე.

როკავდა ქალაქი. ზურნა, ჭიანური, დოლი, ტაში... ბანებზე და ეზოებში გამოფენილნი დაირითა და თარით ირთობდნენ თავს. ამდენი მხიარულობა ტფილისს კარგახანია არ ენახა.

რესტორნებს ბლომად ხალხი მოაწყდა და თავისუფალ ადგილს ვერსად იპოვიდით. ქეიფს მოწადინებულნი ორთაჭალის და ვერის ბაღებს შესეოდნენ, ხალებზე გაეშალათ სუფრები. მესაზანდრეები ერთი სუფრიდან მეორეში გადადიოდნენ და ართობდნენ ბაიათებით.

მთის კალთებზე შეფენილ ტყეებს მოესხათ ფოთოლი, მწვანით აყვავებულ მთებს და მდელოებს ცამდე აჰქონდათ ახლის სურნელი.

ღამე უთვალავი ვარსკვლავი აციმციმდა ცაზე. იგი იდგა გაბრწყინებული იბერიის ცის ქვეშ და ასე ეჩვენა, ამ დღისთვის წამებულთა თვალები უღიმოდნენ ლურჯი სიშორიდან.

ევქსინის პონტოს და ჰირკანიის ზღვას შორის ისევ მიცურავდა ვეფხის დაუგლეჯავი, მარადიული ტყავი.

გრანელი

ნელა გადის დღეები და ძნელია გარჩევა

მე ძვირფასო, ვერ მოვალ, გზა შენამდე შორია.

იწურებოდა 1919 წლის ზამთარი. ქალაქში "აბესალომ და ეთერის" აფიშები გამოაკრეს. პრემიერა 21 თებერვალს დაინიშნა ოპერის თეატრში. თავად ფალიაშვილი დირიჟორობდა წარმოდგენას.

ბილეთები პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე გაიყიდა. ბევრი მსურველი დარჩა უბილეთოდ. ვერც გადამყიდველებთან იშოვიდი.

თეატრი გადაჭედილი იყო. წარმოდგენის დაწყებამდე ქანდარებზე ხმაური შეიქნა. ლოჟებში, საპატიო ადგილას მთავრობის ხალხი და მათი ცოლები ისხდნენ. ორკესტრში დიდხანს აწყობდნენ საკრავებს. ისმოდა ვიოლინოებისა და ფლეიტების წრიპინი. ხალხი ნელ-ნელა იკავებდა ადგილებს.

- ეს რა დაუწერია ზაქარიას! – ისმოდა ოპერის ფოიეში.

- გასაოცარია, ბატონო, გასაოცარი!

- თავისუფალი საქართველოს ჰიმნია!

- აბესალომი საქართველოს უკვდავი სულია! ვანო სარაჯიშვილი კი – საქართველოს ბულბული!

- მარეხის როლის შემსრულებელი იტალიიდან ჩამოუყვანიათ, გრანელია გვარად.

- ამბობენ მთელს ევროპაში ცნობილი მომღერალიაო!

- ნამეტანია, ბატონო ჩემო! ნეტა რაში ხარჯავს ეს მთავრობა ფულს. იტალიელი რომ არ ჩამოეყვანათ, აქ ვერ იპოვიდნენ მარეხის პარტიის მომღერალს, თუ?!

- მაინც იტალიელია, ხომ იცი, გულს უხარია უცხო.

- ამბობენ ძალიან ლამაზიაო, რაფაელის მადონებს ჰგავსო.

- ჰოდა, სწორედ რენესანსი გვჭირდება ახლა ჩვენ.

- გაახილე ბატონო თვალები, ეს ოპერა ქართული რენესანსია, აბა მეტი რენესანსი რა გინდა?!

- ჰო, კაი, კაი, ვნახოთ ბატონო ბოლომდე, ვნახოთ!

ოპერის ფოიეში ზარის ხმა გაისმა. თავმოყრილი საზოგადოება დარბაზისაკენ გაემართა.

დიდი, ხავერდის ფარდა უმოძრაოდ ეკიდა სცენაზე. თვალს ჭრიდა ასსანთლიანი დიდი ჭაღი. ხალხით გაჭედილ პარტერში ადგილი არ იყო.

კუთხეში, სვეტებთან ძლივს გაიკვლია გზა. კედელს მიეყრდნო და გულზე ჯვარედინად დაიკრიფა ხელები.

დიდი ჭაღი ჩაქრა. გაინაბა დარბაზი. ზაქარია ფალიაშვილი შემოვიდა და თავისი ადგილი დაიკავა ორკესტრში. პენსნე გაისწორა, ხელი ასწია, ჯოხით გამაფრთხილებელი მოძრაობა გააკეთა და გაისმა ორკესტრის ხმა.

მეორე მოქმედების ბოლოს, მარეხი გამოვიდა სცენაზე. იმდენად დიდი იყო ცნობისწადილი, ზოგი ლორნეტით მიშტერებოდა იტალიელ ქალს.

ტერენტი მონუსხული გაჰყურებდა სცენას. ტაშის კვრამ გამოაფხიზლა. ფეხზემდგარი დარბაზი სცენიდან არ უშვებდა მომღერალს.

კულისებისკენ გაქცეულ თაყვანისმცემლებს გაჰყვა უკან. ფოიეში იტალიელი მომღერალი გამოჩნდა და შეჯგუფული ხალხი ერთბაშად მიაწყდა.

- მშვენიერებაა! დიდებულია!

ტერენტი მოშორებით იდგა და იტალიელი მომღერლის გარდა სხვას ვერავის ამჩნევდა. ქალმა შემოხედა და გაუღიმა.

- გრანელი – მისტიური გვარი გაქვთ, – უთხრა ტერენტიმ, – გვარსაც ხომ თავისი მისტიკა აქვს.

- იტალიაში ასეთი გვარები ბევრია.

სპექტაკლის შემდეგ საზოგადოება საოპერო დასს მტკვრის მარცხენა სანაპირომდე გაჰყვა. ტივებზე მოკალათებული თბილისელები მთელი ღამე ზეიმობდნენ პრემიერას. ოპერიდან არიებს გათენებამდე ენაცვლებოდა მედუდუკეთა დასტის მუხამბაზები.

მეორე დღეს ისევ ესტუმტა ოპერის თეატრს, და მას შემდეგ მთელი ორი წელი არ მოსცილებია. წარმოდგენებს ესწრებოდა და ყოველ საღამოს იის კონით კარებთან ელოდა იტალიელ მომღერალს.

ქალი ღიმილით ხვდებოდა, მერე იტალიაში გაემგზავრა და დატოვა.

ობოლი მარცვალი

ჩემი გვარი – გრანელი – პოეზიას დარჩება

“ეს ზამთარიც ისე მიიწურა, რომ არ შევშლილვარ. მეგონა ველარ გადავიტანდი უშენობას, სიშორეს. შენ ვერ მხედავ, და ნუ გაგიკვირდება, რომ ისევ ისეთივე დავრჩი. უშენოდ ჩაიარა შემოდგომამ, ზამთარმა. ახლა, კვირტების გაღვიძებას ვგრძნობ, მწვანე სიხასხასის ამოსვლას. გაზაფხულის შემოსვლას ვულოცავ საკუთარ თავს. მაშ, ისევ ცოცხალი ვარ, ისევ ვსუნთქავ, ისევ ვერ შევიშალე... და დავრჩი ასე, ამ აბნეული სამყაროს საღი თვალებით შემყურე ერთი პატარა მარცვალი...”

ლურჯ წრეზე მიმავალ მეოთხე ნომერ ტრამვაის ჩამოყვა ციციანოვის აღმართთან. მუხრანის ხიდისკენ გაემართა.

უჩვეულო ძალით მოზღვავდა მტკვარი. სამხრეთიდან მონაქროლმა თბილმა ქარებმა მოაშიშვლეს თრიალეთის თოვლით გადალესილი ქედები. დაიმსხვრნენ ყინულები, ადიდდა მტკვარი, მოედო ტფილისის ბაღებსა და შემოგარენ ველ-მინდვრებს. დაიტბორა მადათოვის კუნძული, გაუვალი გახდა სანაპირო გზები.

მუხრანის ხიდქვეშ ტივები მიჰქონდა მღვრიე წყალს. განუწყვეტლივ ჩნდებოდა ახალ-ახალი წყება წყალს გაკრული ტივებისა. მოდიოდნენ და მიდიოდნენ, თითქოს მტკვარზე იყო გადებული სიცოცხლის თეატრის უწყვეტი სცენა.

მტკვარს მოჰყავდა საიდანღაც ტივები და მტკვარსვე მიჰყავდა სადღაც. მადათოვის ორბელიანთა კუნძულთან ორად იყოფოდა მეტივეთა მწკრივი, გარს შემოუვლიდნენ, მუხრანის ხიდთან ერთდებოდნენ ისევ და შემდეგ წერტილად ქრებოდნენ მეტეხთან.

მეტეხის ხიდის თაღს იქით ნათელი იღვრებოდა მზისგან გამონაშუქი. თითქოს ხიდსაქეთა, ჯოჯოხეთური რუხი გვირაბი უნდა გაეარათ და ნათლის ლიცლიცს უნდა შერთოდნენ ობოლი წერტილები.

“მეც თითქოს იქა ვარ, მეც თითქოს აქა ვარ, არ ვიცი ვინა ვარ, არ ვიცი სადა ვარ. ობოლი მარცვალი, სამყაროს ერთი წერტილი, გრანუმ, გრანელი”.

უნივერსიტეტი

იმ წელს უჩვეულოდ სუსხიანი თებერვალი დადგა. თითქოს ცა ჩამოემხო, აღარ თავდებოდა მოსაბეზრებელი თოვლჭყაპი და წვიმა. ატალახდა ქუჩები, მოიბუზნენ ჩაშავებული ხეები.

უჟმურ ამინდს მალე ცუდი ამბებიც მოჰყვა სამხრეთ საზღვრებიდან. ფოილოს ხიდთან ბოლშევიკებს გადმოელახათ საზღვარი და იოლად მოეღწიათ ტფილისის კარიბჭემდე, ქალაქში უკვე ზარბაზნების შორეული გუგუნი ისმოდა.

დაფეთებული ხალხი ქუჩებში გამოსულიყო. ყველას ფრონტი ეკერა ენაზე.

- იყიდეთ გაზეთი, ბოლშევიკები სოღანლუღთან დგანან, წაიკითხეთ ახალი ცნობები, – გაჰყვიროდა მეგაზეთე ბიჭი ფოსტის ორსართულიან ყვითელ შენობასთან, – უნივერსიტეტთან დღეს მიტინგი გაიმართება, წაიკითხეთ ახალი ამბები!

ზემელთან მეორე ნომერ ტრამვაიში ჩაჯდა. ვაგონებს ორივე მხარე ღია ჰქონდა და ქარი თავისუფლად დანავარდობდა. ოლგას ქუჩაზე სტუდენტებმა მწყობრად ჩაიარეს. წინ ცხენზე ამხედრებული ოფიცერი მიუძღოდა მცირე ამალით, მას სამხედრო ორკესტრი მოსდევდა უკან. ზემელთან შეუერთებოდნენ ვერის ხიდით მომავალ გვარდიელებს და რუსთაველის გამზირით სოღანლუღისაკენ უნდა წასულიყვნენ.

ქუჩა სავსე იყო ხალხით, დაბნეული იდგნენ და თვალს არ აშორებდნენ ფრონტზე მიმავალ მოხალისეებს.

- ამბობენ, ხვალ შემოვაო წითელი ჯარი, – გაისმა ქალის ხმა უკანა მხრიდან.

- ბავშვები გახიზნული მყავს, – მიუგო მეორემ.

- არა, რაღაც დიდი უბედურებაა ჩვენს თავს!

ტრავმაი წყნეთის ქუჩის ბოლოს, ვარდისუბნის ხაზზე გაჩერდა. კონდუქტორს ერთი შაური გადაუხადა და ვაგონიდან ჩავიდა. მოდიოდა თოვლნარევი წვიმა. ვაკის ტიტველი მინდვრებიდან ჰქროდა ცივი ქარი. ხალხი თავჩაღუნული მიუყვებოდა ატალახებულ გზას.

უნივერსიტეტში ლექციები არ შედგა. ყველა ეზოში გამართულ მიტინგზე გამოსულიყო. უნივერსიტეტის რექტორმა, ივანე ჯავახიშვილმა გზა დაულოცა ყველას, ვინც ბრძოლის ველისაკენ მიეშურებოდა.

იმ დღესვე ჩაეწერა წვევამდელთა ჯარში, მოხალისე მეომრად. ტაბახმელა-კოჯორისკენ მიმავალი ჭაბუკების მწყობრს შეუერთდა.

თეთრ ბედაურზე იჯდა მაზნიაშვილის ჯარი, გრძლად დამწკრივებული, ფეხდაფეხ მისდევდა გენერალს. შილიფად ეცვათ ჯარისკაცებს, წვიმის წყლით გაჟღენთილიყო თხელი პალტო და ცივი ქარი შიგ ძვლებში ატანდა.

დახუჭული თვალები

საქართველო ეს ის მხარეა,

სადაც ცოცხალი მარხია ხალხი

ფრონტი იქვე იყო, ტფილისის მისადგომებზე. მაზნიაშვილის შტაბი სოღანლუღის დაქანებულ ფერდობიდან უტევდა მისადგომებთან მდგარ მტერს. ზუზუნებდნენ ტყვიები, წიოდნენ ხელყუმბარები და ჭურვთა ნამსხვრევები.

უნუგეშო ჩანდა ფრონტზე ვითარება. რამდენიმე დღე შედარებით სიწყნარე იყო. ეტყობა, წითლები გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. ძლიერი იერიშის შემდეგ ბოლშევიკებმა ცენტრალური ფრონტი გაარღვიეს სოღანლუღთან.

საღამოს მოულოდნელად ბრძანება მოვიდა, ზედმეტი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად უკან დახევისთვის მოემზადეთო. მენშევიკების დამარცხებული მხედრობა მცხეთისაკენ დაიძრა გაკვირვებული და თავჩაქინდრული. მხოლოდ იუნკრები არ დაემორჩილნენ ბრძანებას: უმჯობესია ტფილისის წინ სასახელოდ დავიხოცოთო, და არ დატოვეს პოსტები.

ასობით დაჭრილ-დახოცილი დარჩა სოღანლუღის ველზე, კოჯრის მაღლობებსა და ქოროღლის ცივ სანგრებში. იწვნენ თოვლით დაფარულ ნაძვნარში და დაფიფქული თეთრი თვალებით გასცქეროდნენ ნისლიანი ღრუბლების შორეთს.

ბოლშევიკები ადგილზე ხვრეტდნენ მიტოვებულ ველზე გაბნეულ დაჭრილებს. ზოგისთვის ტყვიაც ენანებოდათ და იქვე, გათხრილ სანგრებში მარხავდნენ ცოცხლად.

გაიფაჩუნებდა სადმე ახლომახლო ბუჩქი, თავზე წაადგებოდნენ მიწაზე მხოხავ დაჭრილს, მიათრევდნენ თხრილში, თავზე გადააყრიდნენ სქელ, სველ ბელტებს.

ვინც გამოაღწია ბრძოლის ველს, ურმებით მოჰყავდათ, ვისაც შეეძლო თვითონ მოდიოდა, ზოგსაც ჯარისკაცები მოათრევდნენ.

წვებოდა ღამე. ბინდს რჩებოდა უპატრონო გვამებით მოფენილი მინდორი.

იგი სოღანლუღის გზით მოჰყვებოდა გვარდიელებს, ბრუნდებოდა უკან და ხედავდა თოვლსა და სიბნელეში გახვეულ დაცარიელებულ, გატრუნულ ქალაქს. მხოლოდ გამოქცეული ჯარის ნაწილები მიიზლაზნებოდნენ მძიმედ, თოფები ჯოხებივით გაედოთ მხრებზე. ნავთლუღის მხრიდან ისევ ისმოდა ქვემეხების ყრუ გუგუნი.

დაბნეულები მოდიოდნენ ჯარისკაცები, არ იცოდნენ საით წასულიყვნენ. გზაზე აჩერებდნენ და კითხვაზე, თუ სად იყო სარდლობა, ყველა ერთი და იმავე პასუხს იძლეოდა: “მიგვატოვეს უფროსებმა, არ ვიცით სად მივდივართო”.

განუწყვეტლივ თოვდა. თოვლი ცხვირ-პირში სცემდა და თვალებს ძლივს ახელდა. არც სურდა გაეხილა. ახლა ირგვლივ ყველაფერი მკვდარი იყო მისთვის, ეს ქარიც, ეს თოვლიც და ძალადგაწითლებული ტფილისის წმინდა თავშესაფარიც.

მარმარილო ცივი

დუქნიდან ამოვიდნენ პომადიანი ლენა და კატკა. ღამის პეპლებივით წალასლასდნენ სალდათის ბაზრიდან პუშკინის ბაღისკენ. მზესუმზირას აკნატუნებდნენ.

- Скоро наши придут! Долой буржуев-националистов! – გაყვიროდნენ ქალები.

თავისუფლებაზე არავინ იდგა დამლაგებლებისა თუ კერძო ოჯახებში მოსამსახურე რუსების მცირე ჯგუფის გარდა.

მოედანი როგორც მარმარილო ცივი. გარინდება. გაიჩქურა ტფილისი. შეატოვა რუსის სიძვა კომბოსტოთი და ნივრის სუნით შემოპარულ სტუმარს.

- Вставай Груня! Встречай Гостей!

- Ха, ха, ха! Как ты сказал, Груня? Ха, ха, ха!

- Нет, вед это же не Груня?!

- Ха, ха, ха! А мне помнится Груня!

- Черт сним, какая разница? Груня или Грузия!

- Ха, ха, ха!

შუაბაზრის ქუჩიდან შემოვიდა ბუდიონოვკიანი ცხენოსნების რაზმი. ქალაქის სათათბიროსთან შედგნენ მცირე ხნით. მხრებზე გადებული თოფები ჩამოიღეს, ჩახმახი ასწიეს.

- Да здравствует Советская Грузия, Ура! – დაიძახა მეთაურმა, ვინტოვკიდან გაისროლა სათათბიროს თავზე აფრიალებულ შინდისფერ დროშისკენ.

არავინ იყო საპასუხო "ურას" მთქმელი.

- Ура, Груня! Ура! Ха, ха, ха! – გაჰკიოდა მზესუმზირაჭამია რუსის ქალი, როგორც ერთადერთი საშინელი გაციგნება ბედის.

მზე შემოეჭამა ჩრდილოს ცივ ქარებს. იობის მატლები მოხვეოდა წყლულებით დაფარულ ტანზე. იდგა დუმილი როგორც სამარე, როგორც ოხვრა შორეული გედის, ისე, როგორც მარმარილო ცივი.

შავი მდინარე

ტაბახმელა-კოჯრის ბრძოლებში დაღუპული იუნკრების კუბოები მოჰქონდათ მუმიასავით დამუნჯებულ რუსთაველზე.

შავი ღრუბლებით წაიგრაგნა ზურმუხტი ცა. თვალებს ნიაღვრებად მოასკდნენ ცრემლები და მოედვნენ უპირქუბო ქუჩებს.

რუსთაველზე მოდიოდა ცრემლის შავი მდინარე, მდუმარე და თავჩაქინდრული. მოცურავდნენ შავი კუბოები, შავ ლენტწაკრული წამოხრილი შვინდის დროშები, შეძაძული ჯვრები.

სობოროსთან შეჩერდა მდინარე. იუნკრების კუბოები დაასვენეს ეზოში. მწყობრად ჩამდგარი შავჩოხიანი მგალობელნი გალობდნენ დაბალი ხმით.

მოდიოდა შავი მდინარე მთელ საქართველოში, აღსასრულის მოსვლასავით უჩუმრად მოიპარებოდა და ფარავდა ეს უკვე მერამდენეჯერ გაშავებულ მიწას.

სობოროს თავზე წითლად იცინოდა როკაპი დროშა.

წყვდიადი

ტფილისიდან უკანდახეულ მთავრობას და სარდლობას იმედი ჰქონდა მცხეთაში გავმაგრდებითო. მცხეთის იქით, ლიხთიმერისკენ, ბარგი-ბარხანით გატენილი ეტლების, ურმების და დილიჟნების გრძელი ქარავანი დადგა. გზადაგზა, გორსა და ხაშურში, დევნილთა ახალი ნაკადი ემატებოდათ. ბოლშევიკებისგან ისინი ყველაფერს მოელოდნენ და შიშით დედაწულიანად აყრილიყვნენ თავიანთი ოჯახებიდან.

სურამთან მოყინული გზები დაიწყო. ქარი თოვლს ხვეტდა მახლობელი ფერდობებიდან და ცხენებს აფრთხობდა. ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცები აწვებოდნენ თხრილში ჩავარდნილ ეტლებს. ბავშვები და მოხუცები გადაჰყავდათ ციცაბო აღმართებზე.

დროდადრო ბოლშევიკები წამოეწეოდათ, იმართებოდა ხანმოკლე სროლა, მაგრამ სურამის გამაგრებას აზრი არ ჰქონდა, არც უბრძოლიათ, ისე დატოვეს უღელტეხილი.

ეშელონი ეშელონს მისდევდა. ხაშურის სადგურში ტევა არ იყო. ხალხი მოსაცდელ დარბაზებს შეფარებოდა, მაგრამ უადგილობის გამო ბაქანსა და ახლო-მახლო ქუჩებს მოსდებოდნენ, ღია ცის ქვეშ, თოვლსა და ყინვაში.

იდგა იგი ხმაურიან სადგურის მიღმა და უსასრულო გზებით დასერილ ბურუსით მოცულ სივრცეს მიშტერებოდა.

შუაღამით, როგორც იქნა, სატვირთო მატარებელში შეაღწია. კვამლიანი, ბინძური ვაგონი ჯარისკაცებით იყო გაჭედილი. სასთუმლად იარაღი და ცხენის თოქალთო ამოედოთ და იქვე ჩასძინებოდათ. ზოგს წამოსაწოლი ადგილი არ ჰქონდა და კედელს მიჰყუდებოდა, ძილმორეული აკანტურებდა თავს.

თოფის წამლის გულისამრევი სუნი იდგა ბნელ ვაგონში. თავდაპირველად ვერაფერი ვერ გაარკვია, შემდეგ თვალი შეეჩვია ბუნაგისებურ სიბნელეს. ერთი სული ჰქონდა სადმე თავი ჩამოედო და მცირე ხნით მაინც ჩაეთვლიმა. თივა გაშალა იატაკზე, ტყვია-წამლით სავსე ტომარას მიეყრდნო, ნახევრადსველი პალტო მოიხურა ზურგზე. ვერაფრით ვერ გათბა, სიცივისაგან უსიამოვნო ჟრუანტელი უვლიდა მთელ ტანში.

სიგარეტი მოქაჩა ბნელში, შეისუნთქა დამწყდეული სიმყრალე...

“დაწყვევლილი მიწა” – გაიფიქრა მან და უსარკმლო ვაგონში ჩამოქცეულ განურჩეველ წყვდიადს მიაშტერდა. გარედან კარები მაგრად ჩაერაზათ და არავინ იცოდა სანამდე გასტანდა უკუნში ყოფნა.

წითელი თოვლი

აჭარის მთები ნისლებს მოებურა. ნისლი იწვა ქალაქშიც. ნავსადგურიდან ქროდნენ ცივი ქარები, თან მოჰქონდათ წვირიანი თოვლჭყაპი და დილის მსუსხავი ყინვა.

ბათუმი სავსე იყო გამოქცეული მეომრებით. სანაპიროზე ჩემოდნიანი ხალხი ირეოდა. ცხენიან ურმებს, საბარგო მანქანებსა და ფურგონებს აეტალახებინათ ქუჩები. პური აღარ იშოვებოდა. რესტორან “არტელთან” ბავშვები იდგნენ და ერთ თურქულ ლირად ჰყიდდნენ გაუცრელი ფქვილისგან გამომცხვარ ჭადებს.

მარინეს პროსპექტზე ხესამოფარებული წვეროსანი ყმაწვილი არიგებდა მენშევიკების გაზეთ “ერთობას”. ბაკენბარდებიანი მოხუცი მენშევიკებს ლანძღავდა გაცხარებით: მაგათ დააქციესო ქვეყანა. ზოგი ჩოლოქთან მდგარი ბოლშევიკების შიშს აეტანა, ქალები გაჰყავდათ ქალაქიდან, სადმე, მიუვალ სოფელში გადასამალად.

ბათუმში ოსმალები შემოჭრილიყვნენ, ანგორის მთვარე გამოეკიდათ ფოსტა-ტელეგრაფზე, საბჭოში, “იაშასუნ ქემალ ფაშას” გაჰყვიროდნენ ქუჩებში. არავინ იყო გამკითხავი. დევნილი მთავრობა სალონ-ვაგონებში იჯდა და უცხოეთში გასაქცევად ემზადებოდა.

მაზნიაშვილის ჯარის შემოსვლისთანავე შეცბნენ თურქები. მოზიდეს ტყვია-წამალი, ყუმბარებით გაავსეს დაკავებული სახლები და შიგ ჩაიკეტნენ, გარეთ არ გამოდიოდნენ. იჯდნენ ალყაშემორტყმულნი და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდნენ, სანამ საჭმელ-სასმელი არ გამოელიათ.

კვირის ბოლოს იერიში მიიტანეს გვარდიელებმა. ბრძოლა დილით დაიწყო და გვიან, შუაღამემდე გაგრძელდა. მთელი დღე არ წყდებოდა ზარბაზან-ტყვიამფრქვევთა და ხელყუმბარათა გრუხუნი. თოვლჭყაპიან ქუჩებს ალაგ-ალაგ სისხლის კვალი აჩნდა. ძაღლები დაძრწოდნენ და სძიძგნინდნენ მიტოვებულ გვამებს.

იგი სადგურის ახლოს გათხრილ სანგრებში იჯდა. რამდენიმე მეტრში, კახაბერის ფორტთან, თურქი ასკერები იყვნენ დაბანაკებული, ზარბაზნებიდან ისროდნენ. ქართველთა ორი ზარბაზნის მომსახურე არტილერისტების ამოხოცვის შემდეგ თურქებმა ფორტის დაკავება დაიწყეს. ისევ ატყდა სროლა, თავზე სტვენა-სისინით გადადიოდნენ ტყვიები.

სასხლეტი მოზიდა და, შემდეგ ბუნდოვნად დაინახა: სამალავიდან გამოსული ასკერი მოცელილივით თავდაყირა დაეცა ატალახებულ გუბეზე.

გვარდიელები გადავიდნენ იერიშზე. კარტეჩი მიუშვირეს ქონგურებზე შემოწყობილ თურქებს და გააქციეს ფორტიდან.

სროლისაგან ნაფოტები ცვიოდა ხეებს, დაფლეთილი ფოთლები ირეოდნენ ჰაერში. ზეზეურად მოდიოდა სიკვდილი, ისე რომ ამოსუნთქვასაც არ აცლიდა, რჩებოდა მხოლოდ წითელი კვალი ჭუჭყიან თოვლჭყაპზე.

გაძარცვული ბაღები

ზღვიდან ცივი, მარტის ნესტიანი ქარი ქროდა. მოდიოდა თოვლჭყაპი, თეთრი სისველით ედებოდა გაძრცვილ მიწას.

ნავები იცდიდნენ ნაპირზე. მეთევზეები იდგნენ მოშორებით, სიგარეტს აბოლებდნენ. ქოლგიანი ქალები ისხდნენ დაგდებულ მორებზე, გასცქეროდნენ ზღვის სიშორეს.

ნავსადგურის ხიმინჯებს ეკვროდა მუქ-მწვანე შლამი. ზღვის მძიმე ზვირთები ტყლაშუნით ეხეთქებოდნენ, აბრუნებდნენ აქაფებულ ორომტრიალში. ქაფმოგდებული შლამი სულთმობრძავივით ჩაბღაუჭებოდა ხიმინჯებს.

ხალხით და ტვირთით სავსე გემები იდგნენ ნავმისაბმელებთან. იტალიურ “ფერენ-ჟოზეფ-მერილის” გადატენილ გემბანზე გვარდიის ოფიცრები გადმომდგარიყვნენ და მღეროდნენ დიდების ჰიმნს.

იგი სანაპიროსთან იდგა. გრძნობდა როგორ გაეყინა სისხლი. სულში ზარმა ჩამორეკა, გაჰყოლოდა თუ...

გემმა სამგლოვიარო ხმით დაუსტვინა და ნელ-ნელა შორდებოდა ნავსადგურს. მეთევზეთა ნავებმაც დატოვეს ნაპირი.

ძველი, გამოფუტუროებული ხიმინჯები დარჩნენ ნაპირზე, როგორც ნავსაყუდელის მძებნელ გემთათვის უშუქურო, ჩაფერფლილი გზამკვლევი, როგორც ჯვალოგახვეული მგლოვიარე, მიტოვებული დედები.

ჩაშავებული ტალღები ეხეთქებოდნენ უსასრულოდ, აქაფებით სცემდნენ. ხიმინჯები კი იდგნენ, შვილმკვდარის გაქვავებული, უცრემლო სიმწრით.

აზიზიეს მოედნიდან ცხენოსნური მარში მოესმა. ალბათ ჟლობა შემოვიდა ქალაქში თავისი წითელი კავალერიით და ტალახით შეიცვლებოდა თოვლით დაფარული ბათუმის სითეთრე.

“ძველ ბაღებს დაეცნენ ქარები ყაჩაღივით და აიკლეს ფოთლები”.

შავჩოხოსანთა გალობა

ლაზარე აღსდგება მკვდრეთით,

აღსდგება როგორც ღვთის სიყვარული

რიონის ხიდი აფეთქებული იყო და საჯავახოდან სამტრედიამდე ფეხით მოუწია სიარული. ტფილისში დაბრუნებისთანავე იგრძნო სიკვდილის სუნი. სისხლისფერი დროშები ფრიალებდნენ ქუჩებში და თითქოს ამ დროშებიდან როკაპები იმზირებოდნენ.

უნივერსიტეტთან სტუდენტებმა შავი სამკლავე მისცეს და მთელი დღე მგლოვიარე ჭირისუფალივით დაეხეტებოდა გარდაცვლილ ქალაქში. მკერდზე მიეხუტებინა მისი ლექსების ახლადგამოცემული წიგნი – “სამგლოვიარო ხაზები”. თითქოს ამით სურდა გამოეტირა მის თვალწინ პატივახდილი სამშობლო.

შავსამკლავეებიანი ხალხით გაივსო რუსთაველი. თითქოს სეირნობდნენ, ჩურჩულით გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს და თვალებით რაღაცას ანიშნებდნენ.

ქუჩებიდან განუწყვეტლივ მოდიოდა ხალხი. გიმნაზიის კუთხეში ვიღაც ჭიანურზე აკვნესებდა “თავო ჩემო ბედი არ გიწერიას”. ზამუხარას, სამგლოვიარო მარშს უკრავდნენ მეზურნენი.

“სობოროს” მოედანზე, იუნკრების საფლავთან მოიყარეს თავი. გრძელმა ტარმა გაიელვა ჰაერში, ბრბო გაარღვია და ადამიანთა თავზე სამფეროვანი დროშა აფრიალდა.

- დიდება! დიდება! – ერთხმად დაიძახა ხალხმა და გუგუნით გაისმა “დიდების” სიმღერა.

- გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! – იყვირა თეთრჩოხოსანმა და ათასობით ხმამ ძლიერი ტალღასავით დაიგუგუნა:

- გაუმარჯოს! საქართველოს გაუმარჯოს!

- სიკვდილი მოღალატე ბოლშევიკებს!

- ძირს სისხლისმსმელი ორჯონიკიძე! ძირს სამშობლოს გამყიდველი სტალინი!

ახლომახლო ქუჩებიდან, ეზოებიდან შეუჩერებლივ მოდიოდა ახალ-ახალი ნაკადი, სალტესავით ეკვროდა სობოროს მოედანს. გზას იკვლევდნენ იუნკრების საფლავებისკენ.

- ჯალათები! – დაიყვირა ვიღაცამ.

ალექსანდრეს ბაღიდან წითელსამკლავიანი ცხენოსნები მოვარდნენ, ძაბრებივით ქუდები ეხურათ თავზე.

მხედრები ცხენდაცხენ მიეჭრნენ ერთად მოქუჩულ ხალხს. მათრახებს იქნევდნენ.

ხალხი არ იშლებოდა, შეუღწევად რკალად შემოსალტოდა აფრიალებულ დროშას და ერთხმად გუგუნებდა “დიდების” სიმღერას.

მათრახების ცემით რომ ვერაფერს გახდნენ, ხმლები იშიშვლეს წითელსამკლავიანმა ცხენოსნებმა და იერიშით წამოვიდნენ. ალექსანდროვის ბაღიდან სალდათები გამოცვივდნენ, ტყვია ააზუზუნეს, სროლით გაარღვიეს წრე.

- დაიშალეთ! – გაჰყვიროდა წითელძაბრიანი ცხენოსანი, ხმალს იქნევდა ჰაერში.

ხალხი უგზო-უკვლოდ გარბოდა. ისმოდა ტყვიების ზუზუნი, ხმლების ჩახუნი, ირხეოდა დახვრეტილი დროშა.

“არა, არ არის მკვდარი! ცოცხალია”, – გაიფიქრა მან. სობოროს მოედნიდან გამოქცეული ქაშვეთის კედელს აეკრა და იქიდან გასცქეროდა რუსული ხიშტებით დაშლილი ხალხის ქაოტურ ორომტრიალს.

რეკდნენ ქაშუეთის ზარები. სანთლები იღვენთებოდნენ წმიდა ხატებთან. შავჩოხოსანი მრევლი “დიდებას” გალობდა დაბალი ხმით.

სამგლოვიარო ხაზები

სახლებში მიმალული ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გამოჰყავდათ, ჩხრეკდნენ და სადღაც აგზავნიდნენ. ტროტუარზე სისხლის გუბეები იდგა, დახოცილი გვამები ეყარნენ უპატრონოდ. ხალხი დაფეთებული გარბოდა ვიწრო ჩიხებისკენ. მედუქნეები კეტავდნენ დარაბებს.

სიონისაკენ განაგრძო სვლა. ოქრომჭედლის ქუჩის კუთხესთან სამხედრო პატრულმა გზა გადაუჭრა და ჩხრეკა დაუწყო. პატარა წიგნი ამოუღო უბიდან, დიდხანს ატრიალა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. როცა ვერაფერი გაუგო ახლოს მდგომ, მხარზე თოფგადებულ, გრუზათმიან პატრულს გადასცა.

- “სამგლოვიარო ხაზები”. ვისია ეგ წიგნი? - ჰკითხა გრუზათმიანმა.

- ჩემი ლექსების კრებულია.

- ტერენტი გრანელი, “სამგლოვიარო ხაზები”, – ჩაიკითხა გრუზათმიანმა, – და მერე ვის გლოვობთ?

- მაგას რად ბრძანებთ ბატონო?! – მხრები აიჩეჩა ტერენტიმ, თითქოს ვერ მიმხვდარიყო და ვერ გაეგო, მისგან რა უნდოდათ.

- “ნელა ღამდება და ახლა გარმონს უკრავენ რუსი ჯარისკაცები. მოწყენილია ახლა ტფილისი”, – ჩაიკითხა პატრულმა, - წადი, ახლა ძამიკო! წადი, აქედან შორს, სანამ ეს რუსები შენ არ დაგაკვრევინებენ გარმონს! – კბილებიდან გამოსცრა გრუზათმიანმა. შემდეგ მიუბრუნდა რუს პატრულს:

- Ничего особенно, стихи какого то сумашедшего поэта.

ტერენტის სურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თითქოს ენა დაებაო, გაშვერილი ხელი ჰაერში შერჩა.

ბებელის მოედნისკენ გაუხვია. მერე დუქანში შეიარა, ერთი ჭიქა ღვინო დალია და ისევ ქუჩებს მიაშურა. მიდიოდა და მთელი გზა ღიღინებდა:

“ჩემი ნაზი სამშობლო – ლაჟვარდები ცისფერი.

ჩემი გული და სისხლი – ეს “Momento Mori”-ა”.

წაშლილი ხატები

დიაკვანი მორბოდა ერეკლეს ქუჩაზე. წითელდროშიანი ანტირელიგიური პროცესია მოსდევდა უკან. ვირით მოჰყავდათ გრძელ თმა-წვერა, მჭვარტლით შემურული ნიღბოსანი.

- ოქროპირა, ოქროპირა... ჯვარი რა უყავი, ჯვარი?

ხარხარით მოსძახოდნენ წითელძაბრიანი ეშმაკუნების მთელი ლაშქარი.

- ფუი ეშმაკს, ოქროპირა! ანგელოზები არ დაგვიფრთხო!

- ოქროპირა უუუუ! ოქროპირა აუუუ!

- აბა, მოვიდა მაკრატელი, კაი ხნის გასაკრეჭი ხარ, ოქროპირა!

დამფრთხალი გამვლელები სახლების კედლებს აჰკროდნენ. სროლის ხმა მოისმოდა შორიახლო. მტრედები წამოიშალნენ სახურავებზე და აბორიალდნენ ჰაერში. დაბნეული ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ბაზაზხანას ვიწრო შესახვევებისკენ.

სიონში რეკავდნენ ზარები.

კარიბჭესთან დამსხვრეული ხატები ეყარა. გოლიფეებიანი ბიჭები შეცვენილიყვნენ ტაძარში, ქვები დაეშინათ ხატებისა და ფრესკებისათვის.

იდგა სიონის ჩამობნელებულ თაღებს ქვეშ. სანთელი არ ენთო არსად. დადუმებულიყო დაქცეული საკურთხეველი.

ჰაერში ირხეოდნენ ანგელოსების მონგრეული ფრთები, თავი წაეჭრათ მხარჩამოლეწილი მაცხოვრისთვის, მორღვეული თავკიდურების ლოდები ქაოტურად ეყარნენ ირგვლივ.

ფრესკაგადაშლილ, ცარიელ კედელს აეკრა ჯვარსნაცვამი მაცხოვარივით. ცივი, უტყვი იყო წაბილწული, უფრესკო კედელი.

დაისი

ახლა ძნელია სულის მიგნება

ირგვლივ ღამეა

მეტეხის ხიდისკენ გასწია. შუა ხიდზე შედგა მოაჯირთან, იდაყვებს დაეყრდნო და შორს დაიწყო ცქერა. მოცოცავდა უტყვი მტკვარი ხიდქვეშ, მოჰქონდა უშფოთველი დუმილი.

სეიდაბადის მთის სანახებიდან განუწყვეტლივ ჰქროდნენ ცივი ქარები. მტვერს ხვეტდა ჭუჭყიანი ქუჩებიდან და ამტყდარ კორიანტელში შიგ სახეში აყრიდა მოსიარულეთ.

მეტეხის ციხეს მიაჩერდა. აგურის ვეება შენობა მუცელგაბერილი მიკიტანივით გადმოყუდებოდა კლდეს. რკინის ფანჯრებიდან, აქა-იქ პატიმართა თავები მოჩანდა.

უცნობი ჭაბუკი მოაჯირს გადაეყუდა, პირქუშად, როგორღაც დაფანტულად, გაბოროტებით გასცქეროდა მდინარის მორევს. ქილებიანი, ღვინისფერი ჩოხა-ახალუხი ეცვა. თითქოს გაქვავებულიყო, ქარით აბნეული მტვრისაგან დაბრმავებული ვერავის არჩევდა და ვეღარას ხედავდა. მცირე ხანს მიშტერებოდა მღვრიე, ქარით აქოჩრილ მტკვარს, მერე პირჯვარი გადაიწერა, მარჯვენა ხელით ხიდს დაეყრდნო, ფეხი გადასდო მოაჯირზე და გადაეშვა მტკვარში. მიჰქროდა თავქვე ისე, თითქოს მთელი საუკუნე მიჰქონდა მხრებით. რამდენიმე წამში მორევმა ისევ ზევით, წყლის ზედაპირზე ამოაგდო დამხრჩვალი და წყნარად წაიღო ხიდის ქვეშ.

ხალხით გაივსო ხიდი, მორბოდნენ მეიდნიდან, სანაპიროს ქუჩიდან, თათრის ბაზრიდან, ბატონის მოედნიდან.

მოდიოდა ხმაგაკმენდილი მტკვარი დუმილით. მშვიდად, მდოვრედ მიჰქონდა ღვინისფერი ჩოხა-ახალუხი მთელი ქვეყნის დასანახად. ხალხი გროვდებოდა ნაპირებთან, უბედურებისაგან გაშტერებული, უჩუმრად მიაცილებდა ჩოხოსან მიცვალებულს.

ზარებმა დარეკეს სიონში, ანჩისხატში, ქაშუეთთან, მამადავითზე. მეტეხის ციხეზე გადმომდგარიყვნენ შავჩოხიანი მოზარენი და გალობდნენ დაბალი ხმით.

შორს, მამადავითის თავზე ეშვებოდა ფერგამკრთალი, გაცივებული მზე. ნამგალი მთვარე დაეკიდა ტალებიან ცაზე. იწყებოდა დაისი.

სულიდან საფლავები

სიონის თავს ადგა მუქლურჯი ღრუბლები. ყვავები ჩხაოდნენ ჩაშავებულ ქონგურებზე.

ღამის ფერფლი ცვიოდა ციდან ნელი ფარფატით.

ყორნების ჩურჩული: გარდაცვალების წლისთავი.

ხალხი აჩრდილებივით დადიოდნენ ქუჩებში. არავის უჩანდა სახე. არც არავის ერქვა სახელი.

წაგრძელებული ლანდების მდუმარე ცახცახი.

თაგვებივით დატოვეს ბნელი სოროები და გამოვიდნენ გარეთ, მთვარიან შეღამების ბინდში. გარეთ ცა მაინც მოჩანს, ღვთით განფენილი.

ლოთებს გაეტეხათ ერისთავის სარდაფი, კასრებით გამოეტანათ თავადური ღვინო. იღვრებოდა ქვაფენილზე გონდაკარგვის ბანგი და სისხლით მოთხვრილი მთვარე ღვინის მდინარეში ცეკვავდა რეტით.

მთვრალი ჩიტების ვარდნა ხმელი ტოტებიდან, ღიად დარჩენილი მკვდარი თვალები.

იდგა 1922 წელი….

გარდაცვალების წლისთავს მიუძღვნა “სულიდან საფლავები”.

ყვითელი წიგნის ჟღალი ფურცლები, საფლავების სუნი. სამგლოვიარო ჩუქურთმაში ჩასმული პირველი გვერდი.

გადმოვიდა ყდის შავარშიანი ჩუქურთმიდან, მგლოვიარედ წვერმოშვებული, ხამის პერანგი ეცვა შავი. მოდიოდა სისხლიანი სამარიდან წამომდგარი უტყვი ჩონჩხი. ფეხქვეშ ეგებოდა ძაძით მოსილი ქუჩები.

წაშლილი ციდან იღვრებოდა შავი წვიმა, მიწისფერი თოვლი და ჭყაპი.

მოდიოდა სისხლიანი სამარიდან სისხლისფერ სატუსაღოში. მსჯავრდებულივით მოაცილებდნენ აპოკალიფსური მწვანე ცხენები.

მოდიოდა ფეხშიშველი, მგლოვიარე და წელმოხრილი...

იქნებ ეს იყოს ქრისტე მეორედ მოსული.

წერილებიდან

"ყველა ახალგაზრდას, რომელსაც კი ათიოდე ლექსი დაუწერია, თუ გინდ ნიჭიერი, არ შეჰფერის, დაიტვირთოს საუკუნეთა ტირილით, კვნესით, თავი ქრისტედ გამოაცხადოს, ხელები დაილურსმოს და სთქვას: იქნებ მე ვიყო ქრისტე მეორედ მოსული-ო! ტერენტი გრანელი არ არის არც ქრისტე, მეორედ მოსული და არც პეტრე მოციქული. მისი წიგნი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამაზე ფიქრის ნებასაც არ გვაძლევს.

"უქიმერიონი"

"ვერაფრით ვერ დაადგენთ რაზეა აქ საუბარი, მეგობრობაზე, სიყვარულზე თუ კიდევ სხვა გრძნობაზე, ან საგანზე. სონეტში არ არის ლოგიკა, არ არის სახე და სურათი, მხოლოდ უცნაური, მახინჯი ფრაზებია"

აპოლონ ვირთაგავა

"ტერენტი გრანელს მთლად ჩაუკლავს სურვილები და იმედები, ქვეყნის სანუგეშოს ვერას ხედავს. მისი სული გლოვას მოუცავს, სიკვდილისაკენ, სამარისაკენ იმზირება. რასაკვირველია, ეს სიკვდილია პოეზიის... ტერენტი გრანელის პოეზია არის მოწყენილობის, უიმედო მწუხარების, სიკვდილის წინათგრძნობის პოეზია, რომელშიც არ ურევია არცერთი იმედი, არცერთი საგაზაფხულო მოლოდინი და რომელიც, იმავე დროს, სრული უარყოფაა ბედთან ბრძოლის".

"კოლხეთი"

1924 წ.

შენ როსღა...

მზეო! ამოდი, ამოდი ჩქარა!

ვერის დაღმართს ახლადამწვანებული აკაციები მიუყვებოდნენ. შეფოთლილი ხეები ფარავდნენ გზის მარცხნივ ჩამწკრივებულ თეთრად შეფეთქილ სახლებს. მოკირწყლული გზა ხიდზე გრძელდებოდა და, საერთოდ, ხმაურიანი ქუჩა იყო, რკინიგზის სადგურისკენ მიმავალი ტრავმაის ხაზი აქ გადიოდა.

ვერეს ხიდთან, გზის პირას ბოხოხიანი ბერიკაცი იჯდა, მაღალი, ხმელ-ხმელი. ცალ, ნახევრადმოხუჭულ თვალზე ლიბრი გადაჰკვროდა. ახალდაკრეფილ იებს ყიდდა.

- ღვთის გულისათვის, ეს ორი კონაღა დამრჩა, – უთხრა ბერიკაცმა, – საგურამოდან, ილიას მამულიდანაა.

- აბა, ილიაც გეცნობება...

- ეჰ, კაი კაცი იყო, მაგის სულს შემოვევლე. ნეტა ახლა იყოს ცოცხალი და საკუთარი თვალით ხედავდეს ჩვენს უკუღმართობას.

- რათა?

- აბა ეს ყოფაა? ოჯახს მიწის დამუშავებით ვარჩენდი, 1000 კვადრატი საჟენი მამული მქონდა. სახლ-კარი, მიწა-მამული კომუნისტებმა წამართვეს, ჩემი ოჯახი შვილებიან-შვილიშვილებიანა ქუჩაში გამოაგდეს.

- ისევ მოვა გაზაფხული!

- როსღა?!

იცოდა რომ ერთი გროშიც არ ჰქონდა, მაინც მოიჩხრიკა ჯიბეები. სახტად დარჩა. ჯიბიდან ხელი ამოიღო და ერთი სპილენძის ფული ამოჰყვა.

- ღმერთმა მრავალი გაზაფხული გაგითენოს, – უთხრა ბერიკაცმა.

მკერდზე მიიხუტა იების კონა და ვერის დაღმართისკენ გაუხვია.

“აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები” – გულში იმეორებდა და თითქოს ეს იებიც სოფელში აბრუნებდა. ადრეულ გაზაფხულზე უთვალავი იებით იხატებოდა ჭანისწყლის ნაპირები.

აზარიანცის სახლთან ეტლები იდგნენ ორ მწკრივად. პირველ თავისუფალ ეტლს მიადგა. წვერაბურძგნილი რუსი მეეტლე იჯდა ნაბადგადაფარებულ კოფოზე, ლაკის წინაფრიანი ფურაჟკა ჩამოეფხატა ჭორფლიან შუბლზე, ნამთვრალევ თვალებს ჭრუტავდა წამდაუწუმ.

- გარეკე! გარეკე! – შეუძახა მეეტლეს.

მეეტლემ სადავეები წამოკრიფა. დაიძრა თავახდილი ეტლი. ბორბლები აჭრიალდნენ მოკირწლულ გზაზე. გაზაფხულის საამო სუნი იგრძნობოდა. გზის გასწვრივ დარგულ ჭადრის ნერგებს გამოეფოთქა მწვანედ.

- აბა გაფრინდი! – დაუყვირა მეეტლეს და კოფოსთან შედგა.

- აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები! მამულო საყვარელო! – გაქანებული ეტლიდან გაზაფხულის მოსვლას ულოცავდა.

- ტერენტი ვარ, გრანელი!

მაღაზიების წინ ჯგუფ-ჯგუფად მდგარი ხალხი ტროტუარზე გადმოვიდა. გამვლელები ჩერდებოდნენ და გაოცებით აშტერდებოდნენ. იყო სტვენა, გიმნაზიელები თეთრ ქოლგებს ისროდნენ მაღლა.

მეეტლეს რუსულ სობოროსთან გააჩერებინა ეტლი, იები მიიხუტა მკერდზე და ეტლიდან გადმოვიდა.

- А, деньги? – შემოუბღვირა მეეტლემ, კოფოდან ჩამოხტა.

- რის ფული, რა ფული, – ღიმილით მიუგო ტერენტიმ. გულზე მიიდო ხელი, იების კონიდან ერთი ია ამოაძრო და მეეტლეს გაუწოდა.

- Бродяга! – გამოსცრა კბილებში მეეტლემ და წირპლიანი თვალები დაუბრიალა – Чему ты радуешся убогий!?

ოფლი ასკდებოდა შუბლზე, ძლივს გადადგა ნაბიჯი. მეეტლემ ტლანქი ხელებით წაუჭირა ყელში, მიწაზე დასცა და მათრახი გადაუჭირა.

იგრძნო როგორ მოაწვა სისხლი და წინაპართა საუკუნოვანი ზიზღი, თითქოს ერთბაშად იფეთქაო შურისძიებამ, რაღაც ძალამ ისევ წამოაგდო, ეცა მეეტლეს, გაუქნია მუშტი და სილა გააწნა.

- Вот тебе, немытая Россия, за 117 лет!

იქვე ჩაიკეცა. დამტვრეული იები ეყარნენ ატალახებულ ქვაფენილზე.

მთვარე ციხიდან

მეტეხის საკანში სკამი არ იდგა, ვერაფერზე ჩამოჯდებოდა კაცი. იქვე, საკანის კუთხეში დაგებულ თივაზე მყუდროდ მოეწყო.

მოვიდა ღამე – ასე აშკარა, მოვიდა ღამე და სევდა რბილი.

ვერ მოისვენა, ფანჯრები გააღო, რკინის გისოსებს მიადო შუბლი. ბინდით შემოსილიყო ტფილისი, ბინდი შემოდიოდა საკანში.

მიდის ღამე, როგორც მდინარე, ფიქრი ზღვასავით ნელა ირხევა.

აქ უფრო გარეთ ვარ, აქ უფრო ქარია.

გისოსებიდან ახედა მთვარეს, ისიც პატიმრად ეჩვენა.

“არყოფნის ღამევ! შენკენ მოვიწევ, არყოფნის ღამევ! შენ დამიფარე”.

სევდა

რუსთაველის თეატრთან ახლოს, “ჩემოს” შენობის წინ ეტლები იდგნენ. საგამოფენო დარბაზის ვიწრო შესასვლელთან ხალხი ირეოდა. მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიის მოწაფეებს გამოფენა მოეწყოთ.

ფოიე ძველი იყო, ნახანძრალი. ხანძრის შემდეგ არც კარები ჰქონდა, არც ფანჯრები და ყველგან ქარი ქროდა. კედლებზე სურათები ეკიდა, ზეთის საღებავებით, აკვარელით და პასტელით შესრულებული.

შეჰყურებდა მტვრიან კედლებზე გამოფენილ სურათებს და ყველაფერი ავიწყდებოდა. ავიწყდებოდა დამწვრის, ნახშირის და სიდამპლის სუნიც, დარბაზს რომ შერჩენოდა.

“გვამით ყარს გარეთ ყველაფერი და აქაც რომ ასე იყოს, რა გასაკვირია”, – გაიფიქრა მან.

ბათქაშმორღვეულ კედელს კორნელი სანაძეს დიდი ტილო ფარავდა – “სევდა”. ქალს სახე მთვარით განათებულს უგავდა, უშველებელი, წითელი გველი შემოხვეოდა შიშველ ტანზე.

გამომტვრეულ ფანჯრიდან გაიხედა. პირქუში ნისლი ადგა მამადავითს. სობოროს გუმბათზე წამომართულ ბაირაღზე გადაიტანა მზერა და ასე ეჩვენა, წითელი გველი მიიკლაკნებოდა ტფილისის ცაზე.

ანაქსაგორას მარადიული თესლები

შალვა ნუცუბიძემ უნივერსიტეტში ფილოსოფიური კურსები დაარსა. ლექციების ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ სტუდენტებისა და ასპირანტების გარდა თავისუფალი მსმენელებიც ბლომად ესწრებოდნენ.

გობრონ აგარელმა ურჩია: შენ რომ დაგაინტერესებს ისეთ თემებზეა ლექციები, კარგი იქნება თუ ივლიო.

აუდიტორია გადაჭედილი დაუხვდა. იმ დღეს ანაქსაგორას მარადიულ თესლებზე კითხულობდა შალვა ნუცუბიძე.

- არაფრისაგან არაფერი არ იქმნება და არც არაფერი ქრება არაფერში. პირველსაწყისი მარადიული ნაწილაკებია, თვალთუხილავი, უსასრულოდ ურიცხვი და უსასრულომდე განყოფილი. ისინი არც იბადებიან და არც კვდებიან. პირველარსიც ეს იყო – უძრავი და უფორმო, ქაოტურად გაბნეული მარადიულ საგანთა თესლები. წმინდა გონმა ძვრა მისცა უძრავად განფენილ ქაოსს და იწყო სამყაროს ბრუნვა, შერევა და განყოფა უხილავად უწვრილეს თესლთა და იქმნა ხილული საგანი, კოსმოსის წესრიგი. მკვრივი, ნესტიანი, ცივი და ბნელი ერთ ადგილს შექუჩდა და იშვა დედამიწა. ცხელი, მშრალი და ნათელი ავარდა ზევით და იქმნა ზეცა. ეთერი ბრუნავს მიწის ირგვლივ, ეხახუნება და ცვივა ქვები. მიწიდან აცვენილი და შემდეგ ზეცად აალებული ქვებია ვარკვლავები, მზე და მთვარე. მარადიულია ბრუნვა, არაფრისაგან არაფერი არ იქმნება და არც არაფერი ქრება არაფერში.

- მაშ არაფერი ქრება, ბატონო შალვა?! – ჰკითხა მან.

- არაფერი. არც არაფერი იქმნება არაფრისაგან და არც არაფერი ქრება არაფერში!

- სიკვდილი?

- ო, სიკვდილი განშორებაა მხოლოდ. ჩონჩხი მტვრად იქცევა, მტვერი ნესტად ავარდება ეთერში და ცვრად ედება საფლავის მობიბინე მწვანე ბალახებს.

- ალბათ, ამიტომაც ასე ლამაზია დილის ცვარი!

- ასეა ეს სამყარო, მარადიული, უხილავი თესლებით ქმნილი, წაშლილი და ისევ ქმნილი.

- დიდი ნუგეშია! – უთხრა მან და ფანჯრებს იქით მისტიურად მოშრიალე ხეებს მიაპყრო მზერა.

ქრისტეს თვალებით

ისევ იმ ადგილას მივიდა სადაც მთელი დღე იყო გუშინ.

ნესტიანი ნისლი მოხვეოდა საბურთალოს ჭაობიან სანახებს. ნოტიო ჰაერში შმორის სუნი იდგა. მოდიოდა შლამში, ფეხშიშველი. არ ხედავდა ღრუბლებს, არ ხედავდა ნისლებს. მასთან ახლოს იყო *მხოლოდ ეს ერთი ნუში. დღესაც ეწვია და არ შორდება ფიქრი, რომელიც ტანჯავდა გუშინ:*

“ეს ჭაობიც, ეს ნისლიც ალბათ ვიღაცის, თუ რაღაცის მტვერია. რა დიდებულად მიკითხავდა ნუცუბიძე ანაქსაგორას. როგორ თქვა? სადღაც მიწერია კიდეც. ჰო, ჯოჯოხეთში ჩასვლა ყველა მხრიდან ერთნაირია!”

ვერეს ძველ, აგურის ხიდს მიადგა. გაღმა მიდიოდნენ დატვირთული ურმები. ტრავმაის ხმაური ისმოდა შორიახლო. მოწყენილ აკაციებს გადმოებურათ ტოტები.

ფიქრის გორას აუყვა. ტალახში ეფლობოდა ფეხები.

ვერის ბაღში განმარტოებით მდგარ სკამის საზურგეს გადააწვა და მარტის მზიან ცას მიაშტერდა.

გამვლელები ნელა დადიოდნენ ვიწრო ბილიკებზე. ვიღაც ქალმა გაიარა ბავშვით. ჯარისკაცებივით რიგში იდგნენ კვიპარისები.

ბაღის ბოლოს, ტყის დასაწყისში, კვიპარისის ხის ძირას თეთრწინსაფრიანი, ბაფთიანი სტუდენტი ქალი იჯდა და წიგნს კითხულობდა. ერთხანს შორიდან უჭვრეტდა, მერე წამოდგა და მოულოდნელად თავზე წაადგა. ქალმა შემოხედა და მაშინვე დახარა თავი.

- აქ ხშირად დადიხართ? – ჰკითხა ტერენტიმ, - წინათ აქ არ მინახივხართ.

- არც მე მინახივხართ, – ჩაილაპარაკა ქალმა.

- ნება მომეცით გაგეცნოთ, ტერენტი გრანელი.

- გრანელი? "სულიდან საფლავები?" – კითხვით მიუგო ქალმა.

- "სულიდან საფლავები" ჩემი ლექსებია, – ღიმილით უთხრა მან, – მე კი გრანელი გახლავართ.

- თინათინ როინიშვილი, – თქვა ქალმა და ხელი გაუწოდა. გამოუცდელი სიყმაწვილე და გაუბედაობა იგრძნობოდა მის გამოხედვაში.

- არ გეგონოთ, რომ თქვენი გარეგნობა მომეწონა. მაგ გარეგნობაში ამოვიკითხე თქვენი სული.

- პოეტებს ასე გჩვევიათ, მაგრამ რა იცით როგორი ეშმაკები სხედან მაგ თქვენს მოწონებულ სულში?

- ეშმაკები ყველგან სხედან, მაგრამ ანგელოზები მეტია თქვენში.

- საინტერესოა, საიდან იცით ამდენი?

- მაშინ რა პოეტი ვარ, თუ ადამიანის სულს ვერ ამოვიცნობ?! – მიუგო მან, – მე გრანელი ვარ, ქრისტე მეორედ მოსული ამქვეყნად!

1924

კვდება ეს მდელო, და ეს ქარია,

და საქართველო ახლა მკვდარია

აგვისტოს მიწურულს ჩეკისტებმა ამბოხი ჩაახშვეს. ღამე მუშაობდნენ ოპერმუშაკები, ეჭვმიტანილები პირდაპირ ქუჩებიდან აჰყავდათ, ზოგსაც სადილობისას, ან ლოგინიდან წამოყრიდნენ. ტევა არ იყო ორთაჭალისა და მეტეხის ციხეებში.

ღამ-ღამობით, საბურთალოს, ორთაჭალის და კოჯრის ტყეებისკენ მიჰყავდათ დასახვრეტად განწირულები. მეტეხის ციხიდან ასობით გამოჰყავდათ ხალხი. ბევრს იქვე, ადგილზე ხვრეტდნენ და პირდაპირ მტკვარში ყრიდნენ.

საღამოჟამს ჩეკისტები მოეფინებოდნენ ქუჩებს და ყასბებივით მიათრევდნენ გვამებს, ურმებზე აგდებდნენ. მთელი კვირა ჩამობნელებულ ქუჩებში მიდიოდნენ გვამებით დატვირთული ურმები.

ის ღამეები გარეთ გაათია. უთვალავი სიკვდილი მიედინებოდა თვალწინ ასე ერთბაშად და შინ რა დააძინებდა.

წყაროს ქუჩისკენ მიმავალ გზას დაუყვა. იქ, ხრამთან ეგულებოდა დახოცილები.

ქუჩის ფარნები ბჟუტავდნენ ფერწასული. მოღალული მთვარე საცოდავად ეკიდა ცაზე. ვარსკვლავების მზიდველი ღამე მძიმე ქვასავით ეცემოდა მძინარე ქალაქს.

შუბლზე მიიდო რკინასავით ცივი ხელი. ვერის ხიდი გადაიარა. შეუჩერებლივ აიარა აღმართი.

ხრამთან მთელი დღე ჩეკისტები იდგნენ, გაძლიერებული დაცვა ეყენათ და ახლოს არავის უშვებდნენ. ვერც ვერავინ ბედავდა მიახლოებას.

იგი მოშორებით იდგა ხეებს ამოფარებული, ხრამის კიდეს მისჩერებოდა. აურაცხელ ყვავს მოეყარა თავი, ბოინობდნენ მიწასთან სიახლოვეს.

ჯალათებმა ურმებიდან გვამები გადმოყარეს და თხრილთან მიათრიეს.

სიკვდილმისჯილნი ბაწრით ერთმანეთზე იყვნენ გადაბმულები. თხრილთან, გვამების წინ ჩაამწკრივეს. არავინ განძრეულა. ჩეკისტებმა თოფები აღმართეს. ყველამ, თითქოს ბრძანებით, ერთბაშად იყვირეს:

- თავისუფალ საქარ...

ვერც კი მოასწრეს სიტყვის დასრულება, იქვე დაცხრილეს. ტყვიებისგან ბდღვირი ასდიოდა მიწას.

თხრილს მიწა მიაყარეს, მოასწორეს. შემდეგ სულმოუთქმელად აიარეს დამრეცი აღმართი და ტყესთან ახლოს, ხეებქვეშ დადგმულ სკამზე ჩამოსხდნენ. ხმას არ იღებდნენ, სიგარეტს აბოლებდნენ და თავი ისე ეჭირათ, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

სადღაც ძაღლი ყეფდა დროგამოშვებით, სადღაც შორს ტყესთან მატარებელი სადგურს კივილით მიუახლოვდა.

მთელი ტანით მიწას გაეკრა და უჩუმრად, ცოცვით გაემართა თხრილისაკენ. როცა მიუახლოვდა გვამების სუნი ეცა. რბილ მიწას სისხლის მუქი ლაქები აჩნდა.

პირჯვარი გადაისახა და პირქვე ჩაემხო, ხელის თითებით მოფხოჭნა ფხვიერი მიწა. თითქოს იგი ჩაემარხათ ცოცხლად, თითქოს მას აყრიდნენ სისხლით სველ ბელტებს.

დიდხანს იწვა ასე, გაუნძრევლად, ვიდრე მაღალი ბალახებიდან გამოსული ფეხის ხმა არ გაიგონა. მერე კი, გვიან ღამით, თავქვე დაუყვა მთვარით განათებულ ბილიკს.

მას ახლა ტფილისის უკაცურ ქუჩებში ხეტიალი თუ დაამშვიდებდა.

მბჟუტავი ფარნები ციმციმებდნენ შარაზე, მოხრილი, თავსაფრიანი დედაკაცებივით.

არაფერი შველოდა. ვერც მიაღწევდა სახლამდე. ნამთვრალევივით იქვე ჩაიკეცა და როგორც შორეულ დროს საკუთარ დედას, ისე დაუწყო ამ ჩამოქცეულ წყვდიადში ფარნის ერთადერთ შუქს ფერება.

მთელი ღამე ეჩურჩულებოდა, ისე, როგორც მაშინ, კალთაზე თავმიდებული. თავსაფრიანი ფარანი კი ჩუმი ღიმით უგზავნიდა უხილავ პოტიკებს.

ფარნის ქვეშ გაათია ღამე და როცა ინათა, დილის სისხამს ჩაექრო ოდნავ მბჟუტავი, თბილი ნათელი.

MEMENTO MORI

ჩემს გარშემო ციხეა – მწუხარების სავანე

სიკვდილს ობობას ქსელივით გაედო პოტიკები ჩონჩხმორღვეულ ქალაქში. კოჭლობით მიკელანობდა უშველებელ რუსულ ვენოკზე შემომჯდარი ქეციანი დედაბერი, შლიდა ძველ¬თუძველეს პალიმფსესტებს.

გაივსო საქართველო ქვრივებით, ობლებით, შიშით, ცრემლით, მოუცილებელი ვაებით.

ცვიოდა ციდან ჟუჟუნა წვიმის მაგივრად ნამგალი და ურო. ხელ-ფეხმოცელილი, ძუძუმოკვეთილი, თავგადახერხილი დედა იდგა სალდათის ბაზართან.

სადღა იყო ნაზი სამშობლო – ლაჟვარდები ცისფერი.

დიდი ინკვიზიტორის საკარცხლულთან მუნჯი და ყრუა შიშისთვალება ხანი-დროება.

ახლა უფრო ხშირია შეცდომების დაშვება.

ახლა უფრო ხშირია კუდის აქიცინება.

და ძნელია გარჩევა...

ლექსების კრებული "გაფრენილი დღეები" გამოსაცემად ჰქონდა მზად.

"რა ვქნა, შავი ღამეა, მძიმე და უსაშველო", – თვალწინ წარმოუდგა წყაროს ქუჩასთან, ხრამში დახვრეტილი ტფილისი.

"გახსოვდეთ სიკვდილი!" "Memento Mori", - თითქოს მუმიათვალება, ენამოკვეთილ ტფილისს შეავედრა ხსოვნა.

- მომავალი თაობები განგვიკითხავენ ჩვენ, – ჩაილაპარაკა მან, – რა დროს "გაფრენილი დღეებია". ჩემი გული და სისხლი – ეს "Memento Mori"-ა.

უკვე გამოსაცემად გამზადებული წიგნი ახალი სათაურით – "Memento Mori"-ით გამოვიდა.

გადატეხილი სალამური

1924 წელი. 16 ნოემბერი. კვირა დღე.

ცივი ქარი ეკლიანი წნელით სცემდა ხეივნებს. გაყვითლებული მკვდარი ფოთლები დაფარფატებდნენ, ერთად შექუჩულნი მაღლა აჰყვებოდნენ ქარს და იბნეოდნენ სადღაც.

ყმუოდა ქარი პატრონმკვდარი ძაღლივით.

ჭილყვავი მოსდებოდა გაძრცვილ ბაღებს, აყრუებდნენ გაშეშებულ სივრცეს. შავი ლაქებით დაფერილიყო ყროლი ნაცრისფერი.

თვალღია ბულბული შეჰყინვოდა დამზრალ ვარდებს. უნდობარ დროებას ჩაეხშო ვარდბულბულიანი ხმა, კაუჭა ნისკარტიანი ყვავები დაბოინობდნენ გამგლისფრებულ ცაზე.

ხელოვანთა სასახლეში მუხის კუბოში იწვა ვანო სარაჯიშვილი, ალფრედივით ფრაკითა და ქათქათა პერანგით მორთული, თითქოს სცენაზე გამოსასვლელად ემზადებაო.

ორკესტრი უკრავდა დარბაზში. მომღერალი პოპოვა ალაგებდა გვირგვინებს. ემილ კაპელნიცკის ჩელო აქვითინდა: “თავო ჩემო”...

კუბოსთან იდგნენ ძმები ფალიაშვილები. ვლადიმერ გოროვიცი უკრავდა ლისტის “გასვენებას”.

შუადღეზე გამოასვენეს ხელოვანთა სასახლიდან. გუგუნებდა “სულთათანა”. სასახლის ქუჩაზე გამოატარეს. ხალხით გადაჭედილ რუსთაველს სერავდა მგლოვიარე დუმილი. სასტუმრო “კავკაზთან”, ერთ კუთხეში ქალი იდგა კალათით ხელში, ყვავილებს და ვანოს სურათებს ყიდიდა.

სიკვდილის გზაზე მიაცილებდნენ მკვდარ ბულბულს. გვირგვინების მწუხარე რიგი ფარავდა მაღალ კუბოს.

ზარებს ჩამოჰკრეს ქაშუეთთან. ყრუდ გახმიანდნენ ზარები შორს.

ოპერის წინ დაასვენეს ცხედარი. ორკესტრმა დაუკრა ფალიაშვილის “აბესალომ და ეთერი”. მიწყდა “აბესალომის” ჰანგი. გაისმა “დაისის” მელოდია – “მწუხრი დაიწყო”. თეატრის აივანზე გადმომდგარი პოპოვას ქალი მღეროდა მარეხის არიას.

ტერენტიმ უთვალავთა მოჯარული რკალი გაარღვია და აცოცდა ბოძზე. დაბლა გადმოიხედა, ასე ეჩვენა: დამუნჯებული ბაღი მისტირისო უკანასკნელ მგალობელს.

უცებ მოასკდა ლექსი, არა როგორც მუზასთან ჩვეული ფერება, არამედ ჩექმიანი წიხლებით მკერდჩალეწილ თანამემამულეთათვის სასალბუნო სიტყვა.

აიშალა მდუმარება ქერუბიმის ცოდვილ ხმაზე, იქნებ არ დადგა ჯერ აღსასრული, იქნებ ისევ მოაკითხეს მიტოვებულ ბაღებს ვარდბულბულიანებმა.

“გრანელი! გრანელი” – გააჟრჟოლა ათასებს, ათიათასებს.

და როცა იხილა სიცოცხლის შეფრთხიალებული ნერვი, გულს მოეფონა, ჩამოცოცდა სვეტიდან, გაუჩინარდა უთვალავთ შორის.

ორკესტრთან ერთად ქვითინებდა ფირფიტაზე ჩაწერილი ხმა: “თავო ჩემო, ბედი არ გიწერია”.

საფლავზე იდო გადატეხილი სალამური.

მძიმე ღამე

მეარღნეები იდგნენ რესტორან ქიმერიონთან. მარჩიელი თუთიყუშით ართობდნენ გამვლელებს. მსახიობები ამოვიდნენ სარდაფიდან. წითელი ქოლგები გაშალეს ქალებმა, სიცილ-კისკისით მოედვნენ ქუჩას. გამვლელები ჩერდებოდნენ და გასცქეროდნენ თეატრალების ამალას.

- ვერიკო, ვერიკო! – გაისმა ჩურჩული.

მოდიოდა ვერიკო ნუშისფერი, ანთებული თვალებით, თმა მსუბუქად გაეფანტა, აბრეშუმის გრძელი კაბა ეცვა. უკან მოსდევდნენ მსახიობები.

იგი ჭადრის ხეს მიყრდნობოდა და ასე ეჩვენა, რომ ვერიკომ განსაკუთრებული ყურადღებით შემოხედა.

“და ახლა ირგვლივ გლოვის წამია,

წამია გლოვის, ცრემლების გარდა”.

გაისმა ვერიკოს ექსპრესიული, მუსიკალური ხმა. ტერენტი დაიხარა და ხელზე ემთხვია.

- ჩემო ტერენტი! ბევრი ლექსი წამიკითხავს, მაგრამ ასეთი მწუხარება არსად განმიცდია, – უთხრა ვერიკომ.

- მადლობელი ვარ ჩემი ბედისა, რომ თქვენ შემახვედრა, – მიუგო ტერენტიმ.

- რა ღატაკი იქნებოდა ადამიანი, რომ მას არ გააჩნდეს ასეთი განძი – ლექსი, – თქვა ვერიკომ, – პოეზია ჩემთვის ისეთივე ძვირფასია, როგორც გაზაფხული, ისეთივე აუცილებელია, როგორც სიყვარული.

კოტე მარჯანიშვილმა მუქი ლურჯი რატინის ჟოკე მოიხადა, შევერცხლილ თმებს რომ უფარავდა და გადაეხვია.

- ვანო სარაჯიშვილზე ასეთი ლექსი ჯერ არავის დაუწერია, – თქვა კოტემ და სიგარეტი მოუკიდა, - ტერენტი, მე გადავწყვიტე დავწერო სცენარი, რომლის ქვაკუთხედი შენი ლექსი იქნება. ეს დადგმა აუცილებლად უნდა განვახორციელო. შენ უნდა მეწვიო ბინაზე. ახლა მოსკოვში მივემგზავრები. რომ ჩამოვალ, უსათუოდ მნახე.

იმ ღამეს უსასრულოდ ბევრი იხეტიალა და არ ეშინოდა რომ თანდათან წვებოდა სიბნელე.

თეთრი

მაჩაბლის ქუჩაზე, დავით სარაჯიშვილისეულ სახლში იმ წელს გამოცემულ წიგნებს იხილავდნენ.

- დადგა კრიზისის ხანა. გაქრა საღი აზროვნება და მის ადგილას ყალბი, ცრუ იდეალები გაბატონდა. თქვენ ანარქიას ღაღადებთ, მისტიციზმს, – თქვა თავმჯდომარემ.

- ჩვენი დრო მისტიკის სანიშნოს უყურებს, – დარბაზიდან შეეხმიანა კონსტანტინე გამსახურდია, – ყველგან მისტიკა იმარჯვებს, პოეზიასაც მისტიური ქროლვა ეუფლება.

- ამ წიგნებს სიყალბის სუნი სდის, სულ ტყუილია ეს ცრემლები. უსისხლოა თქვენი მისტიკა.

- სიყალბე თქვენგან მოდის. ეს გულწრფელი ცრემლებია გაუხარებელ ნაღველში გამოზრდილი თაობისა, – უპასუხა კონსტანტინემ.

- გეცნობებათ ეს შავი წიგნი, – თქვა თავმჯდომარემ, გრანელის “Memeto Mori” ეჭირა ხელში.

- ფერი შეგეშალათ ამხანაგო, – სალონიდან მიუთითა ტიციან ტაბიძემ, – შავი კი არა თეთრი წიგნია.

დარბაზს სიცილმა გადაუარა.

- თეთრი სიკვდილის ფერია, – იყვირა ღიმილით კონსტანტინე გამსახურდიამ, – ალბათ ეს ჰქონდა პატივცემულ ორატორს მხედველობაში.

- მაგი სულ საიქიოზე არ წერს? ფერიც მასეთი შეურჩევია, ამხანაგო! – წამოიძახა ვიღაცამ.

- ჰო, თეთრი, მაგრამ რატომ არ უნდა იყოს წითელი? – შეასწორა მომხსენებელმა.

დარბაზი ახარხარდა.

- ამხანაგებო, – ისევ მიმართა დარბაზს ორატორმა, – ჩვენ, პროლეტმწერლებმა ვიცით რასაც ნიშნავს ეს თეთრი ფერი, თეთრი რაში.

- რუსულ ტროიკაში შებმულ თეთრ ცხენებს ხომ არა? – გაისმა დარბაზიდან.

- თქვენ გეტყობათ კამეჩის რქაში მჯდარხართ! ისე იქცევით თითქოს ვერაფერს ხედავთ. თქვენისთანა ნაციონალისტი და რეაქციონერია გრანელი! ეს არ არის პოეზია, ეს საიქიოს ბოდვაა, თეთრი ანგელოზების ფარფატი. მუშურ-გლეხურ დიქტატურას არ სჭირდება თეთრი მისტიკა.

- მართალია, არ გვჭირდება, – ყვიროდა ვიღაც, – მავნებელი და მენშევიკია გრანელი!

- გრანელის პოეზიას მტვერი უნდა წავაყაროთ, მისი ლექსები მოკლებულია ჯანსაღსა და საიმედო პერსპექტივას, ახალგაზრდობას დაცემისაკენ მოუწოდებს და ამდენად ძირფესვიანად უნდა ამოვძირკვოთ მისი ცრემლიანი ლექსები!

- სწორია, სწორია! უნდა ამოვძირკვოთ!

- ძირს სოციალ-ფედერალისტები! ძირს ტროცკისტები!

- ძირს რევოლუციის მტრები!

- ძირს კონტრრევოლუციონერი და შოვინისტი გრანელი!

- ვინ ხართ თქვენ, ბატონებო, – ხმამაღლა იყვირა კონსტანტინე გამსახურდიამ.

- ვინ არის შენი ბატონი?!

ახმაურდა, აირია დარბაზი.

“არ ვესალმები ამგვარ დროებას, გრიგალი არხევს სულის მიმოზებს”, – გაიფიქრა ტერენტიმ, ხმაურით ისარგებლა და უკანმოუხედავად დატოვა დარბაზი.

ღამეს შავი ძაფები დაეფინა ტფილისის ცაზე და ამ სიშავეში მაინც იგრძნო ცისფერი უსაზღვროება.

მათხოვარივით

“გულ-ამოსკვნილი სტირის გრანელიც, ჩვენში მეორედ მოსული ქრისტე,

უშნო, ულონო, დაუბანელი,

მათხოვარივით საფლავებს მისდევს”.

ალიო მირცხულავა, “მე და ბარათაშვილი”, 1925 წ.

წითელი ძაბრები

მწველი, წითელი მზე ანათებდა. პაპანაქება სიცხისგან თავდასაღწევად აგარაკებზე გაკრეფილიყვნენ ტფილისელები. ვინც შემორჩა ქალაქს, მზით გათანგულნი სახლებს აფარებდნენ თავს.

სტალინის და ბერიას უშველებელი პორტრეტები ეკიდა შენობების ფასადებს. თითქოს ქალაქს დაჰყურებენო ზემოდან, მათი მზერა მზესავით აჭერდა ქუჩაში გამოსულ იშვიათ გამვლელებს.

ავჭალის პროსპექტზე მიდიოდნენ ის და მარტვილელი მეგობარი საშა სიგუა. გზად ორი ახალგაზრდა შემოხვდათ, თავზე ორჯონიკიძისეული ქუდები ეხურათ.

- ეს უკვე მერამდენეა, რაც გზაზე შემოგვხვდა – თქვა საშამ, – მთელი ქალაქი გაუძეძგავთ ამ უთვისტომოებით.

- ნეტა ამათ! – ჩაილაპარაკა ტერენტიმ, – ეგენი ახლა ბლომად ეყრებიან ქუჩებში.

- შეხედე ერთი! ამათი არაფერი გამეგება, ეს რა ძაბრები ჩამოუმხიათ თავზე.

- იმ "ლუდაედი" ღორეშელის ბრალია ყველაფერი, – უთხრა ტერენტიმ, - თუ კაცი ხარ, ჩამოუგდე მაგ გოგრებიდან ეგ წითელი ძაბრები, – უთხრა ტერენტიმ.

წითელძაბრიანები გაუსწორდნენ.

- რას მოგვშტერებიხართ? – დაუყვირა საშამ.

- რაო, რა გვინდაო? – მიუგო ერთმა.

- ფუი, თქვენ! – შესძახა საშამ და პანღური ამოჰკრა ორივეს, ხელი წაატანა ქუდებს, მოხადა და მიწაზე დაანარცხა.

წითელძაბრიანები წამით შეყოვნდნენ, მოულოდნელობისაგან გაშეშდნენ, დაფეთებულებმა შემოხედეს. უკანმოუხედავად დატოვეს იქაურობა.

- ახია მაგათზე! – თქვა ტერენტიმ.

- აწი ქალაქში არ გაგვესვლება, დაგვიმახსოვრებდნენ.

ორჯონიკიძის უზარმაზარი პორტრეტი ეკიდა სადგურის კედელს, მთლიანად ფარავდა წინა ფასადს.

მწველი, წითელი მზე აჭერდა შუადღის ქალაქს.

პენსნეიანი გამჭოლი მზერა

ოთახის სიღრმეში, გრძელ, საწერ მაგიდასთან რედაქტორი, ჯუჯა ტანის კაცი იჯდა. კაუჭა, მსუქანი ცხვირი ხელნაწერ რვეულში ჩაეყო. მაგიდის ზევით სტალინის სურათი ეკიდა.

- რა გადაწყვიტეთ, დაბეჭდავთ ლექსებს? – ჰკითხა ტერენტიმ.

- რა მოგახსენო, – თავი აიღო რედაქტორმა, ცალყბად გაუღიმა, – შენ ხომ იყავი ჩემთან!

- ვიყავი, კი.

- მერე, ხომ გითხარი?

- მითხარით, კი, მაგრამ ვიფიქრე, იქნებ დაბეჭდონ-მეთქი.

- რა, გადავიფიქრებდი თუ, შემაცდენდა შენი სიკვდილის ანგელოზი?!

- ამდენი ხანია, არაფერი დამიბეჭდავს. იქნებ ორი, სამი ლექსი მაინც აარჩიოთ.

რედაქტორმა მაგიდაზე თითები დააკაკუნა, სკამზე უკან გადაიხარა.

- აბა, აქედან რა უნდა შევარჩიო. ყველგან – სასაფლაო და ღამე.

- ნუთუ სასაფლაოს მეტს ვერაფერს ხედავთ, ბატონო, ჩემს ლექსებში?

- პანაშვიდების და სამგლოვიარო პროცესიების პოეტები არ გვჭირდება ჩვენ! არ გეცოდება შენი თავი?! მალე თვითონ დაემსგავსები მიცვალებულს!

- ჰოდა, თუ ასე გეცოდებით, დამიბეჭდეთ ლექსები.

რედაქტორი დინჯად წამოდგა, წიგნის თაროებს შორის მოთავსებულ კარადასთან მივიდა.

- კონიაკს ხომ არ დალევ? – ჰკითხა უცებ რედაქტორმა. პასუხს არც დალოდებია. კონიაკი და ორი პატარა ჭიქა გამოიღო კარადიდან. ჭიქები შეავსო.

- დალიე, დალიე!

- გმადლობთ, – უპასუხა ტერენტიმ. კონიაკს დაწვდა.

- რატომ არ ეძებ სამუშაოს? – ჰკითხა რედაქტორმა და ჭიქა ისევ შეუვსო.

- რა სამუშაო ვეძებო, – მიუგო ტერენტიმ, – მე პოეტი ვარ.

- სადღაა ახლა პოეტები?! ან რა ჯანდაბად გინდა ასეთი პოეტობა? მაინც არავინ დაგიბეჭდავს მაგ ლექსებს. ჩვენთან მუშაობა არ გინდა? უნდა დაწერო რამე.

- რა უნდა დავწერო?

- როგორ თუ რა? გაიხედე გარეთ და ნახავ რამდენია საწერი.

- არ ვიცი ასე წერა. არც ჟორდანიას მთავრობის დროს დამიწერია ოდები.

– სისხლიან სამარეზე ხომ იცი, როგორ წერო?! – ირონიულად ჩაიღიმა რედაქტორმა,

- ჩემს ლექსებში სულიწმინდის მადლია განფენილი, მაცხოვრის ხატებია ჩაწნული.

- ჩვენთვის მაცხოვარი დღეს სტალინია! განკაცებული ღმერთი, დედამიწის მეექვსედის ბატონი?!

- მხოლოდ მეექვსედის!

რედაქტორმა მაგიდაზე ფანქარი ნერვიულად დააკაკუნა.

- ნამეტანი გამითამამდით პოეტები!

- პოეზია სითამამეა, აბა, ძაღლივით დაბმული ხომ არ იქნება პალოზე!

- თუ საჭიროა, დავაბამთ კიდეც! გაფრთხილებთ, ვინც რევოლუციის წინააღმდეგ ხელს აღმართავს, ვინც უნდა იყოს, სასტიკად გავუსწორდებით!

- რაში გაგიწიეთ წინააღმდეგობა, ბატონო?!

- თითქოს ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი ხარ და ამა ქვეყნისა არა იცი რა. ისევ გაფრთხილებ, ჩვენ ქრისტეს მიმდევრები როდი ვართ, რომ ერთ ყბაში თუ შემოგვარტყეს, მეორე მივუშვიროთ. უნდა წეროთ, ამხანაგო კომუნისტურ მრწამსზე, პროლეტარიატის ნამგალსა და ურიზე.

- აქ სხვები წერენ მხოლოდ დროშაზე, როცა მე ვუმღერ უსაზღვროებას. აქ სხვები წერენ მხოლოდ ნამგალზე, როცა მე ვუმღერ მარადისობას! – მიუგო ტერენტიმ თქვა, ხელი ჩაიქნია და რედაქციიდან უკანმოუხედავად გამოვიდა.

კიბე სწრაფად ჩაირბინა და ქუჩაში გავიდა. ორასიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი, რომ ქაშუეთთან მანქანამ დაამუხრუჭა. ჩეკისტის ფორმაში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა გადმოვიდა და გზა გადაუღობა.

მანქანის ღია კარებიდან პენსნეიანმა კაცმა გადმოიხედა, სარჟის ფრენჩი ეცვა და ტყავის ჩექმებში ჩატანებული გალიფე.

- ბატონო ტერენტი! – მოისმა ცივი, გამყინავი ხმა.

იგი მონუსხულივით იდგა. თითქოს შორიდან მოესმა ნესტიანი ხმა.

- ტერენტი!... წერე, წერე!

კარები დაიხურა მძიმედ, ისე, თითქოს ვიღაცას მისთვის ძლიერი სილა გაეწნასო. მანქანა ადგილიდან მოწყდა, თვალს მიეფარა.

“ნუ გახვალ გარეთ! დარჩი შინ, ელაპარაკე კედლებს, თუნდაც ყრუ იყოს, ელაპარაკე მარტომ... დარჩი რაც ხარ და რაც არ ყოფილა არავინ არასოდეს. სიყრუე

შეგშლის? იყავ შეშლილი, ოღონდ ნუ გახვალ გარეთ. დარჩი შინ, ეჩურჩულე სიჩუმეს...”.

შინ რომ მივიდა, მიწურის ნესტის სუნი ეცა. მიმოიხედა ირგვლივ და შავ-თეთრი იყო ყოველი. ასე ეჩვენა, ძველ, ფეხებმომტვრეულ მაგიდაზე მისი “Memento Mori” იყო მხოლოდ ფერადი.

ლურჯი იები

მარტის სუსხიანი დღე იდგა. დილიდან დაიწყო თოვა, უჩვეულოდ ყინავდა.

მიაბიჯებდა რუსთაველზე, დათოვლილი ჭადრების ხეივანში. თოვლი ფთილა-ფთილა ცვიოდა მაღალი ხეებიდან და თეთრ კორიანტელს აყრიდა. მკერდი გაღეღოდა, ყავისფერი პალტო ჩამოძენძოდა, გულზე ია-იების დამჭკნარი კონა ებნია.

მიიკვლევდა გზას მოფუთფუთე ბრბოში, თვითონაც არ იცოდა, საით. მიდიოდა ტალახში აზელილ ქუჩაზე, ფეხზე ლანჩაგამოვარდნილი ფეხსაცმელი უწინდოდ ეცვა.

ზინგერის მაღაზიის წინ ქალები იდგნენ.

- ტერენტი გრანელი, – ჩაიჩურჩულა ერთმა.

- მთვარეულს არ ჰგავს?, – უპასუხა მეორემ.

- მოსიარულე შიშველი ნერვი!

ზოგი ვერ ცნობდა და ასე ეგონათ: ალბათ, ერთი, ჩვეულებრივი მაწანწალაა, ღია ცის ქვეშ რომ ათევს ღამეს.

მშრალი ხიდი სავსე იყო ჩამოძონძილი ბავშვებით. ზოგი შუა გზაზე იდგა და მათხოვრობდა. სასტუმრო ლონდონთან ქოლგიანი ქალი შეეფეთა.

- ღმერთო ჩემო, გრანელი! – თქვა ქალმა, – როგორ დასველებულხართ. გადაიფარეთ ჩემი ქოლგა.

შუბლი გაეხსნა, ჩამქრალი თვალებით ნუგეშს ეძებდა.

- ეჰ, ჩემო კეთილო ქალბატონო! – უთხრა მან და მხარზე იტაცა ხელი, დამჭკნარ იებს გადაუსვა, – აი, ამ იასავით ვარ!

- ღვთის გულისათვის, შემოდით ქოლგის ქვეშ! – უთხრა ქალმა.

ქარი უბერავდა. თითქოს კალთას შემოეხიზნა, ქოლგის ქვეშ შეფარებულს გონებაში ისევ ამოუტივტივდა გადმოხურული კერია, ისლის ჭერი.

შეუჩერებლივ თოვდა. მიდიოდნენ ორნი მხარდამხარ, ერთი ჰქონდათ საფარი აწყვეტილი ცის ქვეშ, მანამდე არასდროს უქონელი და განუცდელი.

დუქნის ბატონი

ტფილისში ვეება აფიშები გამოაკრეს წარწერით – "სერგეი ესენინის საღამო".

კონკა მიხრიგინებდა ავჭალის ქუჩაზე. გზადაგზა მგზავრები ახტებოდნენ ღია ვაგონს.

ვერის დაღმართზე ხელჯოხით მომავალ ახალგაზრდა, ასე ოცდახუთი-ოცდარვა წლის კაცს მოჰკრა თვალი. ჭაბუკს ნაცრისფერი რუსული ხალათი ეცვა. ხუჭუჭა, ქერა თმა გვერდზე ჰქონდა გადავარცხნილი. აფიშებიდან ეცნო ესენინის სახე.

კონკიდან ჩამოხტა, მიესალმა.

- მე პოეტი ვარ, გრანელი.

- საქართველოში ყველა პოეტია, – ღიმილით უთხრა ესენინმა და ხელი ჩამოართვა, – თუმცა ისეთი სახე გაქვთ, შეიძლება გაუცნობლად მეფიქრა, რომ პოეტი ხართ!

ესენინმა ქალაქგარეთ, “თეთრ დუქანში” დაპატიჟა.

მოტიტვლებულ გორაზე მდგარ ერთსართულიან დუქანს ქვის დაბალი ღობით შემორტყმული მჭკნარი ბაღი ეკრა. შეკაზმული ცხენი იდგა დუქნის წინ, ისეთი ჯიშიანი, ჩერქეზულ ულაყს ჰგავდა. ფარანი ეკიდა შესასვლელთან, ძველ, გადაბრეცილ ბოძზე.

ფარანთან მიბმულ მძიმე ზარს ჩამოჰკრეს. მოხუცი მედუქნე გამოეგება. ლურჯ, დაბებკილ ჩოხაზე წითელი ახალოხი გადაეცვა, განიერი, ფართო შარვალი შალის წინდებში ჰქონდა ჩატანებული, თეთრი ცხვირსახოცით შეეკრა კისერი.

მედუქნემ და სტუმრები შიგ შეიპატიჟა. ადუდღუნდა დამტვრეული არღანი. აბაზიანი გადაუგდო ესენინმა მეარღნეს. ხმაჩახლეჩილი ღრიალებდნენ მოხარშულ კიბოსავით ლოყებღაჟღაჟა ლოთები. მუხრანული თეთრი ღვინო და მწვადები შეუკვეთეს.

- ჩვენი გაცნობის იყოს, – უთხრა ტერენტიმ და ჭიქა მიუჭახუნა.

- გაგვიმარჯოს, – მიუგო სერგეიმ.

სერგეი ყვებოდა თავის თავგადასავლებს. იგონებდა უცნაურ ამბებს. შემდეგ მედუქნე იხმო და სუფრის გაშლა გარეთ, შემოსასვლელთან, ზედ შუა გზაზე ითხოვა.

- გარეთ ერთი მაგიდის კი არა, მთელი სამყაროს ბატონ-პატრონები ვიქნებით, – თქვა ესენინმა.

- აქ ჩვენ ვართ ბატონები, – უპასუხა ტერენტიმ და ადგა, მედუქნეს რაღაც გადაუჩურჩულა, არეული ნაბიჯებით, მაგრამ თავაწეულმა დატოვა დუქანი.

გაიღეთ მოწყალება

ახალაშენებული “ზარია ვოსტოკას” რედაქციის კუთხეში ესენინი და გრანელი იდგნენ. სერგეის კისერზე ზოლიანი შარფი ეკეთა, ხელჯოხს დაყრდნობოდა და ქუჩას გამოციებული თვალებით მიშტერებოდა. რედაქციას კუთვნილი ჰონორარი არ მიეცა და პროტესტის ნიშნად გამვლელებისგან შემწეობას ითხოვდა.

- გაიღეთ მოწყალება, ვისაც რამდენი შეგიძლიათ, რედაქციამ უფულოდ დაგვტოვა პოეტები! აჩუქეთ ხელმოკლე პოეტს! გაიღეთ მოწყალება!

ცნობისმოყვარე გამვლელები ჩერდებოდნენ, მოპირდაპირე ქუჩიდანაც გადმოდიოდნენ, ხალხმა იმატა.

- ხალხო ესენინი! ესენინი!

- ჰო, ესენინია!

- მეორე გრანელია, ჩვენი პოეტი!

- ეს, რომელი?

- “Memento Mori”, “სულიდან საფლავები”, როგორ ვერ იცანი?

- ჰო, ეგ არ იყო, სარაჯიშვილის გასვენებაზე ყველა რომ აგვატირა?

- ჰო, ეგ იყო, ეგ.

- ლექსები, ლექსები წაგვიკითხეთ! – ყვიროდა ტროტუარზე შეჯგუფებული ხალხი.

- ნება თქვენია, კეთილო ხალხო, – მიუგო გრანელმა, ხელები გაშალა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

“ეს ხმა, ეს ბედი ისევ ჩემია,

სადღაც შორს ღმერთის აჩრდილი ცხოვრობს.

და მხოლოდ ერთი გზა დამრჩენია

დავდგე ქუჩაში და ვიმათხოვრო.”

რუსული ტროიკა

პუშკინის ქუჩაზე გააჩერებინეს ეტლი. დუქან “სიმპატიაში” შევიდნენ. მყუდროდ მისხდნენ კუთხეში.

დახლთან მედუქნე თვლემდა. მელექსე-მომღერლები ღვინოს სვამდნენ, ქეიფობდნენ.

- მშვენიერი დუქანია, – თქვა სერგეიმ.

- აქ კარგი წითელი ღვინო იციან, კახური.

- დიდებულია!

მაგიდასთან მიკიტანი მივიდა.

- რას დალევთ?

- წითელი ღვინო, – მიუგო სერგეიმ, – გვშია, დილიდან ხემსი არ გადაგვცდენია.

ვიდრე საჭმელს მოიტანდა, ლუდი მოითხოვეს. მიკიტანმა ტოლჩით ლუდი მოარბენინა.

გვერდით მაგიდასთან სუფრა იყო გაშლილი. ხაკის გოლიფეებიანი დამთვრალ-გასავათებული ჩეკისტები ფხაშერეულად შემოსხდომოდნენ, ხმამაღლა ბუბუნებდნენ, ყანწები გადადიოდა ხელიდან ხელში.

- ამათმა უნდა მომიშხამონ ახლა ეს საღამო, – ზიზღნარევი ნაღველით ჩაიდუდუნა სერგეიმ და სახე იბრუნა, – სადაც უნდა გაიხედო, ყველგან ამათ უნდა გადაეყარო.

მეორე ბოთლის შემდეგ სერგეი შემთვრალი იყო, თავს ვერ იკავებდა, აღიზიანებდა მათი სიცილ-ხარხარი.

“ეშმაკსაც წაუღია ამათი თავი! – გაიფიქრა ტერენტიმ, – როგორც ვატყობ, ახლა ჩხუბი იქნება”.

- წავიდეთ აქედან, – თქვა მან.

მაგიდიდან წამოდგნენ. ოფიციანტს უხმეს, სადილის ფული გადაუხადეს და ის იყო სარდაფის კიბეებს უნდა აჰყოლოდნენ, რომ მაგიდიდან ხმა შემოესმათ:

- მოიცადეთ, მოიცადეთ, ამხანაგებო! დაგვილიეთ ყანწი, – დაიგრგვინა თამადამ. დოქი აიღო მაგიდიდან, ყირამალა ჩააყუდა ყანწში.

- ვინაა ამათი ამხანაგი! – ჩაიჩურჩულა ესენინმა. არც გაუხედავთ, ისე განაგრძეს კიბეზე ასვლა.

- უყურე ამათ! ლაპარაკის ღირსადაც არ გვთვლიან!

მაგიდიდან წამოდგა მკლავებდაბერილი ჩეკისტი, ხელი სტაცა სკამს, მოისროლა მათკენ. წამოცვივდნენ ადგილებიდან და ყველაფერი აირია, ატყდა

- ახია მაგათზე! – დიყვირა ვიღაცამ.

უცებ ადგილზე გაჩნდა მილიცია, შეჯგუფებული ხალხი მისწი-მოსწია, არც უკითხავს მტყუან-მართალი, კინწის კვრით წინ გაიგდო ორივე.

- ჩვენ პოეტები ვართ, – უთხრა ესენინმა, კოპები შეეკრა, დანა პირს ვერ უხსნიდა.

- სახეზე გეტყობათ რა პოეტებიც ხართ, – უპასუხა მილიციის პოლკოვნიკმა და სტვენა-სტვენით ორივე მეტეხის ციხეში გადაიყვანა.

ესენინი, როგორც ჩამოსული სტუმარი, იმ დღესვე გაანთავისუფლეს. გრანელი კი აყალ-მაყალში დამნაშავედ ცნეს და მთავრობის ხალხის შეურაცხყოფისათვის სასჯელი მიუსაჯეს.

ციხე იდგა როგორც საშინელება, დამძიმებული და კეთროვანი. იყო სიჩუმე, სამი წერტილი...

ჩემი უნაზესი და – სიჩუმე

ჩუმად, უხმაუროდ ბარდნიდა. ათოვდა ქუჩებს.

ისე შეეჩვია სიკვდილის ლანდებს, თოვლშიც მათ კვალს დაეძებდა. მიდიოდა და თან მოჰყვებოდა თეთრი მდუმარება. ვერც გამვლელთ ამჩნევდა. ჩაესმოდა მხოლოდ ერთი ხმა – სიკვდილი.

ზარებს ჩამოჰკრეს ქაშუეთთან. სასულე ორკესტრის ხმა გაისმა. სამგლოვიარო პროცესიას წინ უძღოდა გვირგვინების გრძელი რიგი. გუმბათიან ბალდახინზე ესვენა თავდახურული თეთრი კუბო. ქალი მიჰყვებოდა კუბოს.

პირჯვარი გადაისახა, ხელები დაიწყო გულზე და გრძელი ნაბიჯებით დაეწია კუკიის სასაფლაოსკენ მიმავალ პროცესიას. მისთვის სულერთი იყო, ვინ იყო მიცვალებული, ნაცნობი თუ უცნობი. სიკვდილის მდუმარება ფეხაკრეფით მიდიოდა ქუჩაში და უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად ეპატიჟებოდა ყველას.

წარმოიდგინა, რომ წუხელ მოკვდა შუაღამისას. მერე, სადღაც წაიღეს ბნელი მკლავებით. მიასვენებდნენ ანგელოზები. სურდა გაერღვია სიბნელე და კვლავ ქვეყნისთვის მოევლო თვალი, არ შველოდა არც შორეული დების ლოცვები.

კუკიის სასაფლაო გამოჩნდა, უზარმაზარი, შავი კვიპაროსები და საფლავების მწვანე სიმშვიდე.

მხრებიდან ჩამოიღეს კუბო. მიწაზე დაასვენეს. თავსახური ჩაქუჩით დააჭედეს. გაჭრილ საფლავს მიწა მიაყარეს მუშტებით.

თოვა მიწყნარდა როიალივით. სასაფლაო დაცარიელდა. *ყველა ერთად წავიდა სადღაც.* უკანასკნელმა ჭირისუფალმა დატოვა ჯვრიანი რკინის შავი ჭიშკარი.

დარჩა ახალმიწაწყრილი, დამჭკნარი გვირგვინებით მოფენილი საფლავი, სიკვდილის ლოდივით ცივი და უტყვი.

საყდარს დადუმებული ეკიდა ზარი.

სურდა უცნობი მიცვალებულების გვერდით გაეტარებინა ღამე. ფეხაკრეფით დადიოდა სფინქსის მწუხარე ლანდი მიტოვებულ საფლავებს შორის, ყურს უგდებდა კვიპაროსების ჩუმ შრიალს.

სულები შეფარებოდნენ მთრთოლვარე ფოთლებს, უსხეულო, მკრთალი ლანდებივით ეძინათ ტოტებზე. სასაფლაოს ლოდებთან ჩამოცვივდნენ ფოთლები.

გობრონ აგარელის ნაცნობის კლავდია ზელინსკაიას საფლავს მიაკითხა. საფლავზე რიყის ქვებით ჯვარი იყო გამოსახული.

დადგა სიჩუმე როგორც კარავი, თავისი განუყრელი და უნაზესი და – სიჩუმე.

ხვალ ისევ დადგება დილა მტრედისფერი და ისევ გაყვება ქარში გასვენებას, სასაფლაოთა უძრავ, მშვიდ თავშესაფარზე.

სიკვდილის პანტომიმა

ეს იყო მოულოდნელი, ადვილი და უმტკივნეულო, ისე რომ თავადაც ვერ გაიგო, როგორ მოწყდა ამ სამყაროს ხიმინჯებს. თავისით აიხადა თავსარქველი და აღარ იყო ცნობიერი გონება. მაშინ იწყებოდა სხვა სამყარო, დროისა და სივრცის გარეშე. ჯერ იყო სინათლე, თვალისმომჭრელი ფოსფორიული სინათლე, შემდეგ ფერებ-ფერებით მოვიდა რბილი სიბნელე და უნაზესი წყვდიადი.

სიშორეებიდან გამოჩნდნენ სიკვდილის ანგელოზები, ჩასჭიდეს ხელები და აცეკვეს უწონად ჰაერში. კოსმიური სისწრაფით მიფრინავდა ხან ქვევით, უძირო უფსკრულისაკენ, ხან ზევით, უსაშველოდ მაღლა. ეს მხოლოდ იგი დაპატიჟეს სიკვდილის განუყრელ დებთან საცეკვაოდ ასეთ სიშორეზე, რომ მცირე ხნით მაინც განაცდევინონ სიკვდილის პოეტს სიკვდილის პოეზია. თეთრმა სუდარებმა გაშალეს ფრთები და აიტაცეს ისევ შორს, თვალმიუწვდენ სიმაღლეებზე. ისმოდა სიცილი ანგელოზთა და არ წყდებოდა თამაში სულთა. თეთრი გვირგვინი დაადგეს თავზე და სიკვდილის პოეტთა მეფედ დასვეს. აიჭრა ეთერში უთვალავი სული და თავდამხობილი მიეახლნენ უთეთრესი სპილოს ძვლის ტახტრევანზე. გაბრწყინდა თვალისმომჭრელი სითეთრე და იწყეს ფერხული ერთად.

მერე მოვიდა ვიღაც, ისევ დაახურა ქალასარქველი, დაუბრუნდა ცნობიერი გონება და სადღაც შორს დარჩა სიკვდილის მომნუსხველი ზეიმი.

ტირილი სიშორეზე

თოვლი დნებოდა გზებზე. გაზაფხულდა, მხოლოდ ფოთლები არ ჩანდნენ. ცაზე ყვავილივით ეკიდა ღრუბლის ნაჭრები.

იგი ალექსანდრეს ბაღში იჯდა, ჭადრების სიმყუდროვეში. წინ ეყარა ტალახით გასვრილი თოვლი.

ბაღში გერონტი ქიქოძე და ხარიტონ ვარდოშვილი შემოვიდნენ. ლირიკაზე გააბეს საუბარი. შემდეგ წავიდნენ. იგი დარჩა ბაღში.

გალაკტიონმა გამოიარა, ხელის აწევით მიესალმა, გვერდით მიუჯდა.

ქუჩის გაღმა, მოპირდაპირე სახლში ფანჯარა გაიღო. გაისმა როიალის ხმა, *ვით ფოთლების შრიალი.* ვიღაც უცნობი ქალი უკრავდა ბახის პატარა მენუეტს ანა-მაგდალენა ბახის ალბომიდან. იგი გარინდებული უსმენდა როიალს და *შორს ხედავდა რაღაც ცისფერს.*

- დიდებულია, – თქვა გალაკტიონმა – ისე წაგიყვანს ქარში, როგორც მოცარტი.

- სიშორეზე ტირის, – მიუგო ტერენტიმ. ასანთის კოლოფი ამოიღო ჯიბიდან, წერას შეუდგა.

როიალი უკრავდა ბაღის მახლობლად. იგი კი, კითხულობდა სადღაც შორს ვიღაცის ნაღველზე და არ იცოდა სანამდე გასტანდა ეს ფიქრი.

სიჩუმე ჩამოვარდა. შორს, სარკესთან უცნობი თითები ისევ უკრავდა როიალს.

ტერენტი უხმოდ წამოდგა და ჩაბნელებულ ბილიკს დაუყვა, მერე გადაუხვია და ღამის სიმრუმეს შეაფარა თავი.

უსახელო პოეტი

ცაზე მიფრინავდა ოთხი პროპელერი. ქუჩაში სეირის მაყურებელთა ტევა არ იყო. შორიდან რეკდნენ სიონის ზარები.

თამამშევის ქარვასლასთან გალაკტიონი შენიშნა. აწეული ჰქონდა საყელო. განმარტოებით იდგა, გულზე ჯვარედინად ხელებდაკრეფილი. ჩამავალ მზეს მიშტერებოდა. ახლოს ჩაუარა, ისე ახლოს, რომ სუნთქვასაც გაიგონებდი.

გზაზე ვიღაცამ მოაძახა: გალაკტიონის მიმბაძველიო.

ქარმა ფიქრები ისევ დაშალა.

- გრანელი, ძამიკო! – ხმა მოესმა.

უკან არ მიუხედავს, უჩუმრად დატოვა ქუჩა.

გალაკტიონმა ისევ დაიკრიფა ჯვარედინად ხელები გულზე, მიეყრდნო კედელს და არ იძვროდა ადგილიდან, დაისს გასცქეროდა.

ხეტიალის თავი არ ჰქონდა და პირდაპირ შინისკენ გაემართა. ოთახში გამოიკეტა.

რამდენიმე დღეში გალაკტიონმა თავად მიაკითხა ნახევრადმიწურ ბინაში. ოთახში ერთი ხის ტახტი იდგა და ერთი სკამი.

- სად დაიკარგე ძამიკო, მომენატრე, მიჭირს დიდხანს უშენობა – თქვა გალაკტიონმა.

იგი დიდხანს დუმდა, მერე წამოდგა და თავჩაღუნულმა ჩაიჩურჩულა:

- მეც მომენატრე, მაგრამ ისეთ რამეს მოგაკერებენ, შენთან გვერდით დგომაც აღარ მინდა.

გალაკტიონმა თავი გააქნია. ბავშვური ღიმილი გაუკრთა სახეზე.

- მასეა ძამიკო, ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

- ჩვენი გზები სხვადასხვაა, – მიუგო ტერენტიმ, – შენში მრავალი ხაზია, მე კი ერთი ხაზი მაქვს, ერთი გზა, მხოლოდ მესამე გზა.

- კი, ძამიკო, კი! – უპასუხა გალაკტიონმა, გაუღიმა და მხარზე ხელი დაჰკრა.

ბევრი იხეტიალეს ტფილისის ბულვარებში, რესტორნებში, ბაღებში. გზად თითქმის ყოველ დუქანში შედიოდნენ, თითო ჭიქა წითელ ღვინოს გადაკრავდნენ და მერე ბარბაცით გაუყვებოდნენ მთვარიან ქუჩებს.

ტერენტი გვერდიდან არ მოშორებია, არსად დაუტოვებია მარტოობის ორდენის კავალერი.

გამვლელები შორიდან იხდიდნენ ქუდს, ღიმილით ეგებებოდნენ გალაკტიონს, აჩერებდნენ, სთხოვდნენ ლექსს. მხოლოდ იგი შეიცნეს პოეტად. გალაკტიონიც აჰყვებოდა უცნობთ თუ ნაცნობთ. ავიწყდებოდა თანამგზავრი.

იგი კი რჩებოდა მტკვრის პირად – უსახელო პოეტი, ქუჩებისა და ბაღების ბინადარი.

“იგი ზეცისკენ მიდის”, – გაიფიქრა მან და მოშორებით დადგა, გალაკტიონის ირგვლივ შეკრულ თაყვანისმცემელთა წრეს მიაჩერდა.

ტფილისის ქუჩებში თანდათან წვებოდა საღამოს ცისფერი ბინდი.

დემონი და ანგელოზი

“ქოსების სარდაფში” შეიარეს, პუშკინის მოედანთან. ქოს ძმებს, სირაჯებს მუდამ ჰქონდათ წითელი ღვინო. სირაჯხანა დიდი იყო, მრავალგანყოფილებიანი. ვინ არ ირეოდა აქ: პოეტები, მხატვრები, ყარაჩოღელები, კინტოები, მედუქნეები. კვამლის ბურუსში გახვეულ სივიწროვეში, შუა ადგილას, ერთი დაბალი, განიერი ღვინის კასრი იდგა. ცარიელ სკამს რომ ვერ ნახავდნენ, შემოსხდებოდნენ ტაბურეტებზე და დილამდე სვამდნენ ღვინოს. საჭმელი არაფერი ჰქონდათ, ვინმე თუ მოისურვებდა, მახლობელ სალდათის ბაზარში გაუშვებდნენ ხელის ბიჭს და რაიმეს მოატანინებდნენ.

სარდაფში შესულთ ზურნის ხმა შემოესმათ. რუმბივით გაბერილი, ღიპიანი მეზურნეები უკრავდნენ ქალაქურ ჰანგებს.

კედელთან მიმდგარ პატარა კასრებზე ჩამოსხდნენ. გალაკტიონმა ქოსას უხმო.

- ერთი ლიტრა წითელი ღვინო ჩამოგვისხი, ძამიკო!

- პაჰ-პაჰ! წითელი კი არა, სწორედ რომ დათვის სისხლია, – მიუგო მედუქნემ.

- ჩვენც მაგიტომ გესტუმრეთ, ქოსა, ძამიკო!

- რამეს ხომ არ დააყოლებთ?

- მწვანილი, კიტრი და ბოლოკი.

- ახალი ჯიგრის ყაურმა გვაქვს, ხომ არ მიირთმევდით? – ღიმილით უთხრა მედუქნემ.

გალაკტიონმა ერთი გადმოხედა და მერე ორთავემ თავი გააქნიეს. არც არაფერი ჰქონდათ ჯიბეში, რომ ხელის ბიჭი გაეგზავნათ სალდათის ბაზარში. სირაჯმა მუხის კასრს თავი მოხადა, რეზინის მილს თავი შიგ ჩააყოფინა და ჩამოასხა. ხელის ბიჭმა თიხის ჯამები ჩამოარიგა კასრზე.

- ჩვენ პოეტები მზიდან ვეშვებით, და ვსვამთ ცეცხლიან აზარფეშებით მზის სადღეგრძელოს, – თქვა გალაკტიონმა და ერთმანეთს ჭიქები მიუჭახუნეს, სადღეგრელო შესვეს.

სვამდნენ წითელ ღვინოს და ნედლ ბოლოკს აყოლებდნენ, ერთი ჭიქა სირაჯსაც დაალევინეს. დალოცეს სილაჟვარდე და ვარდები სილაში, შეთვრნენ.

- გალაკტიონ, – თქვა ტერენტიმ, – შენში უფრო დემონი არის და ჩემში უფრო ანგელოზია, შენში უფრო მიწა ანათებს, და ჩემში უფრო ზეცის სხივია.

- კი ძამიკო, კი, – უპასუხა გალაკტიონმა, თვალები ეშმაკურად აუთამაშდა. ნელა დაცალა ჭიქა, წვეთები ლალის მძივად ჩამოეკიდნენ ნიკაპზე. შემდეგ ადგა და უკანმოუხედავად გავარდა სარდაფიდან.

- სატანაა, მაგრამ მაინც კარგია, – ჩაილაპარაკა ტერენტიმ, აწითლებული, წყლიანი თვალები გააყოლა და ღვინის სმა განაგრძო მარტო.

როგორც იესო

აღდგომა თენდებოდა ბატკნისფერი. კათალიკოსი უძღვებოდა სააღდგომო ლიტურგიას სიონის აჩირაღდნებულ ტაძარში. კანკელის წინ, კლიროსებთან მგალობლები გალობდნენ.

ზარები დაარისხეს. გაიღო აღსავლის კარები და მღვდელმთავარი, ქრისტეფორე III გამოვიდა ამბიონზე. პირჯვარი გამოისახა. აღდგომის დღესასწაული მიულოცა მრევლს.

კანკელზე ესვენა მაცხოვრის ხატი. არ წყდებოდა მლოცველების ქორალური გალობა.

იგი იდგა ყველას უკან, კარიბჭესთან, იქ, სადაც დგებოდნენ ცოდვილნი და კათაკმეველნი და *სასიკვდილო თეთრი ცრემლიდან იხედებოდა როგორც იესო.*

“ნელი სურვილი, შუაღამის თეთრი გოდება, ჩემი სავანე უდაბნოა და შეცოდება.”

დამთავრდა ლიტურგია. დაიხურა სამეუფო კარები. საყდარში თავმოყრილი ხალხი მოეფინა ქუჩებს.

პირჯვარი გადაისახა და გარეთ გამოვიდა. კიდევ კარგა ხანს მიჰყვებოდა საკმევლის სუნი და ლიტურგიის ხმა.

გასულიერებული ტაძარი ექოსავით გამოსცემდა მგალობელთა გალობას. საძირკველი მოშორებოდა ნესტიან მიწას. მაღლა, ჰაერში იდგა, უთეთრეს ღრუბლებს შეხიზნული. თეთრი მტრედები მოხვეოდნენ გარს, ანგელოზებად.

თეთრი, გრძელი პერანგი ეცვა. შუაზე გაყოფილი წაბლისფერი თმა მხრებამდე სცემდა. მთვარის შუქზე გუმბათივით უელავდა სახე.

თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო, მის დანახვაზე ყველამ ერთბაშად გაიწ-გამოიწიეს და გზა დაუთმეს.

არც გაუხედავს გვერდზე. თავჩაქინდული მიაპობდა შეჯგუფებულ ნაკადს და თავისთვის, ქადაგადქცეულივით ჩურჩულებდა იდუმალ სიტყვებს:

“მინდა ყველგან ვიყო როგორც ღმერთი”.

ცას ახედა. ქრისტე ყვავილებს ესროდა მთვარიდან.

მოხვალ და ვიცი, მომეფერები

იისფერი ზამბახები მიყვებოდა შპალერგაკრულ კედელს. მიიკლაკნებოდა იისფერი ზევით. მოვარაყებულ ჩარჩოში ქალის სურათი ეკიდა.

- მოგეწონა? – ოდნავ შესამჩნევი ღიმილით ჰკითხა მეგობარმა.

- ვინ არის?

- ისე მიშტერებიხარ რომ...

- ვინ არის?

- თამარ ჯაფარიძე. აქედან შორსაა, ძალიან შორს, – თქვა მეგობარმა.

- სად?

- კიევში.

ფეხი მოიკეცა სავარძელზე, თვალი არ მოუშორებია ზამბახებიან შპალერზე გაკრული სურათისთვის.

“შენ მოხვალ ჩემთან თეთრი ხელებით. მოხვალ დაღლილი, მეტყვი: როგორ ხარ? მოხვალ და ვიცი, მომეფერები.”

ისევ ათია ღამე.

უთენია ადგა, მუშტაიდის ბაღს მიაშურა.

”ღმერთო, მიშველე და მაპატიე, ეს აღტაცება და სიხარული”.

იმ დღიდან წერილებს სწერდა შორეულ ქალს, რომელსაც მხოლოდ სურათით იცნობდა. ქალმა შეიყვარა უცნობი პოეტი გამოვლილ ჭირთათვის, მანაც შეიყვარა მისთა ჭირთა თანაგრძნობისთვის.

“მე შენზე ვფიქრობ და თითქო გხედავ, ვფიქრობ და ისევ დღეა მზიანი. ძვირფასო! მოსვლა რად გაგიძნელდა, ძვირფასო! რისთვის დაიგვიანე”

შორი შორს

ახლაც შორეულ მეგობარს ველი,

რომელმაც ასე დაიგვიანა

ნაკადულზე ძველი ხის ხიდია გადებული. ქანაობს და ფშანზე შიშითაა სიარული. ირწევიან დაგრეხილი თოკები. თითქოს ბრუნავს, ტრიალია თავბრუდახვეული.

შორსაა, უსაშველოდ შორს...

იმ მთებს გაღმა უცნაური სიყვარულით თოვს.

ზღვაური ჩამოწვება და ვეღარ გავა ფონს.

აიშლება, გადაყვება მოლოდინის შფოთს.

ბაგირებს ქარი აქანავებს. შიშისაგან სუნთქვაშეკრული ძრწის. შიშინებს ამღვრეული ნაკადული. აკვანივით ირწევა გრძელი გზა.

ჯერაც არაფერი ჩანს.

აუტანელი ხდება მიახლოების წადილი. უფსკრულზე გადებულ ეშმაკის ხიდს მაინც გადაივლიდეს. დასრულდება გზა და აიარს ამ უსიერ მთას, გადაიარს კლდეს, ჩამოიარს ღრეს.

ღრუბლებს იქით უჩვეულო სიყვარულით წვიმს.

ამღვრეულ თვალებს მონატრების ცრემლები ცრის.

საცალფეხო ხიდზეა და ქარი სასიკვდილოდ ქრის.

მიდის, ქარაშოტია და მაინც გარბის... მოითავა გრეხილი მთები, გადმოიარა უსწორმასწორო გზები.

დასრულდა გადასალახი მღვიმე. გამოჩნდა ტიტველი, სწორი სივრცე.

ჯერაც არაფერი ჩანს.

ჰორიზონტს იქით მოლოდინის მწველი ჰაერი დგას.

სუნთქვას შეიკრავს და მიჰყვება დამანგრეველ ხმას.

დაგეშილი ძაღლივით გადაუვლის შეუცნობად გზას.

გამოჩნდება, უსათუოდ გამოჩნდება სადღაც რაღაც,

თუ არა და მწყურვალივით შეასკდება ცას.

შორსაა, თვალთუნახავად შორს.

ამ სამყაროს მიღმა, საოცნებო სიყვარული ჩანს.

დადგა აპრილი

დადგა აპრილი.

გაქრა აჩრდილი, მთელ წუთისოფელს რომ მოსდევდა. დაიწრიტა მოტმასნილი ნაღველი. წალასლასდნენ ნაავდრალი ღრუბლები.

მიმოიხედა და აღარ იყო ტკივილი.

დატრიალდა ბორბალი და ისევ მიუახლოვდა საწყისს.

დაუბრუნდა ისევ ისეთი, პირველყოფილი, აწ უკვე სასოთი გათანგული ღიმილი.

დადგა აპრილი. უჩვეულო ჟინითაა მთვრალი. მქრქალი და მბჟუტავი სინათლის ნაკვერჩხალი ღვივის. წივის მოსხლეტილი იმედის ნაფოტი. გაფოთებით ეჭიდება სითბოს მფრქვეველ ღერებს.

შეუბერე სული. ნაკვერჩხალი ხდება უფრო მეწამული.

სადღაა სუსხით განავსული სამყარო. წაიშალა რაღაც, აიშალა ღვარად. აწ უკვე აღარ აქვს წვიმას შხამიანი გემო. აირია ზემო, აირია ქვემო.

იცვალა ფერი და დადგა ფერიცვალება, მაგრამ ასე ადვილად ხომ არაფერი ხდება. ასე უნებურად არაფერი ქრება. იქნებ სიმთვრალის ბრალია ფერიცვალება. წაეხეტება სადმე და გონების დაკარგვამდე ნამთვრალევია.

დასრულდა? მაგრამ რაღა უყოს გალახულ წარსულს. სადღა წაიღოს შხამიანი ჟამი, აჩრდილივით რომ აეკიდა და ვერაფრით მოიშორა. იქნებ გზა აებნა და ამიტომ იბორიალა გვირაბთა ბნელ ლაბირინთებში.

იქნებ მხოლოდ აპრილის ბრალია სულის ასეთი ფერიცვალება. გადაივლის ეს არაჩვეულებრივი დროებაც და მერე?

ისევ დაბრუნდება სულის მწვალებელი აბლაბუდა. ისევ მარტოობა ექნება ერთადერთ დღესასწაულად. სასწაულად არც არაფერი მოეჩვენება. მოჩვენებანი დაიქსელება გაუკვეთავი ძაფებით და მერე აბნეული დაიბლანდება. გაინასკვება გათოკილი მოწამეობით. უგზოობით სადღაც ჩაიკარგება.

ახლა უჩვეულო ფერიცვალებით მთვრალია და აღარაფერი მოეკითხება. გათენდება დილა და მერე მოიკითხოს ეს გასაოცრად დამდგარი აპრილიც და უჩუმრად მოსული ბუნებრივი უბრალოება.

ისევ თუ მოენატრება მოჯადოებული საყუდელი. მაგრამ გზები გადაკეტილია. უკან ვეღარ მიუბრუნდება. უკანა კარები თავისდაუნებურად ჩაეკეტა.

დასრულდა მახრჩობელა გვირაბი. შმორის სუნიც სადღაც გაქრა. აღარც ნესტი წიწკნის ნერვებს. ეს ტალახიც რამ გააშრო? დადნა ცრემლების ყინულადქცეული ლოლუები. ახლა ყველგან თვალისმომჭრელი სინათლეა.

აღარ იცის რა უყოს განსაცვიფრებელ გარდასახვას. ალბათ დემონებმა მიატოვეს და მარტვილობის ძელიდან თავისდაუნებურად გარდამოეხსნა.

ახსნა სულთამხუთავი თოკების და გოლგოთიდან თავისუფალი ვარდნა, მიუსაფრობის ჯვარის მსხვრევა. აღარც ეკლიანი გვირგვინია საჩრდილობელი. გაუსაძლისი გვემის სისხლიანი ლურსმნებიც აიწყვიტა.

შერიგების წადილი. დადგა აპრილი.

მძიმე ჩემოდანი

ქალი კიევიდან ჩამოვიდა ტფილისში.

გრანელი სადგურში დახვდა თავის მეგობართან ერთად.

კარგა მოსაღამოვდა, როცა ცისფერი მატარებელი ჩამოდგა სადგურზე. უკვე დარეკეს მეორე ზარი. ვაგონები დაიცალა.

ქალი ჩამოვიდა ბოლო ვაგონიდან. მეგობარმა ანიშნა, ეს ქალიაო.

- რომელი?

- აგერ, ჩემოდნით.

- დიდი ჩემოდნით და ფუთით ხელში?

- ჰო, ეგაა თამარ ჯაფარიძე.

შეუმჩნევლად გაიხედა და...

ლიანდაგებზე ისმოდა ორთქმავლების ოხვრა. უხერხული დუმილი ჩამოვარდა. შეჰყურებდა და გრძნობდა როგორ კიდებდნენ სახრჩობელაზე.

„მე მწუხარე მშვენიერებას ველოდი, შენ კი – ჩემოდანი, ფუთა".

სადგურიდან უკანმოუხედავად გაიქცა.

ბრუნდებოდა უკან და თან მოათრევდა დამსხვრეულ ფრთებს, ჟამის უკან ზეცაში გაფრენას რომ უპირებდა. ბრუნდებოდა უკან და მოარღვევდა ნაცრისფერი ციდან გადმომსკდარი მიწისფერი რძის ზღვას.

ისევ ქარი დარჩა ბედის მხლებელი, ისევ ლაჟვარდოვან ცისკენ გააგზავნა სული.

ცა და სასრული მიწა

ცაზე ხეტიალით დაღლილი მთვარე ნამთვრალევი ქალივით მიბარბაცებდა შინისკენ. არტოს ბაღში თენდებოდა ჭლექიან ფერებით. ფოთლები ცვიოდა ჭადრის ხეებს და მეეზოვე გვიდა სავალ ბილიკებს. ზვინებად შექუჩულ ფოთლებს კვამლის სუნი ასდიოდა.

გრძელ, ჩამტვრეულ სკამზე ეძინა. მეეზოვის ცოცხის ხმაზე გამოეღვიძა. სიცივისაგან ძვლები ტეხდა და ტკიოდა. თვალები მოიფშვნიტა, სხივების მწველი სითბო იგრძნო, თითქოს ამ დილასთან ერთად ისიც ხელახლა იშვა.

დამჭკნარი ფოთლები ჩამოიბერტყა ტილოს პერანგიდან. ზლაზვნით წამოდგა, ფოთლების ზვინს გადააბიჯა. სისველე იგრძნო გახსნილი ქალამნიდან გამოსულ თითებზე. ხმელი ფოთლები პეშვით აიღო, უბეში ჩაიყარა.

ლანჩაგამოვარდნილი ჩუსტის თასმის შესაკრავად დაიხარა, თავი მიაბრუნა მეეზოვისკენ. მეეზოვე გრძელტარიან ცოცხზე ხელდაყრდნობილი მოშტერებოდა. თვალებში თანაგრძნობა ამოიკითხა, ალბათ უპოვარი გლახა, ან მათხოვარი ეგონა.

მოდიოდა შრიალით, თანამგზავრი მკვდარი ფოთლების, სიკვდილის მჭკნარი, გამომშრალი თვალები მოაცილებდნენ.

ფოთლები წყდებოდნენ ტოტებს, ცვიოდნენ ფარფატით, ნელა წვებოდნენ ცივ მიწაზე.

ამოვარდა ქარი, უკან შემოაბერტყა უთვალავი ჩუმი სიკვდილი.

მიხეილის ქუჩაზე გაუხვია. შიოდა, მერამდენე დღეა მშიერ-მწყურვალი დაეხეტება. ფოთლები დაყრილ გვამებად ეჩვენება.

თვალწინ წარმოუდგა სოფლის ოდა, მომლოდინე ზოზია, შარაგზა, სადღაც ურემი მიდის ჭრიალით, სოფელი დუმს, ახლოს გაისმის მამლის ყივილი.

გარშემო არავინ იყო. ქუჩა ჯერ კიდევ ცარიელი ჩანდა. ეტლმა ჩაუარა ელექტროთეატრ აპოლოს. კოფოზე ნახევრადმთვლემარე მეეტლე იჯდა. მაშოს ბინამდე შორი გზა იდო, მაგრამ ჯიბეში კაპიკიანიც არ მოეძებნებოდა. თავი გააქნია და ისევ ფეხით გაუყვა მიხეილის ქუჩას.

მაშოს ბინაზე ასასვლელ რიკულებიან კიბეს რომ შეუდგა, ღონე მთლად მიეხადა. ეშინოდა, შინ არ დამხვდებაო.

ზარს თითი დააჭირა. კარები არავინ გაუღო. მერე ისევ დააჭირა ზარს თითი. ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. უკან გამობრუნდა, შენობას ქუჩიდან შემოუარა და მაშოს ფანჯარას გახედა. ფანჯარა მაგრად იყო ჩაკეტილი. ისევ ეზოში შემოვიდა.

“სად უნდა წასულიყო ამ დილაადრიან?”

“ხომ არაფერი შეემთხვა?”

მეზობლის ზარის ღილაკს თითი მიაჭირა.

კარი გაიღო. მოხუცმა ქალმა გამოხედა და უცხოს ცნობისმოყვარე თვალები მიანათა.

- ვინ გნებავთ?

- მაშოს ნახვა მინდოდა.

- თქვენ მაშოს ძმა ბრძანდებით? – ჰკითხა ქალმა და თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა.

-დიახ, – უპასუხა მან.

მაშო სოფელში წავიდა ზოზიასთან.

- სოფელში? – თავს ძლივს იკავებდა, თითქოს ფეხები მოეკვეცა.

- რა, არ იცოდით? თვეზე მეტია რაც წავიდა.

- არა, არაფერი ვიცოდი.

ერთხანს კიდევ ჩუმად იდგა ფიქრში წასული. შემდეგ ხელი ჩაიქნია და კიბეზე დუნე ნაბიჯებით ჩავიდა.

“ჰქრიან წამები ისევ წვალების, დაო, ჩამოდი, თუ ისევ იქ ხარ”, – თითქმის ხმამაღლა უთხრა თავის თავს.

მერე სადღაც იჯდა. დადიოდნენ დაღლილი ქალები. ვიღაც დაჟინებით ფიქრობდა დაკარგულ ადამიანზე. ქუჩის ბოლოს ვიღაც ადამიანმა თვალი დახუჭა და თქვა: “ვაიმე”.

საღამოხანს, იზმაილოვის დაღმართზე ჩასვლისას აფხრეწილ ქალამანს ლანჩი გაძვრა. ფეხისკვრით შორს მოისროლა დახეული ფეხსაცმელი.

ფეხშიშველი დაუყვა რიყის ქვებით მოკირწყლულ შარას. ახლა უკვე აღარაფერზე არ ფიქრობდა, გათენებამდე კიდევ დიდი ხანი იყო და არ იცოდა საით წასულიყო. ირგვლივ ცა იყო და სასრული მიწა.

მიეც გლახაკთა

დაიწყო შემოდგომის სუსხიანი ქარები. გაფუჭდა ამინდი.

ერთი მაზარაღა შერჩენოდა. ისე გაეცვითა ქარსა და წვიმას, ყინვისგან ვერ დაიფარავდა.

მკვდარი ფოთლები მალავდნენ მოყინულ ქუჩებს. ისევ უხმობდნენ უმიზნო ხეტიალისთვის.

პუშკინის სკვერისკენ გაუხვია. ჭადრის ქვეშ, სკამზე, თავისუფალი ადგილი დაიკავა.

გვერდით ორნი ისხდნენ. ერთს დილის გაზეთი ეყიდა და კითხულობდა. მეორე უდარდელად იჯდა, კრიალოსანს ათამაშებდა და გამვლელებს ათვალიერებდა.

რუსთაველზე წამოიწყო ლაპარაკი. გვერდით მსხდომნიც აყვნენ. გაკვირვებით უსმენდნენ დახეულმაზარიანი კაცის მსჯელობას რუსთაველის პოეტიკაზე.

- ცოტა ფულს ხომ არ მასესხებდით? – უთხრა მან ახალგაზრდას.

- რა ბრძანეთ?

- ფული მჭირდება, სულ რაღაც სამი დღით.

- რამდენი გნებავთ?

- ორი მანეთი.

ახალგაზრდამ ჯიბეში ჩაიყო ხელი. ეტყობოდა ორჭოფობდა, ფულს გასაცემად ვერ იმეტებდა.

- აქ, თბილისში, ძმასთან ჩამოვედი სტუმრად. აბა საიდან მექნება ამდენი თანხა?

- ფულს სამ დღეში დაგიბრუნებთ. სახელგამი დამპირდა, ლექსების კრებულისთვის ჰონორარს წინდაწინ მოგცემო.

- ჰონორარს?

- ჰო, ჩემი ახალი ლექსების კრებული გამოვა მალე.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ახალგაზრდამ თანაგრძნობით შემოხედა, მაგრამ უკვე გვიან იყო. უარი ჰქონდა ნათქვამი და ახლა რომ მიეცა, საკუთარ თავს გასცემდა. სინანულით გააქნია თავი.

იგი სკამიდან წამოდგა და ფეხარევით გაუხვია სასახლის ქუჩისკენ. სურდა არაფერზე არ ეფიქრა. დაღამებამდე როგორმე გაძლებს. მერე იხეტიალებს ღამის ქუჩებში და გათენებისას სადმე ჩაეძინება.

- იცით, ვინ იყო? – უთხრა ყმაწვილს გვერდით მჯდარმა კაცმა, კრიალოსანს რომ ათამაშებდა.

- საიდან უნდა ვიცოდე? პირველად ვხედავ.

- გრანელი თუ გაგიგონიათ?

- ტერენტი?! სულიდან საფლავები?

ფოთლები იმტვრეოდნენ ფეხქვეშ, დახეულ მაზარაში სიცივე ატანდა, მაინც ღირსეულად მიდიოდა.

- ეჰ, სულ მარტო დარჩა.

- ბინა თუ აქვს სადმე?

- ქუჩაა მისი ბინა, ან სასაფლაო.

თ. ჯ.-ძეს

ისევ მიაკითხა თამარა ჯაფარიძის სახლს ოლგას ქუჩაზე. მას შემდეგ რაც სადგურზე შეხვედრას თავი აარიდა და დაემალა, ხშირად ამოდიოდა ამ სახლთან. საღამოობით დადგებოდა ქუჩის მეორე მხარეს, სხვა შენობას ამოფარებული და უცქერდა ღიად დატოვებულ ფანჯრებს იქით იმ სახეს, რომელზეც ასე დიდხანს ფიქრობდა.

რაფაზე თუჯის მწვანე საყვავილე იდგა თეთრი მაგნოლიით. იქვე შავი კატა იწვა და მზეზე თბებოდა. ოთახიდან მოისმოდა ქალების მხიარული საუბარი და სიცილი. საკუთარი ლექსების პწკარედებს მოჰკრა ყური. ისევ ხმამაღალი სიცილი.

- ამბობენ ხილვები აქვსო! – თქვა ერთმა.

- შენი ხილვაც ალბათ ასე მოევლინა შორიდან, ჩემო თამარა.

- მერე მიწვდა ჩვენს თამარასაც პოეტის შორეული ხილვა და ჩამოვიდა კიევიდან.

- რამ ჩამოგიყვანა ქალო მაგ სიშორიდან?!

- ახლა ეს გრძნობა უფრო მეტია. ახლა ქარები არხევენ ტირიფს.

სინანული იგრძნო რომ ამდენ ხანს ვერ გაიცნო. ჩათვალა, რომ უნდა ასულიყო და ბოდიში მოეხადა. აჩქარებით აუყვა კიბეებს. კარზე დააკაკუნა. ოთახში მხიარული საუბარი და სიცილი უცბად შეწყდა. კარი გაიღო და ვიღაც უცნობმა ქალმა გამოიხედა.

- ვინ გნებავთ? – იკითხა ქალმა.

- მე ვარ ტერენტი გრანელი!

- შემობრძანდით.

კარები ფართოდ გააღო და ოთახში შევიდა, მაგრამ მისდა გასაოცრად იქ არავინ დახვდა.

- თამარი სად არის?

- თამარი? – კითხვითვე უპასუხა ქალმა და ირგვლივ მიმოავლო გაკვირვებული თვალები. ეტყობა ისიც არ ელოდა ამას. ვერ გარკვეულიყო, თამარი რისთვის დაემალა.

მეორე ოთახიდან მოისმა ქალების აჩქარებული სუნთქვა, შეკავებული სიცილის ხმა.

- თამარი შინ არ გახლავთ, – თქვა ქალმა დუმილის შემდეგ.

გარეთ რომ გამოვიდა უკვე შეღამებულიყო. მარტო დაუყვა ვერის ბაღისკენ მიმავალ უკაცრიელ ქუჩას. ვარსკვლავები მიაციელებდნენ ჩამობნელებულ გზაზე როგორც ათასი მფარველი თვალი.

მთვარის სონატა

თამარ ეგაძეს

გლიცინიების ბებერი, დაგრეხილი ხე ფარავდა სახლს ელისაბედის ქუჩაზე. ისე მაღლა ასულიყვნენ ცის ვაზები, რომ მეორე სართულის სახურავს წვდებოდნენ, იისფერ მტევნებად ეკიდნენ დაბზარულ კედლებზე.

დილაადრიან ფანჯრები იღებოდა და როიალის ხმები ისმოდა ფოთლებში ჩამალული ფანჯრებიდან. ისე მიეჩვია ამ გლიცინიების სახლს, რომ ყოველ დღე მოდიოდა, ფანჯრებს ქვეშ ხეს ამოეფარებოდა და როიალს უსმენდა.

ქალი კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტი იყო. არც ერთმა არ იცოდა ერთმანეთის სახელი, არც შეხვედრიან სადმე, უბრალოდ გრძნობდნენ რომ ორივეს უყვარდათ მუსიკა და პოეზია. ასე გაგრძელდა შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული...

ერთ დილას ფანჯრები დაკეტილი დაუხვდა, როიალიც დადუმებულიყო.

მოულოდნელად გარდაცვლილიყო თამარ.

მეორე დილით ისევ იმავე დროს მოვიდა როგორც ჩვეოდა და გლიცინიების დაგრეხილ ხესთან დადგა. ფანჯრები დაკეტილი იყო. არ ისმოდა მუსიკა, სიჩუმე იდგა როგორც ეგვიპტური ღამეები.

დაუბერა დილის ნიავმა და წამოიშალნენ, სხვადასხვა ხმაზე აშრიალდნენ იისფერი გლიცინიები. ნიავი უკრავდა გლიცინიების სონატას.

გაიღიმე

“მე ვინატრებდი წითლად შეღებილ მდელოებს,

ლურჯად შეღებილ ხეებს”

შარლ ბოდლერი

ხოჯივანქის სასაფლაოზე გაათია ღამე. ნესტიანი მთვარით გაშავებულს მზე წამოეწია და ქარებს ჩამოჰყვა ქვევით. ხეტიალი გააგრძელა ისე როგორც გაყურსულ ცაზე ტალებიანი მთვარე.

მოიქანცა ღამის თენებით. ახლა ქვეყანაზე არ სურდა არაფერი, არ სურდა არაფერი, გარდა მოსვენების.

“წავალ სახელგამში, ჩემს კუთვნილ პაპიროსს მაინც წამოვიღებ, თორემ დავრჩები უპაპიროსოდ”, – გაიფიქრა მან და რუსთაველის მოკირწყლულ გზას გაუყვა. სურსათის ნაკლებობის გამო მწერლებს პაპიროსის ყიდვა მხოლოდ სახელგამში შეეძლოთ, ისიც წინდაწინ შედგენილი სიით. ბაზარში ცეცხლის ფასად თუ იშოვიდი თამბაქოს, ამიტომ ყველა ცდილობდა, მისი კუთვნილი ნორმა არ დაჰკარგვოდა.

ოპერის წინ, სახელგამის შენობას რომ მიუახლოვდა, ხალხმრავლობა შენიშნა. ფუტურისტებს და ცისფერყანწელებს, ამ დროების კაპულეტტისა და მონტეკის გაემართათ პოეტური შეჯიბრი.

- სჯობს სიფხიზლესა ნაზრახსა, სიმთვრალე სახელოვანი, – გაჰყვიროდა სახლის სახურავზე ამძვრალი ცისფერყანწელი.

- სიცილაურნო ამოსიცილდით, სიცილაურნო გადასიცილდით, რომ იცინით სიცილრად ჰოდა, ჩაისიცილეთ, მცინავო, მცინარე სიცილარებით, – მოპირდაპირე

სახლის სახურავიდან პასუხობდა ფუტურისტი. უკუღმა ჩაცმულ კოსტუმზე ჰალსტუხი უფრიალებდა და ხელნაწერ ქაღალდებს ყრიდა.

ქუჩაში ხალხი ირეოდა. გამვლელები ღიმილით ჩერდებოდნენ, ზოგი აღფრთოვანებული ტაშისკვრით, ზოგი კი აღშფოთებული შეძახილებით პასუხობდნენ თავზეხელაღებულ პოეტებს.

“ამათ ნიღბები აქვთ, პულჩინელას და პიეროს ნიღბები, – გაიფიქრა მან და შორიახლო დადგა, – არ მინდოდა ნიღაბი, დარდი მქონდა ისედაც. ეს თეთრი ცრემლები და გლოვა ჩემია.”

ვიღაცა საუბრობდა “არიფიონზე”, მეორე უმტკიცებდა რაღაცას. ერთმა პოეტმა ქალმა, ლოყაზე ზეთის საღებავით წითელი მიხაკი რომ ჰქონდა მიხატული, იცნო და ყველას გასაგონად ხმამაღლა შესძახა:

- გრანელი, ისე მოდის, გეგონება კუკიის სასაფლაო მოჰქონდეს ზურგით.

- გამარჯობა! ტერენტი, სად დაიკარგე! – პაოლოს ხმა შემოესმა. საღილეს სისხლისფერი მიხაკი უმშვენებდა.

პაოლოს რომ ახედა, ჩაცვენილ თვალებზე ნაძალადევი ღიმილი აუთამაშდა. უსიტყვოდ მოარიდა მზერა.

მიესალმა იქ მდგომთ. ვიღაცამ სცადა გამოხუმრება, არავინ არ აჰყვა და გაჩუმდნენ.

- გაიღიმე! – მშვიდი ხმით უთხრა პაოლომ, მკლავში გამოსდო ხელი.

სამგლოვიარო ზარივით ჩაესმა ყურში. მცირე ხანს თავდახრილი იდგა. თითქოს გული გაქვავებოდა ყველაფერზე, მქრქალი, უსიცოცხლო თვალებით შემოხედა, გულუბრყვილო გაღიმებით უპასუხა:

- რა ვქნა, მომდევს ამნაირი სევდა, სევდა უფრო მარადიულ სახის.

- ამნაირ სევდას ჩვენ წითელი მიხაკებით ვფარავთ!

- თეატრალური მანტია, არტისტული, ჭრელი ქაღალდის ნიღბები: პიერო, კოლომბინა, ლოტრეამონის მალდოროორი.

- შენ გგონია შეგნებულად ვჯამბაზობთ? – თქვა პაოლომ, მკლავში ჩაავლო ხელი, – მოდი ჩვენთან, შემოგვიერთდი. აქ წითელი მიხაკების ზეიმია.

- ამ მასკარადზე? – კითხვით უპასუხა ტერენტიმ, – მე არა ვარ სხვებთან, მიხარია ეს ობლობა დღესაც.

- ჭეშმარიტი ლირიკა ნიღაბაფარებული და ამიტომ შეუცნობადია! ეს ხომ საიდუმლო რიტუალია. ნიღაბს ჩვენი ძმადნაფიცი დიონისოც იფარავდა. გაიღიმე, ტერენტი! ტატოს მერანი უკვე დაიღალა ორმოცდაათი წლის ჭენებით, ახლა ის ბებერი, ტყავგამხმარი და ფერდებჩაცვენილი ჭაკი ცხენია, და ვიღას გააკვირვებს? მისი უნაგირი ჩიმჩმა დახრა, და მხედარიც ხერხემალმოღუნული, უკანასკნელ დასვენებას ელოდება. “ქართვლის დედას” ძუძუები დაუშრა, ისინი ჰკიდიან გალურჯებულ გულის ტყავზე, როგორც ორი რკინის ლაფათქა, და ბავშვებს ეშინიათ მათი მოფერებაც კი. საიდუმლო ბარათს ჩვენი საუკუნე აღარ უპასუხებს.

- ჩემი უნაზესი და – სიჩუმე! – უპასუხა მან და ცაციათი მკერდზე მიიხუტა იები. განაგრძო გზა.

- ნეტა საითკენ მიდის? – იკითხა ლოყადახატულმა ქალმა.

- სიჩუმესთან, სასაფლაოზე – ჩაილაპარაკა პაოლომ და სინანულით გააქნია თავი, ნაღვლიანი მზერა გააყოლა.

პატარა ჯვარცმა

ავლაბარში, ღვინის აღმართთან, მათხოვარი აეკიდა. ხმამაღლა იცინოდა და რაღაცას ეძახდა. გაცვეთილი მაზარის საყელო აიწია, მაგრამ როცა ხმა ისევ მოესმა, უნებურად უკან შემობრუნდა. მათხოვარმა ქუდი მოუხადა, როგორც ძველ ნაცნობს.

შუბლზე ხელი აისვა. ხმა არ გაუღია, ისე გადავიდა ტროტუარის მეორე მხარეს. რიყის ქვით მოკირწყლულ დაღმართს დაუყვა. ეტლმა ჩამოიარა და მტვერი მოაყარა. დუქნებთან იდგნენ მიკიტნები.

“ტაჩიტ ნაჟინოჟნიცი”, – გაჰყვიროდნენ მლესავები, ქუჩაში გამოეტანათ სალესი მანქანა და ფეხით ატრიალებდნენ ბორბალს. ღვედი ამოძრავებდა სალეს ქვას, დანებს კი ნაპერწკალი სცვიოდა.

ვერის ბაღისკენ მიეჩქარებოდა, სადაც ნინო დადიანი, შალვა დადიანის ძმისწული ეგულებოდა. დადიანები იქვე, ბაღის განაპირას ცხოვრობდნენ.

ნინო იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიასთან, სკამზე ჩამომჯდარიყო და თავჩაქინდრული წიგნს ჩასჩერებოდა.

- მე ვიცი, თქვენ რომ ბატონ შალვა დადიანის ძმისწული ხართ.

- საიდან იცით?

- დიდი ხანია, შორიდან გიცნობთ. უფრო მეტიც, რაც გაგიცანით, ჩემი შთაგონების წყარო გახდით. თქვენს გამო ყოველ დღე დავიარები ამ ბაღში და ვწერ ლექსებს. არ გჯერათ? – უთხრა მან და რამდენიმე ხელნაწერი ლექსი გაუწოდა, – წაიკითხეთ და ამოირჩიეთ რომელიც მოგეწონებათ.

“მიდიხარ სადღაც, ივიწყებ დედას, მიდიხარ სადღაც და ბედი გღუპავს. და შენ ყოველთვის ფანჯრიდან ხედავ მაღალ სამრეკლოს და ცისფერ გუმბათს. გიყვარს ზაფხულის ჩუმი ტაროსი, როცა ღრუბლები ცაზე ქრებიან. შენს ფანჯარასთან დგას

კვიპაროსი, შენს ფანჯარასთან საფლავებია. შენ გიყვარს ცაზე მთვარის რონინი, გინდა, ქვეყანა რომ გეუცხოვოს. და განდგომილი მონაზონივით შენ ეკლესიის ეზოში ცხოვრობ”.

შალვა დადიანი შემოვიდა ბაღში, დისწულს მოუხმო. ხელში წიგნები და მთელი დასტა გაზეთები ეჭირა.

- ტერენტი! – უთხრა შალვამ – წამოდი, ჩემთან ავიდეთ.

- ახლა არა, ბატონო შალვა! სხვა დროს.

- წამოდი, წამოდი, კაი ღვინო მაქვს.

- არა, მეჩქარება.

- გეჩქარება?! – უთხრა შალვამ და დაფლეთილი კალოშებიდან გამოვარდნილ შიშველ თითებს მიაშტერდა. სიბრალულით აათვალიერა ღილებშეხსნილი, დაძონძილი ხალათი, რომლის შიგნით ტილოს პერანგის მეტი არაფერი ემოსა.

- არ გცივა? – ჰკითხა შალვამ.

- არა, გადავეჩვიე, – უპასუხა მან. გაუპარსავ, სიცივისაგან გალურჯებულ სახეზე ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა.

- ჩაიცვი ყმაწვილო, ჩაიცვი!

პასუხად მხრები აიჩეჩა. თვალი აარიდა. მაგრამ როცა დაჟინებული მზერა იგრძნო, მანაც შეხედა და გაუღიმა.

ერთხანს ასე უსიტყვოდ იდგნენ.

- შენ სიღატაკეს არ იცნობ ალბათ, რომელიც არის პატარა ჯვარცმა, – ჩაილაპარაკა მან.

- რა?

- არა, არაფერი, – უპასუხა მან და ვერის დაღმართისკენ გაემართა. ცოტა რომ გაიარა, ნახევრად შემობრუნდა, ნინოს შორიდან შემოხედა და ისევ განაგრძო გზა, ვიწრო ჩიხში ჩამწკრივებულ დუქნებთან გაუჩინარდა.

“ალბათ, გულწრფელად სჯეროდა შალვა დადიანს, თითქო მქონდა და არ ვიცვამდი, თითქოს მქონდა და მშიერი დავიარებოდი. მაგრამ ეს ხომ ჩემთვის ყოველთვის პატარა ჯვარცმა იყო, პატარა და ყოვლად უმნიშვნელო. დიდი ჯვარცმა – მარად პოეზია იყო ჩემთვის, იყო და იქნება”, – ფიქრობდა იგი.

ცა მოიღრუბლა. იმ დღეს იმდენი იხეტიალა, უკვე დაღლილი შეხვდა საღამოს.

ფანჯრებს მიღმა, შორს, მამადავითის იისფერ ცაზე მთვარე განდგომილი მონაზონივით მირონინობდა. მწუხარე ნათელი ადგა ეკლესიის გუმბათს.

ის დროა, როცა ბინდია

ქაშუეთის ეკლესიიდან გამოსულმა კეცხოველის ქუჩაზე, საჯარო ბიბლიოთეკისკენ გაუხვია. ხელში დაკეცილი, უყდო რვეული ეჭირა. ყელიანი ფეხსაცმლები ეცვა, ზონარდაწყვეტილი და ღვინისფერი, გახუნებული პალტო. ქუდს არ ატარებდა.

ღია სარკმლიდან ხმაური შემოესმა. ვიღაც ხმამაღლა კითხულობდა მის ლექსებს.

- მე, ჩუმი, მივყვები ლანდების ასეულს, ღამე უდაბნოა, ვნება კოშმარია.

ნაბიჯი შეანელა და ფანჯრის რაფაზე ჩამოდო თავი, ყური მიუგდო ხმას. ხუთნი იყვნენ, სოფლიდან ჩამოსულებს ოთახი ექირავებინათ, საუნივერსიტეტოდ ემზადებოდნენ.

- დავდივარ ღამით, და მე ვარ თოვლი, და მე ვარ ნისლი, და მე ვარ წვიმა.

იგი გარეთ იდგა და მოაჯირს ამოფარებული უსმენდა საუბარში გართულ ახალგაზრდებს.

“აქ სხვანაირი სიზმრები იციან”, – გაიფიქრა მან და სარკმელთან დადგა:

- ქუჩაში მცხოვრებს და სახლიდან გაქცეულს, შემინდე, შემინდე, წმინდაო მარიამ!

ახალგაზრდებს მანამდე მხოლოდ მისი სურათი ჰქონდათ ნანახი. იცნეს და შიგნით შეიპატიჟეს.

- იმდენი იძახე გრანელი, აგერ, თავისი ფეხით მოგივიდა ძმაო და რა გვიჭირს ახლა!

- გაისმის რეკა. ახლო მთებია, რა ვქნა რომ ყველგან ნაცნობებია, – ოთახიდან შეეხმიანა ყმაწვილი.

- უფრო ვნაღვლობდი, მქონდა იარა. ქარმა მაღლობი გადაიარა, – თქვა ტერენტიმ და სარკმლიდან პირდაპირ ოთახში გადმოხტა.

სინანული იგრძნო, რომ ვერ აისრულა ბავშვობის სურვილი: სწავლა გაეგრძელებინა, გამხდარიყო სტუდენტი; იმედები ვერ გაუმართლა ვერც მამას და ვერც თავის მოძღვარს, იაკობ შანავას.

- ვერაფერში ვერ გამოვდექი, ვერაფერს ვერ დავუდე გული, – ჩაილაპარაკა მან და კედელთან მიდგმულ პატარა მაგიდაზე დახვავებულ რვეულებს და წიგნებს მიაჩერდა, – კარგია რომ სწავლობთ.

სიჩუმე ჩამოვარდა, დიდხანს ხმა არავის გაუღია. ხელი გულზე დაიდო, სევდიანი თვალები მიაპყრო ცივ ფანჯარას და ჩურჩულით თქვა:

- ვიყო ასე დარჩენილი გარეთ, ქუჩა იყოს სამუდამო ღამე.

უკვე გვიან იყო. შუაღამე უკაკუნებდა ფანჯრებს.

- ის დროა, როცა ბინდია, ის დროა, როცა ღამდება, – თქვა მან, – სადღაც კიბის ქვეშ ღამის გათევას ისევ თქვენთან მირჩევნია.

იმ ღამეს იქ დარჩა, თითქოს თვითონ იყო ერთი იმ სტუდენტთაგანი, არც სურდა სხვაგან წასვლა, რადგან შემთხვევით გაცნობილმა ახალგაზრდებმა თავისი სიზმრები ასე ცხადად მოუყვეს.

პალტო გაიხადა, ფეხსაცმლებით მიწვა საწოლზე და მაშინვე ჩაეძინა სევდის ლურჯი ოდებით. სიზმრად იაკობ შანავა გამოეცხადა, ძველი, გაცრეცილი წიგნებით.

- აჰა, ტერენტი, ჩემი ბიბლიოთეკიდან ჩამოგიტანე წიგნი.

- მე რომ არსად ვსწავლობ? არაფერი გამომივიდა, – უპასუხა მან და თავდახრილი, დამნაშავესავით იდგა, – სოფელში დავრჩენილიყავი, მამას მაინც გამოვადგებოდი.

- მაგაზე ნუ იფიქრებ, ტერენტი! სოფელში მეწაღედ ყოფნას, ისევ შენი პოეტობა მირჩევნია, – მიუგო შანავამ და თავზე დაადო ხელი.

- ასეთ დროში არავის სჭირდება ჩემნაირი პოეტები. უკვე ლექსებსაც აღარ მიბეჭდავენ, რომ რითიმე ვირჩინო თავი.

- გშია, ტერენტი? აჰა, გამომართვი მწიფე ვაშლები, ჩემი ეზოსია, გახსოვს, ჩემს ოთახში წიგნებს რომ კითხულობდი, მწიფე ვაშლები გიყურებდნენ სარკმლიდან.

უთენია გამოეღვიძა.

დილა გათენდა ჩუმი და ოცნებები დაიმსხვრა მრავალ ლანდებად. ფრთხილად გამოაღო სარკმელი, რაფაზე გადაძვრა და უჩუმრად გაიპარა.

გზა იდო სწორი, პირდაპირი. სევდას ჰგვრიდა ეს მოუტეხავი სისწორე.

მერე წამოვიდა მშხეპრი წვიმა. მთელი დღე წვიმდა. ხეებს სველი ფოთლები სცვიოდა. მიაბიჯებდა წვიმაში ლექსების ჩურჩულით და კისერში წყალი ჩასდიოდა.

პეტრე-პავლეს ეკლესიაში, კვირის წირვას შეაფარა თავი.

ჯვარებთან გაივლის ფარული ვედრება, წირვებით წაიღებს წამების მწვერვალი.

რა მიხსნის?!

იდგა დეკემბრის ქარი და ნისლი. “ზარია ვოსტოკას” სარკმელთან ნისლიან ბურუსს გაჰყურებდა. რომელიღაც ლექსის სტრიქონებს იხსენებდა და თვალწინ სოფლის ჯანღიანი გარიჟრაჟი წარმოუდგა.

სადარბაზოს კარი გაიღო, პაოლო და კოლია ვერჟბიცკი შემოვიდნენ. მათ მძიმე, აუჩქარებელი სიარულით შემოჰყვა ტიციანი. პაოლოს სახე გაფითრებოდა, ხელები ჩაეწყო ლურჯი სატინის ტოლსტოვკაში. ტიციანს შუბლზე ჩამოშლოდა წაბლისფერი თმა. სევდა ჩადგომოდა ფართო, ჭრელ თვალებში. გულზე აღარ ეკეთა თავისი განუყრელი წითელი მიხაკი.

- საცოდავი ესენინი, – ნაღვლიანად თავი გააქნია ტიციანმა, თავისებურად მოკუმა ტუჩები.

- აბა, იფიქრებდა კაცი?

- ბავშვივით იყო, გაუხედნავი კვიცივით.

- რამდენი ღამე გვიტეხია მასთან ერთად ტფილისის ქუჩებში, – თქვა პაოლომ, – გახსოვს ჩოფურაშვილის დუქანში ქეიფი, მუხრანული თეთრი ღვინო?

- ხაშის ადუღებულ ქვაბში გაფრინდაშვილს კეპკა რომ ჩაუგდე? – უთხრა ღიმილით ტიციანმა.

- ჰო, რა მოილხინა!?

- კოვზით ურევდა მოხარშულ კეპკას და სიცილით იჭაჭებოდა.

- მაგარი იყო!, ეჰ!

ტიციანმა სიგარეტი ამოიღო. გააბოლა. იშვიათად გრძელ, დათლილ თითებსაც გადასდებოდა აღელვება.

- ჩვენი ორდენის ძმა იყო, ოქროსხუჭუჭა სერიოჟა, – თქვა მან.

- იცი, ერთხელ თოფის ყიდვას აპირებდა, საინგილოს ტყეში ტახებზე სანადიროდ. მოსკოვიდან წერილი მოიწერა, რა ნომერი თოფი ვიყიდოო.

- აქ, ტფილისში ჩამოსულიყო, იქნებ გადაეფიქრებინა, – თქვა ტიციანმა მისთვის ჩვეული, ოდნავ დაგუბებული ხმით.

- ერთხელ გოგლა გაიწვია დუელში. ჭკუას კარგავდა დუელზე, – მიუგო პაოლომ.

- ალბათ ეხუმრა?!

- ცარიელი ტყვიებით წავიდეთო კოჯრის ქუჩაზე, ქალაქის გარეუბანში. მეორე დღეს გაზეთები დაბეჭდავენ და ყველა ამაზე ილაპარაკებსო.

- მაინც რამ მოაფიქრებინა თვითმკვლელობა?

- დრო!

- დალახვროს ეშმაკმა ასეთი დრო!

იქვე, ზურგშექცევით იდგა ნამიან სარკმელთან, მკერდში რაღაც სჩხვლეტდა. ხმა არ გაუღია, ბარბაცით, კედელ-კედელ ჩაუყვა კიბეებს. ეგონა, გარეთ, ქუჩაში გამოსვლისას დაეცემოდა.

ვერის დაღმართზე არაბუნებრივად გაწელილი წერტილები დადიოდნენ ფეხით, მაგრამ ადამიანი არ ჩანდა სრულიად. ირგვლივ საგნებს ეფარა ჩუმი, ცივი ძილი. შემდეგ წამოვიდა ცისფერი და რაღაც შავი და სადღაც გაღმა გაისმა სროლა.

“ესენინივით მოვიკლა თავი თუ სიცოცხლისთვის განვაგრძო ბრძოლა?!” – გაიფიქრა მან და ესენინის შეშურდა.

“ჩემი იმედი სამუდამოდ რომ დამარცხდება, ვით მონაზონი, შავ ძაძებით შევიმოსები. თუმცა რაღა დამრჩა, სხვას უკავია ფრთა გასაფრენი და ჩემი ფრთები შეკვეცილია. გარშემო ზღუდე აღმართულია, მე თვითმკვლელობის გარდა, რა მიხსნის?!”

ფაეტონი გააჩერა რუსთაველზე, “თეთრ დუქანში” სამი ჭიქა ღვინო დალია და გარეთ გამოვიდა.

მიწიდან ცამდე იდგა შავი ღამე, ჩამოწოლილი ბურუსი. ცას ახედა. ბედის ვარსკვლავი უკვე აღარ უნათებდა გზას. წაშლილი ციდან ბოროტება უცქეროდა, როგორც შავი ყორანი.

ფეხი ვერ გადგა, სქელი ბურუსი აწვებოდა გაურღვეველი კედელივით.

ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების

გარედან შემოსული მცირე ხმაური და სუსტი ნათელიც კი აღიზიანებდა. ფანჯრები დაკეტა და ხმაური მიწყდა. შემდეგ ფარდა ჩამოაფარა, სიბნელე ჩამოწვა მიწურ ოთახში.

კუთხეში მიმდგარ ხის ტახტზე მიწვა. თვალები გაღებული ჰქონდა და ბინდბუნდს მიშტერებოდა. გამსჭვალავი სიცივე სცემდა, სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა. პალტოს საყელო აიწია და მუხლები მაზარით ჩაიფუთნა.

“ირგვლივ მხოლოდ ოთხი კედელია და ისევ კედლებთან ვწევარ მგლოვიარე, რკინაზე ცივი ეს ჩემი მკერდია. ახლა ჩემთვის სულერთია ვარდით თუ ეკლით ვიქნე დაფარული. ახლა სიკვდილთან უფრო ახლოს ვარ”.

უხმო საათმა ფიქრი მოთოვა.

კაკუნის ხმა შემოესმა. ჩაფიქრდა, გაეღო თუ არა, დაუპატიჟებელი სტუმარი ფიქრის დროს წაართმევდა.

თავი დანანებით გადააქნია და კარისკენ გაემართა.

ზღურბლს იქით ევროპულ კოსტიუმში გამოწყობილი უცნობი იდგა, სიგარა გაეჩარა კბილებში, მთელი ტანით ფარავდა კარს.

- თქვენ ბრძანდებით ტერენტი გრანელი? – იკითხა უცნობმა ქართულად ოდნავ რუსული აქცენტით.

- დიახ, – უპასუხა მან და ძალაუნებურად სახე მოეღუშა, – შემობრძანდით, ბატონო.

კარი ფართოდ გამოაღო და სტუმარს შიგ შეუძღვა. ასანთს გაჰკრა, კედელზე დამაგრებულმა კვარმა გაანათა კუნაპეტი სიბნელე.

- ნება მიბოძეთ გაგეცნოთ, ვალოდია მაიაკოვსკი.

- მაიაკოვსკი? – მწყრალად ჰკითხა მან და ეჭვიანად მიაჩერდა თვალებში.

ისევ იგრძნო გამჭოლი სიცივე, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ სუსხის ნაკადი სტუმრისაგან მოდიოდა და შიგ სულში ატანდა.

- თქვენზე ბევრი საინტერესო მიამბეს პოეტებმა, – უთხრა მაიაკოვსკიმ, – გადავწყვიტე თქვენი ნახვა.

დუმილი ჩამოვარდა. გრძელი ყალიონი ამოიღო მაიაკოვსკიმ, მოუკიდა ცეცხლი, ღრმად მოქაჩა, გააბოლა. სურნელოვანი კვამლი დაიფრქვა ოთახში.

- არ მეგონა თუ აქ გიხილავდით! – უთხრა ტერენტიმ.

- ხომ არ მომცემთ ლექსებს, რომ გადავთარგმნო და დავბეჭდო რუსულ პრესაში.

- ლექსებს კი მოგცემთ, ბატონო, მაგრამ ჩემი ლექსები არ გამოგადგებათ!

- რატომ?

- მასში არ არის წითელი პროპაგანდა, – უპასუხა მან, ჯიქურ ასწია თავი.

- ვიცი.

- მაშინ რაში გჭირდებათ?

- მაგრამ სხვას არავის შეუძლია ასე წერა, – უთხრა მაიაკოვსკიმ, მხარზე დაადო ხელი.

- სხვას არავის, მაგრამ არა ყველასათვის!

- ჭეშმარიტებაა, აი, ეს არის მთავარი.

- აქ სხვები წერენ მხოლოდ დროშაზე! – მკვახედ გააწყვეტინა მან.

- ასეთადაც წარმომედგინა თქვენი თავი. არც მე მოვსულვარ სააგიტაციოდ.

- მაგრამ შეძლებთ კი ჩემი ლექსების თარგმნას? თქვენ დამკვრელი ბრიგადების მარშზე წერთ. ჩემში უფრო მისტიური ხედვაა. არათუ მთარგმნელი, ქართველი წამკითხავიც მისტიური უნდა იყოს.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მცირე ხანს ისხდნენ ორივენი ასე მდუმარედ. თავი აიღო მაიაკოვსკიმ, ნაღვლიანად ამოხედა, თვალები დასწითლებოდა.

- დრო, დრო ჩემო მეგობარო, – უპასუხა მაიაკოვსკიმ, სახეზე აიფარა ხელები, დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული.

- დრო? – მიუგო მან დუმილის შემდეგ, – მარადისობას, პოეზიას არ ეჩქარება. ოდესმე, როცა ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეული რიცხვის, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების.

ცისფერი სიშორე

საწოლი ფანჯარასთან მიდგა, სასთუმალთან ლამფა აანთო და მერე მთელი ღამე გასცქეროდა ნაღვლიან შორეთს. ღრუბლები მიცურავდნენ ცაზე, გადაეფარებოდნენ მოკიანთე ვარსკვლავს, გადამალავდნენ ღამის მრუმეში. ჩაქრებოდა ნათელი და ისევ მარტო რჩებოდნენ ის და მისი უნაზესი და – სიჩუმე.

გადაუვლიდნენ ღრუბლები და ისევ გამოაჭიტებდა წრფელი ციმციმით მნათობი. მაშინ კი აღარ იყო მარტო თავის განუყრელ სიჩუმესთან.

ობლად ანათებდა ცას ვასკვლავი, თვითონაც ერთი ციდა, ობოლი მარცვალი იყო ამ თვალშეუდგამ მიწაზე. უხილავი ძაფი იყო გაბმული მასა და იმ ვარსკვლავს შორის, რითაც მთელ ზეციურ სამყაროსთან აერთებდა.

ასე ეჩვენა, იმ ვარსკვლავიდან უხმობდა თავისი გაფრენილი სული. მძიმე ლეშს კი, არ შეეძლო მიჰყოლოდა სულის სწრაფვას და ისევ მიწაზე ტოვებდა.

სურდა შეეცნო ის უხილავი ძალა, რომელიც შეძლებდა მათ შეერთებას. თავისკენ უხმობდა იმ სიშორიდან ვიღაც, სურდა მიეწვდინა ხმა, რომ მას ესმის მისი, რომ იგი მისი სულის მეგობარია.

“სულს გაეცლება ლეში და მერე ვიფრენ შენკენ. ვიხილავ, უცილოდ ვიხილავ ვარსკვლავის ცისფერ სივრცეს”.

დაკიდულა ციდან თოკი

თვალთა იშვიათი ხედვა. ჟამის უცნაური ქცევა.

ეჩვენება? იქნებ დაცინვაა მხოლოდ?

გაკვირვებით გარს მოიარს. იქნებ თვალზე ნისლი აეფარა. ამქვეყნად ხომ უჩვეულო არაფერი ხდება.

ზღაპარია? - ეკითხება შეცბუნებით უტყვი გონი. ასეთი რამ არასოდეს არ მომხდარა. გაიხედავს ირგვლივ, – ყველაფერი იგივეა. არაფერი არ შეცვლილა. უჩვეულოდ არაფერი ეჩვენება. ეს სამყარო როგორც იყო, როგორც ახსოვს, ისე იხედება..

თვალს მოიფშვნეტს. იქნებ რაღაც აერია, იქნებ სულაც აეშალა.

ეჩვენება?... ხელს ჩასჭიდებს, ჩვეულებრივი დაგრეხილი ბაწარია.

ეჭიდება ხელით, ადის მაღლა. განაბული დედამიწა რჩება დაბლა. ამ ზღაპარს აწ არაფერი ეშველება.

გაიარა ერთი სფერო, გადალახა რაღაც ზღვარი.

არ მთავრდება? _ ეკითხება გათანგული ისევ გონი.

უსასრულოდ დაგრეხილა ცად ბაწარი.

სული საზღვარს გადაცდება

ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

გაზაფხულის საღამოა მშვიდი. მზის ირგვლივ შემოწერილ დისკოებს ფერმწერივით მოეხატათ იისფერი ცა. კვიპაროსები ირხეოდნენ ბოტანიკურ ბაღში, შრიალით ეთხოვებოდნენ ჩამავალ მნათობს.

ბოტანიკური ბაღის მთებიდან ხელისგულივით მოჩანდა თბილისი. აქეთ იდგა ორი წითელი სახლი, იქით კი, ბაღის ზემო კარიბჭემდე, ციხესთან ახლოს, კოჯრის

ფართო გზები მოიკლაკნებოდა. ფეთხაინის ეკლესიიდან, აღმართზე, ჭრიალით მოდიოდა ურემი.

ხის ძირას წამოწვა, თავქვეშ ამოიდო ხელები. ღამე, ვნებით შეშლილი, ყელზე გადაეხვია.

“ახლა არ ვიცი, რას ვისურვებდი, ახლა არ ვიცი, მე რა მწყურია... ღმერთო, ეს ბაღი ახლოა სულთან, ეს ბაღი სულის ნათესავია... ისევ მინდა წამება, ისევ მინდა სიცოცხლე და სიხარული“.

რაღაც დიდი სიხარული იგრძნო. სამყარო აივსო სულ სხვა ფერებით, უწყინარ გაზაფხულს რომ მოეტანა თან.

მრუმე ცის შორეთს მიაპყრო თვალები.

“ეს არც სიცოცხლეა და არც სიკვდილი. მარადიული გაზაფხული რაღაც სულ სხვაა. მიწა ტალახია, ცა კი? რა წმინდა და უმანკოა ცა! პოეზიამ იცის უეცარი სიხარული, რომელიც უდრის გაფრენას. მე მინდა გაფრენა ცაში”.

ოცნება ისევ მაღლა წავიდა. ტომარასავით მოხვეული მაზარა გაიხადა და გავიდა მიწიდან, აცოცდა ახლადაყვავებულ ალუბლის ხეზე, ჩიტივით წამოსკუპდა ტოტზე. ხელები გაიშვირა იქით, საითკენაც სურდა გაფრენა.

- მე შეიძლება მალე მოვშორდე მიწას და წავიდე ზეცისაკენ, ეს იქნება გარდაცვალება. დავიღალე გრძნობისაგან და ახლა დროა გადავეშვა მარადისობის გარინდებულ უფსკრულში.

ჩიტი მოფრინავდა სიშორიდან. მსუბუქად დასრიალებდა ჰაერში, ნელ წრეებს კრავდა ხეთა წვეროკინებზე.

მთვარის შუქზე დაბლანდულ ტოტებს შორის მორიალე ჩიტს მიაჩერდა. ახლა, როცა მიწა ქვემოთ დატოვა და მაღლა, ტოტებს შეეხიზნა, იგრძნო, რომ მასაც შეეძლო

ეფრინა ისე, როგორც ამ ჩიტებს უფრენიათ. შეეძლო შეხებოდა ზეცას და მერე, მერე სული საზღვარს გადაცდება ფრენით.

ქარის მბრუნი გარსი

შურდულივით აიტაცა ქარმა. ურდულები გადაემტვრა დედამიწის ჭიშკარს. მიეხეთქა ცის კარს და გავიდა, გადავიდა საზღვარს იქით.

ქარცემული ზეწრები მოეტმასნა ირგვლივ. ჩაიხვია ქარის დაბლანდული გარსი. ააგდო და გაეხვეწა იავარქმნილ ადგილს.

ირგვლივ ქარი, ქარი, ქარი... ისევ რეკავს შფოთის ზარი.

ჰაერზეა დაკიდული უცნაური ხედვით. წრიულია ქარის უსწრაფესად მბრუნი გარსი.

ბრუნავს, უსრულია ბრუნვა.

იხვევს ქარის მოვარდნილი აფსკი. ითრევს გაფოთების უსაძირკვლო ღრმული.

ითრევს, იხვევს. ნისლისფერი ზეწრებია ალყაშემორტყმული.

ტრიალია თავბრუდამხვევი. ბრუალია გონის წამლეკავი.

სადღაც ჰაერს, უსაძირკვლოდ, უსაყრდენოდ ჩახვეულა ქარში.

ქორწილი სიღარიბესთან

აკაცია შეიფურცვლა თეთრად. სიფრიფანა ფრთები გაიშალა კიდე-კიდე. გადმოეშვა თოვლისფერი ნაწნავები, რცხნილი, წვრილი. ავარდნილა უამესი თრობის სუნი.

სამყაროა გამჭვირვალე, რბილი, თლილი, სისხლსავსე და განწმენდილი.

მიდის, მიდის... ნებიერა სულში უცნაური სიხარული წივის.

მშიერია, დალეული. ფერმიხდილი დაფარფატებს ნება-ნება და ჰაერში მორიალე ფუტკრის გაუგებარ ზუნით ტკბება.

მიატოვა სახლი, მოიხურა კარი. გაანება ყოფის ვიწრო კედლებს თავი. დაიტეხა ქვედა ბნელი ზღვარი. გასცდა მიღმას, გადაეშვა უცნაურს და უჩვეულოს. ამ აფუტკნულ სამყაროში უკვე აღარ არის.

არის, როგორ არა, არის, მაგრამ მაინც აღარ არის.

მიდის... მიდის... მოლიცლიცე გულში ფარდაახდილი სამყაროს სიყვარული ღვივის... იცის ამ ცის. იცის, მაგრამ მაინც არაფერი აღარ იცის.

ეხეტება აღმა-დაღმა. დედამიწას შემოუვლის ხან უკუღმა, ხან კი წაღმა. მხოლოდ უჩარჩოო ნება, უკვე გონით არაფერი აღარ ხდება. აიტაცებს რაღაც წამით და უცილოდ ასრულდება.

წამოუშენს ამღვრეული ციდან წვიმა და მწყურვალი წყურვილს იკლავს. სხვა ამქვეყნად არაფერი აღარ უნდა.

სახურავად აკაციის ხშირი ფოთლით გაპენტილი ტოტებია. წამოწვება აქვე მოლზე და ბალახის უშურველი ბანგით ითანგება. სხვა საკვებად არაფერი აღარ უნდა.

აკაცია შეიფურცლა თეთრად. სამყაროა გამჭვირვალე, თეთრი, თეთრი...

არის, როგორ არა, არის, მაგრამ მაინც აღარ არის...

ლანდები ლურჯი სიზმრის

იგი მიდიოდა ნისლიან გზაზე, თავშესაფრიდან გამოყოლილი თეთრი ხალათი ეცვა. მიწაზე ეყარნენ შემოდგომის მჭკნარი ფოთლები. ქარი უმოწყალოდ ხვეტდა და აყრიდა მიტოვებულ ორმოებს.

მკერდი გაღეღოდა, სუსხიანმა ქარმა აწეწილ თმებს გადაალეწა გამხმარი ტოტები.

რუსთაველზე აღარავინ იცნო. თვალს ლიბრი გადაეკრა თუ ვერავინ ხედავს განურჩეველ ბურუსში, ხმას არავინ სცემს. ჩამოწოლილ ნისლებს დააბრალა. თითქოს მიცურავდა ცრემლების ზღვაზე და ცხელი ცრემლებით გაორთქლილიყო მოსარკული ნაპირი.

იდგა სიჩუმე თეთრი და უწმინდესი.

მკვდარი დღეებია. გველივით მიიკლაკნება მუმიისთვალება ქუჩის წაშლილი ხაზი.

ერთმანეთზე დაწებებული ჭრელ-ჭრელი აფიშები ხელოვანთა სასახლეში პოეზიის საღამოზე ეპატიჟებოდა.

იქაც თუ ვერავინ იცნო? არა, გალაკტიონი თუ მოვა, უცილოდ შეამჩნევს, დემონივით თვალები გაუბრწყინდება, მხარზე ხელს გადადებს და მერე მონატრებულებივით დიდხანს, დიდხანს ისაუბრებენ. ისინი ხომ ორნი არიან ამ ქვეყანაზე როგორც ლანდები ლურჯი სიზმარის.

დაიგვიანა. საღამო უკვე კარგახანია დაეწყოთ. ტევა არ იყო გვერდით გასასვლელებსა და პარტერის სიღრმეში. თვალი მოავლო დარბაზს, გალაკტიონი არ ჩანდა.

დაყუდებული ბერივით, თმააბურძგვნილმა, წვერმოშვებულმა შემოალაჯა და უწყინრად აეტუზა კედელს.

სცენაზე ტყავისპიჯაკიანი პროლეტპოეტი ხელებს შლიდა მთელი გზნებით, ხმოვნებს ისე აგრძელებდა, გეგონებოდა მღერისო:

“ფარისევლები”, – გაიფიქრა მან და თითქოს ხმები ამოფრთხიალდნენ ცივი, შორეული უფსკრულიდან, მოესმა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჩურჩული:

- გრანელი! გრანელი!

- ტერენტი გრანელი!

- მომეჩვენა თუ?

- ისე, მოლანდებასავით არ გამოგვეცხადა?

- მეც კაიხნის მკვდარი მეგონა.

- საწყალი, ძლივს ვიცანი!

- ალბათ გამოიპარა სურამიდან.

ჟრუანტელმა დაუარა ტანში. დარბაზში მსხდომნი მოურიდებლად ათვალიერებენ, წარბებს იჭმუხნიან და მბურღავი თვალებით ურცხვად შესცქერიან. ყველას თვალში ეცა სულით ავადმყოფთა თავშესაფრის თეთრი ხალათი, გაღეღილი მკერდი, ყინვისაგან აჭრელებული სახე.

სცენაზე მდგომმა უდროოდ შეწყვიტა ლექსი, უხერხულად გააქნია თავი. მთელი დარბაზი გრანელს მიშტერებოდა და მისთვის ახლა არავის ეცალა.

მერე უეცრად ვიღაცამ ხმამაღლა დაიძახა:

“გრანელი სცენაზე!”

მთელმა დარბაზმა ერთბაშად იხუვლა:

“გრანელი, გრანელი სცენაზე!”

ათასჯერ ასი თვალი მოსჩერებოდა. სახეზე აიფარა ხელები, კედელ-კედელ აპირებდა გაპარვას. ვიღაცამ ხელი ჰკრა და სცენისაკენ უბიძგა. დაბნეული, მძიმე ნაბიჯებით გაიარა შექუჩულ ხალხს შორის.

ჩაცხრა ხმაური, გაიყინა დარბაზი, და აი, ამ წყევლაზე უფრო შემზარავ სიჩუმეში გაისმა:

“შენ მიდიოდი ნისლიან გზაზე

და კანკალებდა რტოები ვაზის.

გველივით გდევდა ცრემლების ზღვაზე

მკვდარი დღეების ცისფერი ხაზი.

ეს იყო დარდი, სულის დაღალვა

და სისხლიანი ბედი ქრისტესი.

ცოდვილ დასავით მიგაჩნდა ალბათ

სიჩუმე თეთრი და უწმინდესი.

გესმოდა ზარის ხმა უდაბნოდან

და გაწვალებდა თოვლი და ქარი.

ძველი დღეები შენ წინ ჩნდებოდა,

როგორც ლანდები ლურჯი სიზმარის...”

სცენის კიდეს მიეყრდნო, მიაყურადა ხმებს, მერე თითქოს ჩამოინგრაო მოწმენდილი ცა, ყრუ გუგუნი შემოესმა, თითქოს სცენის მიღმა ზღვა ღელავსო. ატყდა მღელვარე ტალღებად აგორებული ტაში, გაისმა ყვირილი, ფეხზე მდგომთა შეძახილები:

“გრანელი!” “გრანელი!”

“წაგვიკითხეთ, წაგვიკითხეთ კიდევ ერთხელ!”

იგი იდგა მაღლა, სცენაზე, მოულოდნელობისაგან გაბრუებული. აღარ იცოდა რა ეღონა. თვალებში სიყვარულის ცეცხლი აენთო. ამდენი ხნის შემდეგ სწორედ ახლა შეიგრძნო სისხლით ნათესაობა ამ ხალხთან და თანადგომის სანატრელი სიმი.

არ წყდებოდა ტაში. დარბაზი ისევ სთხოვდა არ გაეწყვიტა მათთვისაც მონატრებული, ასე დაჭიმული სიმი, მაგრამ რაღაცამ შეაჩერა. არ უნდოდა გაეფანტა ის ახალი, გამოუცნობი, ჯადოსნური აღტყინება, რომლის ტყვეც უნებურად გახდა.

“და პოეზია ტრიალებს ახლა მხოლოდ ტერენტი გრანელის ირგვლივ”, – ფიქრობდა იგი და უცებ ხელზე შეხება იგრძნო. მის წინ კონსტანტინე გამსახურდია იდგა, შავჩოხოსანი. ალერსიანი, მეგობრული ღიმილით ჩამოართვა ხელი, მხარზე მიეფერა, ლექსების წაკითხვა სთხოვა.

- “გრანელი!” “გრანელი!” – დარბაზს ერთი სახელი აეტაცნა და ეს შერწყმული ყვირილი არ ცხრებოდა, ვიდრე საღამოს თავმჯდომარემ ზარი არ დარეკა და დამსწრეთ არ აუწყა:

- ამხანაგებო, ლექსებს წაიკითხავს...

- “გრანელი!” “გრანელი!” – ისევ იგრიალა დარბაზმა.

ზარის წკრიალმა გამოაღვიძა მთვლემარე გაშეშებიდან. ყურებში წაიშინა ხელები, ხმაურით ისარგებლა, რიგებში გაძვრა და უკანმოუხედავად დატოვა დარბაზი.

სულმოუთქმელად მიირბინა შინ. შეაღო კიბისქვეშა ბინის ბნელი უფსკრული და მოშვებული მიესვენა საწოლზე. მთელი ღამე და შემდეგი დღე ტანგაუხდელი, უჭმელ-უსმელი იწვა.

როცა გამოეღვიძა, ძილს წაეშალა ცხადად განცდილი ფანტასტიური სიზმარი.

ეზოტერული ბერი

ისევ მოაკითხა შთაგონების ანგელოზმა. სითბომ დაუარა გაყინულ ძვალ რბილში. დააცხრო ციებიანი კანკალი. გაუნელდა არაცნობიერი შიში. ნაზამთრალმა სისხლმა დაიწყო უჩვეულო დინება.

უსაშველოდ გაიწელა მფარველი ანგელოზის ლოდინი. გახანგრძლივდა მიწიერ ერთფეროვნებასთან ტყვეობა. გაწყდა მოთმინების ძაფი. შეუძლებელი ხდებოდა დაგუბებულ დუმილთან მორჩილება.

აგერ უკვე რამდენი ხანია, ცივ მიწურში ეგდო. დაობდა შმორიანი ჰაერი. სულთამხუთავად ექცა მოლოდინი. მუხლმოდრეკილი იდგა საგოდებლის წინაშე და თავის მფარველს მოვლინებას სთხოვდა.

და აჰა, ისევ მოვიდა ზენა აღმაფრენა და კოსმიური სისწრაფით ზეაიტაცა. თითქოს გასკდა საუკუნოდ დახშული ჯინი. გაირღვა დუმილის გალიის ყრუ კედლები. დაინგრა წკვარამი სატუსაღო.

ერთბაშად მოწყდა მიწას. იწყო თავისუფალი ფრენა. უკანაც არ მოუხედავს, ისე მოიტოვა ქვედა სკნელი.

დარჩა ქვევით ცოდვილი მიწა. ახლა, უკვე ძალიან მაღლაა, იისფერ სიზმრების არაცნობიერ გზაზე. ამ სიმაღლიდან ყველაფერი უცნაურად შორსაა. გადაავიწყდა ტალახიანი მიწური და მიწიერი მარტვილობა. აღარც სიდაბლის სუნი აწუხებს და აღარც მიუსაფრობით მოწამლული ჰაერი.

ისევ ესტუმრა თავის სანატრელს, ერთადერთ ნავსაყუდელს. მხოლოდ აქაა ვნებათა დამაცხრობელი სადგომი, მოსათვინიერებელი ბინა. აქ სულ სხვანაირი ჰაერით სუნთქავს, სხვანაირია ფიქრთა დაგრეხილი ბილიკები. თუგინდ თავდაყირა დადგეს, ან სულ აიწყვიტოს ქვეცნობიერი.

...და იწყება ეგოცენტრი მესაკუთრის მარტოობის დღესასწაული, შთაგონებისა და ხელოვნების სანუკველი თამაში.

აზვირთებული ზღვის ტალღებივით მოასკდება ახალი, ჯერაც გაუთვითცნობიერებელი ფანტაზმები. თოვლის უთვალავი ფანტელებივით მოთოვს ნააზრევი. თან ჩაიტანს, ჩაიყოლიებს ფიქრთა ადიდებული მდინარე. გაითანგება ზენაართან უთავბოლო სრბოლით, ბანგმოკიდებულივით იფარფატებს უჩარჩოო სივრცეში.

უკეთესს ვერც ინატრებს ვერასოდეს. მთავარია, არ დაილიოს აღმაფრენის უიშვიათესი ბანგი. ლამისაა წალეკოს დაულეველმა შთაგონებამ, შეიძლება თან გადაყვეს უჩინრად მოვარდნილ დაუდგრომელ ზვავს.

იეროგლიფებივით აწყობილ სიტყვათა დაფარული იდუმალება. თითქოს ხელში ჩავარდნია ქურუმთა ეზოტერული პერგამენტი, თეოპნევსტიკური წმინდა წერილი.

დადგება საკურთხეველთან, ანთებულ სანთლებს ხელისგულებით გადაეფარება, რომ ქვედა სკნელიდან მონაქროლმა ნიავმა არ ჩაუქროს.

აქვე, კლდის ქიმთან, მღვიმე ეგულება. მიაშურებს მოჯადოებულ ბუნაგს და არც არასოდეს გამოიცვლის ბერობის ჯვალოს. პოეზიის ტაძარში აღიკვეცა ბერად. ასეც დარჩება სამარადისოდ, მარტოობის დღესასწაულის ეგოცენტრული მესაკუთრე, ჯადოსნურ მთაზე დაყუდებული ეზოტერული ბერი.

წითელი თევზები მღვრიე წყალში

სასახლის ბაღში იჯდა განმარტოებით. ირგვლივ მხოლოდ წითელი ყვავილები ყვაოდნენ. წითელი თევზები დაცურავდნენ აუზის მღვრიე წყალში. წითელი დროშა ფრიალებდა სასახლის თავზე.

შორიახლოს, კავკასიის არმიის შტაბთან, სამგლოვიარო პროცესია შენიშნა. თეთრ, მოძველებულ ბალდახინზე, კუბოში ესვენა ცხედარი. დამჭკნარ ყვავილებს ყრიდნენ მოკირწყლულ ქვებზე.

თავი გააქნია, ისევ აეშალა ფიქრები. ის დრო წარმოუდგა, როცა შეეძლო სასაფლაომდე დადევნებოდა ცხედარს.

მოშორებით, აუზთან, სერგი ჭილაია შენიშნა, წითელქოლგიან ქალს ესაუბრობდა.

- ძლივს გიცანი, ისე გამხდარხარ, თითქოს ყურებში სინათლე გაგდის! – უთხრა სერგიმ.

- ჩემს ლეშზე ნუ იფიქრებ. იფიქრე სულზე სიკვდილის შემდეგ.

- თავს როგორ გრძნობ?

- ის დროა, როცა გაანებო უნდა თავით ცხოვრებას. ვცოცხლობ როგორც ვცხოვრობ.

- დავაპირე შენთან მოსვლა, მაგრამ ვერ მოვიცალე. ხან უნივერსიტეტი, ხან ეს, ხან ის...

- რაო სერგი, შენც დამივიწყე?! სულ მარტო დავრჩი, არც მეგობარი, არც ნათესავი, არავინ არის. ვარ ჩემთვის, მარტო, და ვახვევ სიცარიელის გორგალს.

- ბინად სად ხარ?

- იქ, სადაც მძინავს. ისაა ჩემი ბინა. ქარმა მასწავლა მარტო სიარული.

- არ გცივა? – უთხრა სერგიმ, სილურჯემოდებულ შიშველ ფეხებს მიაჩერდა.

- იცი, წუხელ შარვალ-ხალათი მომპარეს, ფეხსაცმელიც მომპარეს, – მიუგო მან და ხალათი გაიხსნა, საცვლების ამარა დადგა, – შენ არ იცი, ჩემს გარშემო მკვლელებია და გამცემლები. ამ ლეშს, ჩემს სხეულს ახლა სამარისთვის ვამზადებ. იმ საათში, როდესაც უბიწო ვარსკვლავები თავიანთ დამძიმებულ თვალებს დახუჭავენ, ობობა თქვენს საფლავზე სუდარის ქსოვას დაიწყებს, ხოლო გველი თავის წიწილებს გამოჩეკს. მთელი წლის განმავლობაში თქვენს შეჩვენებულ თავზე მგლები და მშიერი კუდიანები იყმუვლებენ.

- ბოდლერის გაბოროტებული ყვავილები.

- მოსაწყენი გახდა ყველაფერი. წინათ იყო რაღაც ხალისი, შინ მომიხაროდა და მერე უთენია ისევ გავრბოდი ქუჩებისკენ. თუმცა ეს წინათ, ახლა არც სახლში მიმიხარია, არც ქუჩებისკენ. სასაფლაო, მხოლოდ სასაფლაოა ჩემი ადგილი.

- შენ უკვე ისე შეეჩვიე სასაფლაოს, რომ არც კი ამჩნევ ირგვლივ რა ხდება. გაიხედე, განა მარტო შავი ფერია?!

- როცა მეუბნებიან: “შეხედე – აი, ბედნიერება”, ვიყურები ირგვლივ და მხოლოდ ციხეს ვხედავ. ეს არ არის საქართველო!

- იმ მიწაზე, სადაც ჩვენ დავიბადეთ, იშვიათად იყო სინათლე. აქ მთავარი რუხი ფერია, საითკენაც არ უნდა მივდიოდეთ, ჩვენ მაინც წვიმიან განთიადს შევყურებთ, რადგან აქ არც არასოდეს ყოფილა სხვა გზა. ეს არის ის რაც ახლა არის, და მაინც მას საქართველო ჰქვია!

- მითხარი, სერგი, შენც გიყვარს წითელი ფერის თევზები?

- წითელი?

- ჰო, წითელი! ახლა ირგვლივ მხოლოდ წითელი ყვავილებია.

- დრომ მოიტანა ასე! ვინ უნდა იყოს ამნაირ დროში დროის მადლობელი. მთვარის დრო – მთვარის დროა.

- მე კი, მინდა ყველგან უხილავი ბაღების სილურჯე იყოს!

ზოზია

წერილი მოსწერა დას: “მე ზაფხულში ჩამოვალ უსათუოდ. მანამდე შენ თუ მინახულებ, კარგი იქნება. მრცხვენია, მაგრამ გეტყვი: ქვეშაგებელი სულ დახეული მაქვს, მჭირდება ლეიბი და ბალიში, საბანი მაქვს. თუ არ შეწუხდები, გამომიგზავნე. წერილი მომწერე ამ მისამართით: თბილისი, სამხედროს ქუჩა # 3, ახვლედიანს”

ზოზიამ პატარა ლუკა მეზობელს დაუტოვა და ერთი დღით ჩამოვიდა თბილისს.

დარია ახვლედიანის სახლში არ დახვდა ტერენტი. ზოზიამ მეგობრები მოიკითხა, მაგრამ არც გენო ქელბაქიანმა იცოდა მისი ასავალ-დასავალი, – ერთი თვეა რაც არ მინახავსო.

მწერალთა კავშირში იკითხა, იქაც არ იცოდნენ არაფერი. სოლოლაკზე დავით კობიძეს შეხვდა.

- კაი ხანია არ მინახავს, – უთხრა დავითმა, – ალექსანდრეს ბაღსაც გაურბის. ამბობენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დადისო.

მოედანზე მეოთხე ნომერ ტრავმაიში ჩაჯდა. ნავთლუღთან ჩამოვიდა და ფეხით გაჰყვა სასაფლაოსკენ მიმავალ აღმართ გზას.

- ახლა, ამ წუთას აქ იყო, – უთხრა ბებერმა მესაფლავემ, – აქ იქნება სადმე, ყაზარმებთან ან ბარაკებისკენ წავიდოდა. წუხელ ღამე ჩვენთან გაათია.

მესაფლავე გაჰყვა მოსაძებნად. სასაფლაოს განაპირას ნახეს, ბარაკებთან, მარტო იდგა და კახეთისკენ მიმავალ მატარებელს გასცქეროდა.

უკანაც არ მოუხედავს, ისე იგრძნო დის სიახლოვე. ელდანაკრავივით შედგა. შორეულმა, მონატრებულმა ალერსმა ზურგი აუწვა და როცა შემობრუნდა, სადღაც შორს, ბნელი თვალებით შეამჩნია: თეთრ უდაბნოში სანთელივით კრთოდა მწუხარე დის ცისფერი ლანდი.

რაღაც სხვა

ქუჩიდან შემოსულ ფარნის შუქზე წერდა გულიდან სისხლის წვეთებს. ქარიანი ღამე იყო გარეთ და წვიმის წვეთები ეცემოდნენ მინას. სადღაც სიშორეზე ტიროდა როიალი.

დაიბადა მზის დაბნელებისას და გაჩენის დღიდან მიდიოდა სინათლისაკენ, რომ ეხილა მზე, ასე რომ იზიდავდა შორეული და უხილავი.

ახლა კი – ჩარჩენილია ბავშვივით ამ ცოდვილ მიწაზე და არ იცის როგორ ამოვიდეს იმ ტალახიდან, რომელსაც ეწოდება მიწა. წინ უფსკრულია და შავი ნისლი

ახვევია ირგვლივ, ისევ უახლოვდება სიბნელეს, როგორც ზღვას, სადაც სამუდამოდ ჩაიძირება მისი სხეული.

ისევ დგას მარადისობის გარინდებულ საზღვართან ვით მგლოვიარე სერაფიმი და ელის ქრისტეს ლანდს, რათა იხსნას განსაცდელისგან.

“მე არ მინდოდა სიცოცხლე, არც სიკვდილი, მე რაღაც სხვა მსურდა, მესამე გზა, გზა იდუმალების”.

და სჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე, სჯერა უკვდავების.

პოეზიამ აგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს მისი მწუხარე სული.

არა სიცოცხლე.

არა სიკვდილი.

არამედ რაღაც სხვა.

წითლად გადაღებილი ქუჩა

აგვისტოს მწველი მზე აჭერდა. აგარაკებზე გაიკრიფა ხალხი.

იგი თავჩაკიდული მოდიოდა რუსთაველზე. ზამთრის პალტო ეცვა, საყელო მაღლა აეწია, პალტოზე ქამარი შემოეჭირა. გამვლელები გაკვირვებით მიაჩერდებოდნენ, თავს გააქნევდნენ და ისევ განაგრძოდნენ გზას.

მკერდში მიეხუტებინა ყდაგაცრეცილი წიგნი. თითქოს უდაბნოს ქვიშიან სიცარიელეში მოაბიჯებდა, ირგვლივ ყველაფერი ყრუ იყო და ბრმა. კარგა ხანია არც ცოცხლებში ეწერა და არც მკვდრებში.

მტრედები ირეოდნენ მოკირწყლულ ქუჩაზე და თითქოს მოარღვევსო მტრედების ზღვას. მუსიკის ხმები იღვრებოდნენ ოპერის ფანჯრებიდან, ვიღაც მღეროდა “დაისის” არიას.

ოპერის პირდაპირ, სახელგამის შენობასთან პროლეტარული მწერლების ჯგუფი იდგა. ხაკისფერგოლიფეებიანი კომკავშირლები ტაშს უკრავდნენ.

მაინც არავინ მიცნობსო და ახლოს ჩაუარა. ერთი ტყავისჩექმებიანი პოეტი წამოეწია, გაუსწორდა და მიმავალს გვერდიდან შეხედა, მაშინვე იცნო და ყველას გასაგონად დაუძახა:

- ერთი შეხედეთ ვინ მოდის, საიქიოს გვეგონა გადასული, ეს კი, აგერ არ მოფრატუნებს?!

- პალტოს ქამარი მოუჭირე, ფრთხილად, არ შეგცივდეს ტერენტი! – სიცილით მოაძახა ერთმა.

იგრძნო როგორ მოეკვეთა ფეხები, ციებიანივით დაუარა ტანში, ერთ წუთს გულიც აღარ უცემდა თითქოს.

- მწერლებს გვარცხვენ! – გაუმეორა ტყავისჩექმებიანმა, ისევ შემოხედა გაფითრებულ სახეს, ჩაცვენილ თვალებს.

- ისევ მარტო დადიხარ, ტერენტი? – ჰკითხა ხაკისფერგოლიფეებიანმა პოეტმა.

- სხვა აბა ვინ გაივლის ამასთან.

ხმა არ გაუღია, მარცხნივ, ჭავჭავაძის ქუჩისკენ შეუხვია და უკანმოუხედავად განაგრძო გზა. ასე ოციოდე ნაბიჯი რომ გაიარა, შემობრუნდა და მიაშტერდა ტყავისჩექმებიანს, რომელიც უძრავად იდგა ისევ იმ ადგილას და კმაყოფილი ღიმილით მოსჩერებოდა.

- ჰაუ, ტერენტია გიჟი! – შეჰყვირა ტყავისჩექმებიანმა, საჩვენებელი თითი საფეთქელთან შეათამაშა.

თავის შემობრუნებაც ვერ მოასწრო, ვიღაც ეტაკა ზურგიდან, საყელოში ჩაავლო ხელი და სილა გააწნა. დაბანცალდა. მერე ხაკისფერგოლიფეებიანი მიეპარა გვერდიდან, პანღური ამოჰკრა.

იქვე ჩაიკეცა. უკვე ვეღარ არჩევდა ვერაფერს. მხოლოდ ბუნდოვნად გრძნობდა, როგორ ხვდებოდა წიხლები.

სეირისმოყვარულთა ბრბო წრედ შემოერტყა გარს.

იგი ქვაფენილზე ეგდო, გრძნობადაკარგულს ტუჩის კუთხიდან სისხლი წვრილ ნაკადად გადმოსდიოდა, წითელი ფერი ღებავდა მტვრიან ქუჩას.

გადაყრილი ხელთათმანები

ბრმები იდგნენ ქუჩის მოპირდაპირე მხარეს. მზეს შეფიცხებოდნენ. ხელჯოხები ეკავათ, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდნენ. ერთი თავდაუვარცხნელი კედელს მიყრდნობოდა, ვერ გაიგებდი, თვლემდა თუ ფიქრებს მისცემოდა თვალებდახუჭული.

ხელოვნების სასახლესთან პოეტებს მოეყარათ თავი.

- ტერენტი! – დაუძახეს შორიდანვე.

ერთი ბიჯიც ვერ წადგა წინ, გაშეშებული აიტუზა შორიახლო.

- რა დაგემართა, მოდი ჩვენთან!

მისასალმებლად ხელი გაუწოდა გრიგოლ რობაქიძეს და ისე მოუჭირა ხელი ხელს, როგორც დიდი ხნის უნახავ ახლობელთან შეხვედრისას იციან ხოლმე.

- მოხარული ვარ, – უთხრა რობაქიძემ და ქუდი მოიხადა.

თვალს სჭრიდა იშვიათი ჰალსტუხი და უცხო კოსტუმი, რომლის მსგავსი არსად ენახა.

ხელმეორედ გაუწოდა ხელი, მაგრამ საპასუხოდ არ ჩამოურთმევია. ჰაერში დარჩა გამოწვდილი ხელი. გრიგოლს არაფერი უკითხავს, ცილინდრი დაიხურა, შებრუნდა და ისევ დაუყვა მაჩაბლის ქუჩას.

პოეტები შემოეხვივნენ.

- ხელმეორედ არ ინება ხელის ჩამორთმევა!

- დენდი!

- რას იბუზები. მიდი, უკნიდან შეახტი!

- მიდი ტერენტი, ნუ გეშინია!

წააქეზეს და მიპარვით ზურგზე შეახტა რობაქიძეს.

შეჩერდა გრიგოლი, ტერენტიმ თავი ვერ შეიკავა და ჩამოვარდა.

მხრები ჩამოიფერთხა რობაქიძემ, თითქო ჭუჭყიან თოვლს იშორებსო, ხელთათმანები გაიძრო და მოისროლა შორს.

ქვაფენილზე ეყარნენ ორივე: იგი და მყინვარივით ცივი, თეთრი ხელთათმანები.

წყვეტილი წერტილი

ხიდთან იდგა და მდინარის მღვრიე მორევს ჩაშტერებოდა. გაზაფხული ახალი დამდგარი იყო. მდინარეებს მთებიდან ჩამოჰქონდათ გამდნარი ყინული, წყალუხვი გაეხადათ კალაპოტი.

თავი აღარ აუწევია, არც ხიდზე მოსიარულეთ აქცევდა ყურადღებას.

“არაფერი მშველის. დროა. აქედან წასვლის დროა”.

თითქოს ციებამ აიტანა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

“დროა, აქედან წასვლის დროა! ჩქარა, მხოლოდ ძალიან ჩქარა”.

უკან მხოლოდ შმორიანი, ყრუ-მუნჯი ჭაობია. მთავარია არ გადაიფიქროს, რაც არაერთხელ უცდია. არც არაფერია დასანანი. საკმარისია ერთი ჩასუნთქვა და ზემოდან თავისთავად გადაეშვება. ვერც ვერაფერს გაიგებს, სული არ დაჰყვება იქამდე. გადააფრინდება ამღვრეულ მდინარეს და ყველაფერი თავისით მოშორდება. სიკვდილის ანგელოზები მოფრინდებიან, ჩააცვამენ თეთრ სუდარას, მკლავებში ჩაავლებენ ხელებს და გაიტაცებენ შორს, ძალიან შორს. შემდეგ მოვა დიდი თეთრი ღამე.

წყვეტილ-წყვეტილად გაწყვეტილია წყვეტილი წერტილი...

ოფიციალური წერილებიდან

“პოეტი ტერენტი გრანელი, რომელიც სულით ავადმყოფია და დაიარება ქუჩაში, და შესაძლოა ვინმეს რაიმე დაუშავოს, გთხოვთ ადმინისტრაციული წესით წაიყვანონ და მოათავსონ საავადმყოფოში!”

“ყველა მოგუშაგეებს! მიგითითებთ! დააპატიმრეთ და წარმოადგინეთ სამილიციო რაიონში!”

სქელი ტომარა

ჭრიალით ჩაიკეტა გისოსებიანი კარი ზურგსუკან. მცველმა მიაცილა ოთახამდე. იღლიაში ხალათი, საცვლები და ტყავის გაცრეცილი ქალამნები ამოეჩარა.

- ეგ არის თქვენი საწოლი, – უთხრა მცველმა უხეში ხმით, თითქოს დოლს უბრაგუნებსო და ცარიელ საწოლზე მიუთითა.

ტანთ გაიხადა, თავშესაფრის ხალათი ჩაიცვა, შიშველ ფეხებზე ქალამნები მოირგო. მცველი კი იდგა და უცდიდა. შემდეგ გამოართვა ტანისამოსი, იღლიაში ამოიდო და გავიდა, კარი გაიხურა.

დრო იყო ასეთი, თითქმის ყოველკვირა მოჰყავდათ სულით ავადმყოფები. ცუდი ამინდები დაიჭირა და ავადმყოფები გარეთ ვერ გადიოდნენ სასეირნოდ. მთელი დღეობით საწოლებზე იწვნენ, ხმას არ იღებდნენ, ან ერთი პალატიდან მეორეში დადიოდნენ და სამყაროს მოწყვეტილნი ერთმანეთს ადარდიანებდნენ.

საღამოს ჩაის შემდეგ ზარმა დაიწკრიალა და საერთო ოთახში გავიდა, სხვებთან ერთად მოჰყვა წინ და უკან სიარულს. ერთი თვალებამღვრეული კაცი მოუახლოვდა, თვალები მოაშტერა და ცახცახით ხელი გამოიშვირა მისკენ.

- შენ, შენ ხომ ტაბახმელასთან მინახივხარ? – ენამოჩლექით ჰკითხა უცნობმა.

- სად? – უპასუხა მან დაბალი ხმით.

- სანგრებში.

- შეიძლება, მაგრამ არ მახსოვხართ.

- შენა ხარ, კი, ეს შენა ხარ!

- თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით? – ჰკითხა ტერენტიმ.

- მე?! როგორ, მე არ გეცნობით?

- არა?!

- მე იუნკერი გახლავართ ბატონო, გენერალ გიორგი კვინიტაძის იუნკერთა სამხედრო სკოლის კურსანტი, – ხმამაღლა დაიძახა უცნობმა და ფეხი ფეხზე მიადო, გასწორდა.

- მერე და, აქ როგორ მოხვდით?

- აქ? აქ ცოტას მოვისვენებ და მერე ისევ ტა, ტა, ტა, ტა! – თითქოს თოფი ეჭირა შემდეგ შედგა, მრისხანე თვალებით გამოქანდა და მხრებში სწვდა, – რატომ გაიქეცით, რატომ მიატოვეთ სანგრები, იმ რუსი ჟლობას შეგეშინდა? მშიშრები, მშიშრები!

ის იყო უცნობმა ყელში მოუჭირა ხელები, დახრჩობას უპირებდა, რომ მცველები შემოცვივდნენ, გარს შემოეხვივნენ და დაუწყეს ცემა. ერთი მიეპარა უკნიდან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა კეტი დასცხო თავში.

კეტნაცემს თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა და იქვე გაიშოტა. მცველები მიცვივდნენ, სქელი ტომარა გადააცვეს, იშოვეს სადღაც თოკი, შეუკრეს ხელ-ფეხი და ისე წაათრიეს.

- გამიშვით, თქვე ურჯულოებო! ღალატია, შეჩერდით, მობრუნდით, სად გარბიხართ, უნიფხვო ბოლშევიკების შეგეშინდათ?! აი, აი დედასა! ტა, ტა, ტა, ტა!

ფეხებს იქნევდა ტომარაგადაცმული, მთელი ტანით იბრძოდა. მტევნები დაუსისხლიანდა. ყვირილისაგან ხმა ჩაუწყდა.

- ენას ამოგაჭრი უბედურო! – წიხლებს უშენდნენ მცველები, იატაკზე მიათრევდნენ დაბორკილს. ძლივს შეაგდეს უფანჯრო, ჭერდაბალ ოთახში და იქვე დატოვეს ტომარაში გამომწყდეული.

მე წავალ მალე

ნათურები აენთოთ პალატაში. მოყვითანო შუქს ჰფენდა შეთეთრებულ კედლებს.

- რამეს არ შეჭამდი? – ჰკითხა ზოზიამ, – ვაშლები მოგიტანე, მწიფე ვაშლებია.

- არა, შენთან ლაპარაკი მირჩევნია, – უპასუხა მან, საწოლზე იწვა, ხელები ამოედო თავქვეშ – კარგია რომ ჩამოხვედი. დღეს ბედნიერი დღეა.

- ასე არ ჯობია? ხანდახან ისეთ რამეს იტყვი, თავი ცოცხალი არ მინდა.

- აღარ მახსოვს, რას?

- აი, თავში გველიო, აღარ მინდა გახსენება, – მიუგო ზოზიამ. ცრემლებს ვერ იკავებდა.

ტერენტიმ შემოხედა, შემდეგ თვალები დახუჭა და ასე იწვა მცირე ხანს.

- ვინ მიხვდება ჩემს ამნაირ გლოვას? – თქვა მან დუმილის შემდეგ, – ღმერთო ჩემო, ახლა უკვე დროა. ჩემო ზოზია, მე წავალ მალე.

ზოზიას ხმა არ გაუღია. თავდახრილი იჯდა საწოლთან. უხმოდ ტიროდა.

- ვგრძნობ, არარაობა მიახლოვდება და მალე მტვრად გამაბნევს ქარში.

- ასე ნუ ილაპარაკებ, ტერენტი. გინდა, წითელი ღვინო მოსვი, მაშომ გამომატანა. აქ არავინ დაგვინახავს.

- არ მინდა. სულ ერთია, აქედან მაინც არაფერი გამოვა. დედის აჩრდილი მიმელის გზაში. მიწა უნდა ჩემს უბრალო თვალებს.

განლეულ სხეულს, როგორც გაწყვეტილ ძაფზე, ეკიდა მხოლოდ ამღვრეული თვალები.

- დაო, შენი ცრემლები ჩემთვის ავგაროზია.

ყველაფერი ირგვლივ იყო თეთრი და სუსტი. ნათურები ანათებდნენ მხოლოდ ცოფიანი თვალებით.

ზოზიამ შეატყო, ეძინებოდა. ფეხაკრებით გავიდა პალატიდან. ჩააქრო მოყვითანო შუქი.

ჩუმი სანთლებით შეიცვალა ნათურების ცოფიანი თვალები.

ოთახის ოთხად გაკეცილ უბეს ჩამოწვა ნახევრადბნელი, მწვანე სიმშვიდე. ქრისტეს თვალებით შეიცვალა მილეულ სხეულს აკრული ამღვრეული თვალები.

გადარჩება?

კარი გაიღო და ზოზიას რამდენიმე ექიმი შემოყვა პალატაში. იგი კედლისკენ იყო მიბრუნებული. არც შემოუხედავს.

- გადარჩება? – ექიმებს ეკითხება ზოზია.

- სამწუხაროდ ვერაფრით დაგაიმედებთ.

- იქნებ სოფელში გამოკეთდეს, – ჰკითხა ზოზიამ, – აქ მთელი დღეა წევს, ოთახიდან არ გამოდის.

- ეს არაფერია, მთავარია სიმშვიდე, – მიუგო ექიმმა.

- ღვთის გულისათვის, სოფელში გამაყოლეთ!

- საშიშია, ამაშიც ვერ დაგეხმარებით! – უპასუხა ექიმმა.

ბევრი ეცადა ზოზია, სოფლის წამლებიც ჩამოუტანა, რამდენჯერმე შეალოცვინა, იქნება, თვალნაკრავი იყოს, ან ხატია გამწყრალიო; ეკლესიებიც მოიარა, წმინდა სანთლები დაანთო, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა. დღითიდღე უარესდებოდა სულის აშლილობა.

ტერენტი გაუნძრევლად იწვა სანთლების შუქზე, ნახევრადბნელში. თვალები დაეხუჭა და თვალთა გუგებში მოჩვენება შემოდიოდა, ცივი, მარადიული მოჩვენება – სიკვდილი.

- ყველაფერი ცივია რაც კი მარადისია! აი, სწორედ ამიტომ არ ვიწამე ნუგეში, – გაიფიქრა მან და იგრძნო, როგორ უახლოვდებოდა სამუდამო ქაოსი, – უიმედო წუთები თურმე უფრო სწრაფია.

მიმოიხედა და ზოზია აღარ იყო ოთახში. ასე ეჩვენა, ამ სარეცელი-დან ყველაფერი შორს იყო გარდა სასაფლაოსი.

“გადარჩება?” – ისევ მოესმა ზოზიას ხმა.

“გადარჩება?” – გმინავდნენ ლაზარეთის კედლები.

ოფიციალური წერილებიდან

“პოეტი ტერენტი გრანელი, რომელიც ამჟამად მოთავსებულია სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში, გთხოვთ გაგზავნილ იქნას სურამის საავადმყოფოში!”

“სულით ავადმყოფი პოეტი ტერენტი გრანელი არ გამოწეროთ თქვენი საავადმყოფოდან მანამ, სანამ იგი გადაგზავნილი არ იქნება ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ სურამის საავადმყოფოში!”

“როგორც გავიგეთ, სულით ავადმყოფი პოეტი ტერენტი გრანელი, თქვენს მიერ უკვე გამოწერილი ყოფილა საავადმყოფოდან. მოგეხსენებათ, რომ ჯანსახკომის მიერ იგი გაგზავნილია სურამის სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში, მაგრამ მწერალთა ფედერაციას არავითარი საშუალება არა აქვს მისი სურამში გადაგზავნისა. გთხოვთ, თქვენს მიერ იქნას იგი გადაგზავნილი სურამში...”

სურამის ციხე

მიღებულია სულით ავადმყოფი ტერენტი გრანელი.

სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

5 ივლისი, 1931 წ.”

სურამის სულით სნეულთა თავშესაფარში შპალერაკრული, პატარა ოთახი მისცეს. ოთახს გრძელი, თეთრი ფარდები ჰყოფდა გარესამყაროსგან.

ავადმყოფებს ერთნაირი, გრძელი, ზოლებიანი ხალათები ეცვათ. დადიოდნენ წინ და უკან. ზოგი იცინოდა უაზროდ, ზოგი უმიზეზოდ ტიროდა, ზოგი კუთხეში მიმჯდარიყო, გამოციებული თვალებით მიშტერებოდა ერთ წერტილს.

რამდენიმე დღე იწვა გაუნძრევლად. ოთახში ჩაიკეტა. თითქოს უცხო თვალს გაურბისო, არავის ნახვა არ სურდა. საუბრობდა უფსკრულივით სიჩუმეში თავისთვის და კედლები უსმენდნენ.

თვალს რული ისედაც არ ეკიდებოდა და იგი საათობით იდგა გისოსიან ფანჯარასთან, საიდანაც ჩამუქებული ნაძვნარის ჩუმი რხევა აღწევდა. ნაძვები სპილენძისფერნი ხდებოდნენ საღამოჟამს. ნაძვნარს იქით სოფლის ძველი სასაფლაო იწყებოდა, შავი, ხის ჯვრებით.

საფლავებს მიაშტერდა. თითქოს გამოეხეთქათ მიწის საუკუნო სიმძიმე, გაბუნდოვნებულ ბურუსში ირწეოდნენ ჰაერში გამოკიდული მიწანაჭამი კუბოები.

შორს მოჩანდა სურამის ციხე. ასე ეჩვენა, ხელებშეკრული იდგა ციხის კედელში და კალატოზები კედელს აშენებდნენ მის გარშემო.

ცისფერი სიშორიდან მორბოდა დედა ციხისაკენ თმაგაშლილი, შავის ტანისამოსითა და ტირილით მოსძახოდა. ვერ მოუსწრო, უკვე მხრებამდე აეშენებინათ კალატოზებს და დედას რომ არ ენახა, სიჩქარით დააყარეს კირი.

მთვარე დაჰნათოდა სურამის გორებს. შუბლი მიადო გისოსებს, რკინის სიცივემ გამოაფხიზლა ზმანებიდან, მაგრამ ოთხკედელსშუა გამოკეტილ სიცარიელეს რომ მიაპყრო მზერა, ისევ ცოცხლად დამარხულად იგრძნო თავი.

სარკმლის ცივ მინებს სდიოდა თბილი ცრემლი და მინები გათბნენ.

ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას

იგი საწოლზე იყო წამოწოლილი, როცა ექიმი შემოვიდა და იმ ნაცნობის მოსვლა ამცნო, რომელსაც ყოველთვის ყველაზე ახლობლად თვლიდა. ავადმყოფობის შემდეგ რამდენჯერმე ჩამოვიდა და ინახულა იგი. წინასწარ იცოდა, მნახველთა სტუმრობას არაფერი აზრი არ ჰქონდა და ფიქრობდა, აქ რამ ჩამოიყვანაო. უკვე აღიზიანებდა მათთან შეხვედრა, განმარტოება და სიჩუმე ერჩია.

სასთუმალთან, ცალფეხმომტვრეულ უზურგო სკამზე უყდო რვეული ედო, რომელსაც დროგამოშვებით ფურცლავდა და ჩურჩულით კითხულობდა.

- ახლა უფრო უკეთ მეჩვენები, – დუმილი დაარღვია სტუმარმა.

იგი კედელს მიშტერებოდა, ხმა არც ახლა გაუღია.

- რაო, რას გეუბნებიან?

- მარწმუნებენ გიჟი ხარო! – დუმილის შემდეგ უპასუხა მან დაბალი ხმით, ისე, რომ არც შემოუხედავს, – ვეუბნები რა მეტყობა გიჟის, თქვენზე კარგად ვარ მეთქი და არ მიჯერებენ.

- იქნებ შევძლო შენი აქედან გაპარვა?

- რა აზრი აქვს? – ჩაილაპარაკა მან, – მაინც არაფერი ეშველება. სული ჩემი დაცარიელდა. შენ იცი, მხოლოდ პოეზია მაცოცხლებდა, ახლა ისიც მკვდარია.

- მერწმუნე, ეს არ არის დასასრული. შენ ერთი მთა აიარე მხოლოდ და იქიდან ყველაფერი სასრული გეჩვენება. მის უკან კიდევ არის უფრო მაღალი მთა.

- არა, მაინც არაფერი ეშველება. იმ მთის იქით სიცარიელეა.

- გახედე გარეთ. სადღაც სდუმს მთები, სადღაც ნისლია.

- მე რომ გაფრენა არ შემიძლია, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას.

- გაიხედე სარკმელში, ბაღთან ვიღაც იცდის.

- ჩემი სხეული რომ დაღლილია, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას.

- შეხედე ზეცას, მარადიულ ლაჟვარდს!

- რომ ვერ შევძელი გასვლა მიწიდან, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას.

- ახლა სიგიჟე გრძნობის ბრალია. დაიწმინდება და ისევ დაწერ ნისლის სურნელზე...

კედელს მიაყრდნო თავი, წამით გაირინდა, შემდეგ თითქოს ბინდი გადაეფინაო თვალებზე, ჩუმი ხმით თქვა:

- გველი ამომიცურდა და აქ, თავში მყავს გამომწყვდეული. არ გჯერა? მომადევი ყური! ჰო, რას მიყურებ, მომადე ყური! აგერ აქ! ჩუმი შრიალი გესმის? გამოეღვიძა, აიზლაზნა, სისინებს. დაუგდე, კარგად დაუგდე ყური!

თვალები მილულა. დუმილით აყურადებდა სივრცეს.

- მხოლოდ ხილვებია, – უთხრა მეგობარმა.

- ხილვები! რა დროს ხილვებია. თავში სიცარიელემ ჩაიბუდა, – დაიყვირა მან, – ვის რაში უნდა შავი შლამიანი ხილვები!

უბიდან ლექსების გაცრეცილი ფურცლები ამოიღო და მეგობარს შიგ სახეში შეაყარა.

გული თბილისს

იჯდა პატარა ოთახში, გარინდებულ კედელს მისჩერებოდა. თბილისთან განშორების შემდეგ თითქოს სმენა წაერთვა. მხოლოდ სიჩუმეს გრძნობდა. სარკმლის წინ ნაძვნარი ირხეოდა, მას კი ეს ოდნავ შრიალიც აღარ ესმოდა. დერეფანში ვიღაცას ეძახდნენ ხმამაღლა. არც ეს გაუგონია უცაბედად ჩამოვარდნილ სიჩუმეში.

აქედან შორს იყო თბილისი, ეტლების ბორბლების ხმაური რუსთაველზე, აკაციების ხეივანი ვერის ბაღში, აქლემების ქარავანი სეიდაბადის თათრის ბაზარში. თბილისი იყო მისი და მასავით სულით ავადმყოფთა ერთადერთი წმინდა თავშესაფარი.

აგერ უკვე მერამდენე დღეა სულით ავადმყოფთა თავშესაფარშია გამომწყვდეული. თითქოს სამარეში ჩააგდეს და თავიდან მოიშორეს. ღიაა სამარე. მხოლოდ ცას ხედავს, სახურავად რომ აფარია სამყარო-საკანს.

უიმედო დღეებმა ნელა ჩაიარეს, ისევ მოდიან მოსაწყენი დღეები, შუადღეები, საღამოები. აღარ ქრებიან.

ყვავი შემომჯდარიყო გვიანი შემოდგომის გამხმარ ტოტზე. ნიავი არ ქროდა, სევდიან უძრაობას გაეშეშებინა მკვდარი სივრცე.

ფოთოლი მოწყდა ეზოში მდგარ კაკლის ხეს. ასე ეჩვენა, ყვითელი ფოთოლივით ჩამოვარდა საკუთარი გული და ხის ქვეშ მდგარი ქალები დაეძებდნენ შემოდგომის ნესტიან ბაღში.

“თუ ცოცხალი ვერ ჩავაღწიე თბილისს, ჩემს გვამს აქ, სადმე, მიუსაფარ ადგილას მიაბარებენ ალბათ. არავის ეცოდინება, არც არავინ იქნება მომკითხავი და წაიშლება უმალ. გული მაინც ამოიღონ და გადასცენ თბილისს, ისიც თუ აღმოჩნდა სადმე.”

ჩუმი თოვლი

ისევ გამოექცა სურამის სულით ავადმყოფთა თავშესაფარს. გამოიარა გველივით დაკლაკნილი გზები.

მთელი ღამე გადაბმულად თოვდა. ყინვა დააჭენებდა ფანჯრებზე. სარკმელთან იჯდა, ხელის ზურგზე ჩამოედო თავი და ფარნის შუქზე ფანტელების რიალს გასცქეროდა.

თეთრი ქალწული – გლოვა ეცემოდა სისხლიან მინას.

ანგელოზი ისე ახლოს იდგა მის სულთან როგორც არასდროს. ისევ ქუჩისკენ ეძახდა ვიღაც. ისევ სიშორის ცეცხლი იზიდავს. იქ უხილავი მხარე უცდის და ნისლიანი უსაზღვრო სივრცე.

როგორ მისცეს გული ამ კიბისქვეშა ცივ სამარეს, მას ხომ გაფრენა უნდოდა ცისკენ. მაგრამ გარეთ ზამთრის გაცივებული მთვარე და ყინვაა, სამოსი კი არაფერი აქვს, რომ გააღწიოს ობიან სადგომს.

საიდანღაც გამოათრია ჯვალოს გრძელი ტომარა, თავისა და ხელების გასაყოფი ამოაჭრა, გადაიცვა ძაფივით გაწყვეტილ სხეულზე.

გააღო დაკეტილი კარები, უთენია გამოვიდა ნესტიანი მიწურიდან. ისევ იღბალმა და საოცრებამ მის წინ გაფინეს უმზეო დღენი.

ყვავები დაფრინავდნენ ნისლიან ცაზე. თოვლი და ნისლი მთვარიან ღამეს აგონებდა. დილა იყო და ღამეში აერია. ხის ტოტები ჩამოეზნიქა თოვლს, თითქოს მის ირგვლივ სამყაროც გადმობრუნებულიყო.

მადათოვთან ჭადრის ხეს მიეყრდნო. თოვლის ბარდანები და ყინულის ლოლუები ეკიდა ტიტველ ტოტებს. ათოვდა ჯვალოს ტომარას, ათოვდა შიშველ თავსა და გაუპარსავ სახეს.

მოდიოდა ჩუმი თოვლი. თეთრად ედებოდა ატალახებულ ქუჩებს. თითქოს სრულიად გამოეთიშა ქალაქის ჩვეულ ხმაურს, ქანდაკებასავით იდგა მარტო და მხოლოდ თოვლის სიჩუმეს გრძნობდა.

გამვლელნი შეჰყურებდნენ – ზოგი სინანულით, ზოგი გაოგნებული ირონიით. ხანდახან მოაბრუნებდა თავს, მაგრამ არავის უცქეროდა, ამღვრეული თვალებით მიშტერებოდა შორეულ თოვლიან სივრცეს.

“ახლა სიკვდილთან უფრო ახლოს ვარ... სადღაც დაისვა შავი წერტილი...”

მკრთალი ნისლები მოცურავდნენ ციდან, დაბლა წვებოდნენ, მიწასთან შეხებისას ქრებოდნენ თანდათან. ილეოდა იგი მშვიდად, უწყინრად, ისევე როგორც თოვლის თეთრი ფანტელი სველ ტალახზე, მკრთალი ნისლების გაუჩინარება ცივ მიწაზე.

ფიზიკურად უკვე აღარსად და აღარაფერში ეწერა. თითქოს საფლავიდან ამოსულიყო. თოვლის ფანტელები რიალებდნენ ჰაერში და ერთადერთი რაც ამქვეყნიურ სიამეს განაცდევინებდა, მათი რბილი შეხება იყო მუმიასავით თვალებზე.

მთვარის ბილიკი

გვინისფერი მთვარე მიირწეოდა ცაზე. უწყინრად გაწოლილიყო ხმაგაკმენდილი ზღვა. მთვარის არილი ციმცამებდა სარკესავით დაწმენდილ ზედაპირზე. სუსტი ჭავლების ჩქამი ისმოდა მხოლოდ. პირველყოფილმა სიჩუმემ დაივანა. დასაბამიერი მდუმარება მოეფინა გალურსულ სამყაროს.

ნავს მიაცურებდა უშფოთველად მოლივლივე ზღვაზე. ნება-ნება უსვამდა ნიჩბებს. გაუჩინარდა ნაპირის ხაზი, სასრული მოერღვა ხმელეთს. დარჩა მარტო უნაპირო ზღვასთან, უსასრულო ცასთან და უჩვეულო სიმშვიდე იგრძნო. დადგა მეუფება სამყაროსთან თანხმობისა და სულის ნირვანა.

თავი მიანება ნიჩბებს. ნავზე გაწვა. ხელები ამოიდო თავქვეშ. ვარსკვლავები ციაგებდნენ ირმის ნახტომზე. ისე ახლოს ეჩვენა, თითქოს ნავზე კი არა, ცაზე გაწოლილა, ვარსკვლევებს ხელით შეეხება.

ზღვაში გადაეშვა. თითქოს უწონად სივრცეში მოექცა, უჩვეულო სიმსუბუქე და ამჩატება იგრძნო. ნებიერად მიარღვევდა გაყურსულ ზღვას. თითქოს იგია ამ სამყაროს მხოლოდშობილი, ერთადერთი ძე. თითქოს მხოლოდ მას ეკუთვნის ეს ცაც და ეს ზღვაც. სფინქსივით გაწოლილა უსასრულო კოსმოსში და უდრტვინველად გასცქერის უბოლოო სივრცეს.

ნიავმა წამოიქროლა. ღრუბლები გამოჩნდნენ ცაზე. მთვარე გადაფარეს. მრუმე ბურუსი გადაეკრა ვარსკვლავებს. აგრუხუნდა ცა და გაიბზარა სიჩუმე. წამოვიდა თქოში. მოვარდნილი ქარიშხალი აქოჩრებდა ზღვის ტალღებს.

შეეცადა ნაპირისკენ გამოეცურა, მაგრამ ყალყზე დამდგარმა ტალღებმა ნიჩბები გადაუმტვრია. ნავიც გადაბრუნდა და ნაფოტებად იქცა.

ისევ მოვიდა მოუშორებელი შიში და ამაოებათა ფიქრი. ისევ დარჩნენ ორნი: ის და სულის ეპილეფსიური შფოთი.

ელვა გაკრთა მრუმე ცაზე და გაიპო სივრცე. ინათა ბნელეთზე. კიბე დაეშვა ციებიან ციდან.

სურდა ხელები მიეწვდინა მხსნელად გადმოგდებულ კიბეს, მაგრამ ამაოდ, ქარიშხალი მიაქანებდა.

იმედი გადაეწურა. მინებდა ბედისწერას. ტალღებს შეერია. მრუმე ფერებით დაიბლანდა წარყვნილი სივრცე. ჩამოდგა წყვდიადი.

უცაბედად გაირღვა ბნელეთი. გაცისკროვნდა ცა. მთვარემ გამოანათა. სხივნათელი ბილიკი გაიდო ჩამუქებულ ზღვის ზედაპირზე.

მთვარე – სიკვდილის ძველთუძველესი სამეფო.

შუქმფინარე ბილიკზე გავიდა, მასზე გადიოდა ერთადერთი გზა მთვარისაკენ, ნათელი და მოლიცლიცე.

მიცურავდა მთვარის ოქროცურვილ გზაზე. მალე შეერწყმოდა მთვარეს და აღსრულდებოდა მისი სანუკველი წადილი, – მარადი საცხოვრისი სამყაროს უწყინარ კუნძულზე.

რექვიემი

იწვა ნეკივით მოკუნტული, “არამიანცის” საავადმყოფოში. გრძნობდა, რომ ცოცხალი ვერ გააღწევდა აქედან. თუმცა იმდენად შეჩვეოდა სიკვდილს, უკვირდა, აქამდე როგორ დარჩა ცოცხალი. საკუთარი სახლი მოენატრა, ჩამქრალი კერა, მდუმარე მთები, ტკბილი ოცნების ლურჯი ნამოსახლარი.

საათმა თორმეტჯერ დარეკა. ეს მზიანი კვირის დღეც გაილია. დილიდან აეკვიატა, რომ დღეს შეჩერდებოდა გული, დღეს იმყოფება სიკვდილის პირას. ასე

არასოდეს უგრძვნია დასასრულის მოახლოება. თითქოს უკვე კუბოში წევს, თითქოს აყრიან მიწას.

საათმა ამცნო დღის დასასრული. ის მაინც სუნთქავს, ლოგინში წევს მუხლმოდრეკილი და წამი მიაქვს წვალებით.

“შავი წამები მიჰქრიან და მე ისევ ცოცხალი ვარ, ისევ ვოცნებობ და ისევ ვფიქრობ არყოფნაზე”. პალატაში სათვალეებიანი მოწყალების და შემოვიდა, შუშით წამალი მოჰქონდა.

თვალწინ წარმოუდგა ზოზია და მაშო, რომელთა გარდა არავინ გააჩნდა მწყალობელი. მოწყალების დას მიაპყრო სიყვითლეშეპარული თვალები.

“მალე მოდი, მალე მოდი, მალე, მალე მოდი, ვიღუპები დაო!” – ჩურჩულით თქვა მან. მოწყალების დამ წამალი დაალევინა. არაფერი უთქვამს, უხმოდ დატოვა თეთრი პალატა.

სიკვდილის ლანდი დასრიალებდა ოთახში როგორც შავფორეჯიანი გველები.

“ნისლია, სიცივე, იციან, ვიცი მე, იციან ვიცი მე, ნისლია, სიცივე”, – გაიფიქრა მან და იგრძნო, ამქვეყნიდან ისე მიდიოდა, არავინ არაფერი არ იცოდა მასზე.

სასთუმლის ქვეშიდან გამოიტანა ფანქარი, ცისფერყდიანი რვეული, პირჯვარი გადაიწერა და საკუთარ, ერთგვერდიან ნეკროლოგს თავისი ხელით მიაწერა:

“სიკვდილი 1934 წლის 10 ოქტომბერს”.

სიკვდილის წინ ისევ მოაგონდა თბილისის ღამეები და თავისი უზენაესი და: ეს ორი შეერთებული კოცონი, რომელიც წვავდა ყოველთვის. სინანული იგრძნო, რომ რაღაც დარჩა გაღმა ნაპირზე და რომელსაც ვერასოდეს წამოიღებდა თან. წუთით აინთო ფოსფორიული სინათლე და მერე უეცრად ჩაქრა სანთელი, ჩამობნელდა ექვსივე მხრიდან და იგრძნო თუ რა ძნელი იყო სანთელივით გაჩერება. მერე

საბოლოოდ გაწყდა ვერცხლისფერი ძაფი სხეულსა და სულს შორის და მთლიანად გადაეცა სიკვდილის მდუმარე ხელებს, სხეული შეუერთდა მსოფლიო ელემენტებს.

... და იგრძნო უმაღლესი მოსვენება.

ბურუსი

შემოდგომის ღრუბლიანი დღე იდგა. შეუჩერებლივ ცრიდა. ჯანღი შემოსდგომოდა ავლაბარს და ამ ბურუსში, სადღაც, გორაკზე ამავალ შარაზე, მცირე, უცრემლო პროცესია ფარულად მიასვენებდა პოეტის ცხედარს.

ვიწრო, ტალახისაგან აზელილი ქუჩები უნდა გაევლოთ და მერე იქით, პეტრე-პავლეს უპოვართა სასაფლაოსკენ განეგრძოთ გზა.

მოიწევდნენ მოწყვეტილი სიარულით. სულ რამდენიმე კაცი მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე. სადღა იყო ბალდახინი. თხელი, ღრუებიანი ფიცრებისაგან შეეკრათ სადა კუბო. სულის მოსათქმელად დროდადრო აღმართზე შეჩერდებოდნენ, სველ მიწაზე დაუშვებდნენ ცხედარს.

უკანასკნელ წამსაც მასთან ახლობელი არავინ ყოფილა. ზოზია ტიფით იყო ავად, არც კი უთქვამთ მისი გარდაცვალება. მაშომაც გასვენების დღეს შეიტყო ძმის უბედურება. საავადმყოფოში ვიღაცამ შემთხვევით იცნო მისი გვამი. არც ნეკროლოგი, არც უბრალო ცნობა სადმე გაზეთში.

წინანდლის ქუჩის ბოლოს ბარაკები გამოჩნდნენ, სნეულთა თავშესაფრები. სასაფლაოს გალავანთან კვიპაროსები და ობელისკები კრთოდნენ. გამონგრეული ყორეთი გავიდნენ მოკლეზე.

მხრებზე შედგმული კუბო მიირწეოდა კვიპაროსების გასწვრივ. აიშალნენ ფერადი ღრუბლები და ამოვარდა შორეული გრიგალი. სველი ნისლი წვებოდა

განურჩეველ საფლავებს შორის. აწვიმდა ცხედარს. წყალი ჟონავდა გადაფარებულ ტილოდან.

პეტრე-პავლეს ეკლესიის წინ, ორასიოდე ნაბიჯზე, როგორც იქნა მიაღწიეს ახლადგათხრილ საფლავს. ირგვლივ უწესრიგოდ გაბნეულიყვნენ ერთმანეთზე მიწყობილი საფლავები.

ახლო მიწასთან ეძინა მიცვალებულს და კუბოსთან დნებოდა ყვითელი სანთელი.

პანაშვიდი გადაიხადა უცნობმა მღვდელმა, რომელსაც არ ჰქონდა წაკითხული მისი სისხლიანი წიგნი “Memento Mori!”, არც არაფერი იცოდა მისი დაფერფლილი სულის ისტორიის შესახებ. მხოლოდ ცხედართან მდგომ პოეტებს მოაგონდათ მისი დანისლული ლექსებიდან სტრიქონები.

წვიმამ უმატა, დრო არ ითმენდა. კუბოს ორივე მხარეს თო¬კები გამოაბეს და ნელა ჩაუშვეს სამარეში უჭირისუფლო ცხედარი.

პირველი მიწა ვიღაც უხეშმა მესაფლავემ მიაყარა. კუბოს ფიცარზე შეწყდა უკანასკნელი გუგუნი მიწის და ქვების.

დაიშალა პროცესია.

სქელმა ბურუსმა წაშალა საფლავი, შთანთქა ყოველი. ირგვლივ არაფერი ჩანდა, პირველყოფილი სითეთრის გარდა.

სიკვდილის შემდეგ

“გამომეღვიძა, მგონი, გარდაცვალების შემდეგ...”

“მე და სიჩუმე დავრჩებით მარტო. დაღამდება. მე შემეშინდება მარტო სასაფლაოზე, ღამით. დავტოვებ კუბოს და ტანშიშველი გამოვიქცევი სამარიდან. არავინ იქნება ჩემი მხსნელი, ისევ დავეცემი, თავს ვიგრძნობ სამარეში და კვლავ მივეცემი ძილს დაუსრულებელს. ნათელივით თავზე დამადგება ჩემი განუყრელი და – სიჩუმე. თეთრად დასუდრული იქნება მთელი ქვეყანა. ის სოფელი, სადაც მე დავიბადე, დაემსგავსება უდაბნოს.

გაივლის ზამთარი, წვიმით და ქარებით. დადგებიან გაზაფხულის დღეები. შეიფოთლება სასაფლაო. კვირა დილით, როდესაც ყველა მლოცველისათვის გაიღება ეკლესიის კარები, ჩემს საფლავთან დაფიქრებული მოვა ვინმე ქალი, მოიგონებს ჩემს დამწვარ სახეს, მოიგონებს ჩემს წამებას და შევეცოდები. ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის. ჩემს მიერ უხილავ საღამოს ბინდი დაფარავს მივიწყებულ ლოდებს და ჩემი საფლავიც შეიმოსება სიბნელით.

წამოვა წვიმა, ქარიშხალი და მოწყენილ საფლავზე დამაყრის ყვითელ ფოთლებს. ასე დროთა შავი წვეთებით დახავსდება ჩემი სამარე, ზედ წამოიზრდება ბალახი.

ზაფხულში, საღამო დროს, ჩემს საფლავს ჩაუვლიან თეთრად გამოწყობილი ქალები, შორს, სარკესთან უცნობი თითები დაუკრავენ როიალს.

დილაადრიან უიმედოდ იკივლებენ ორთქმავლები. მოვა კვირადღე და ჩემს ახლოს დარეკავენ ზარებს, აანთებენ სანთლებს. დაიღლებიან ხელაპყრობილი მლოცველები. წირვა გათავდება. საყდარს დაკეტავენ, ხატები დამწყვდეულ ტუსაღებივით დარჩებიან შიგ და სასაფლაოს ჩხავილით გადაუფრენს ყვავი.

გაქრება თვალები, რომელზედაც ესვენა თბილისის ღამეები მძიმე ლოდებივით.

და ჩემი სამარის სამუდამო დარაჯი იქნება ჩემი უნაზესი და – სიჩუმე”.


გრავიტაცია
ოლეგ ფეტისოვი